

1980
1980

ISSN 0182 — 5973

საქართველოს
შრომითი



სიმღერა

9
1980



სინონიმები

ბრწყინავდა ზაფხული
 ლამაზად, მტრედისფრად,
 თავს ცა გადენბოდიშთ,
 ძირს ნოხი გეფინით.
 ზოგს მთები გზიბლავდათ —
 ლურჯები, მალღები,
 ზოგს — ლღის, მდინარის,
 შივი ზღვის ტალღები.
 ვიოდნენ დღეები
 საოცრად კარგები,
 ისმოდა მთა-ვლად
 ნკრიალა პანგები.
 იმ შრომის პანგებში
 ურია თქვენი ხმაც, —

გელმოცავსა!

უფროებს — გამრჯელებს
 მიეცით მხარი მხარს.
 იდეით მხარდამხარ
 მეზერის თუ მშენებლის,
 ქვეყნისთვის იღვწოდნენ
 ვც თქვენი ხელუბიც.

და პა. თეალს მიპფარდა
 ზაფხული მწველი,
 დაიწყო ახალი
 სასწაულო წელი...



ბრწყინული
 ზაფხული

მეტეაი
 მელარე პანგაძე

ნათო მყოფადის
 შუქში რომ ეღვრებას —
 საღამო სუველას —
 დიდებს თუ პატარებს,
 ვინც გულთ საწუკვარ
 ოცნებით ბატარებთ:
 ისწავლით ბეჯითად,
 რათა ააშენით,
 რათა საქართველო
 უფრო დამშვენით.
 გისურვებთ სიხარულს
 ბევრსა და ბევრს,
 გილოცავთ ახალ
 სასწაულო წელს!

წინებით დატრნილ
 ჩანთებით ხელში,
 სექტემბრის დედურად
 მღობარე შუბში,
 ხალისით აღსაზე,
 პიტალო ჯანით,
 მშობლოურ სკოლისკენ
 დის თქვენი ჯარი,
 რომ ისევ ეკვეთოს
 სიბრძნის თიერ მწვერვალებს,

2/19/71



საქართველოს კავშირების
 კავშირების
 კავშირების
 კავშირების
 კავშირების



კიოსკი
 № საქმეპარი 1980

ქ. თბილისი სს. ნაძ.
 № 1. კომ. საბჭო.
 კავშირების
 კავშირების

სსრ
ქონსოცხი,
თავი
6,
კვადი
65:

„საპროპაგანდა“

სსრ

მოკალაქანი

მოკალანი

არიან

უკრისილაქილანე

გენაქს,

მსაქლანე

მის

სიქილრაქს.

მწვანე სამოსელს. ჩვენს ობხვება მე-
გობრებს, ანკარა წყალში ელვასავით
გამკრთალ კალმანს თუ წვერას.

ბუნების დაცვაში დიდი წვლილის
შეტანა შეუძლიათ ნორჩ ნატურალი-
სტებს, ნორჩ მეტყველებს. ყოველ პი-
ონერსა და მოსწავლეს. მათ უნდა ახ-
სოვდეთ, რომ ცულის შემოკერისაგან
თუნდაც ერთი წიფლის გადარჩენა,
ბრაკონიერის დაგებული ერთი ხაფა-
ნგის გაუვნებლება, ერთი ძირი ფიჭვი-
ის ან კაკლის დარგვა-გახარება თუ
რომელიმე წყნარი მორევის ქლორით
მოწამვლისაგან ხსნა დიდი პატრიო-
ტული და სახელმწიფოებრივი საქ-
მეა.



იქვეა სიკეთის ღირსი!

ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება
ექცევა ბუნების სიყვარულისა და პა-
ტივისციემის — დიან. პატივისციემის!
— გრძნობის გაღვივებას ახალგაზ-
რდობაში, პატარაობის ასაკიდანვე.
ამაში მნიშვნელოვანი როლს შესრუ-
ლება შეუძლია სკოლას. ბუნებისმე-
ტყველების მასწავლებლებს, საყმაწ-
ვილო ჟურნალ-გაზეთებს, განსაკუთ-
რებით კი — მშობლებს, რასაკვირვე-
ლია, თუ მათ თვითონ შესისხლბორ-
ცებული აქვთ ზემოთ ნახსენები სიყ-
ვარულისა და პატივისციემის გრძნო-
ბა.

მაინც ამ მხრით ბევრი რამ არის
გასაკეთებელი. მაგალითად, ყველა ბა-

ჰომო საპიენსი — მოაზროვნე ადა-
მიანი, რომელიც სულ ახლახან (დრო-
ის სამყაროსეული მასშტაბებით, რა
თქმა უნდა) ბუნების მონა იყო, თავი-
სი მაძიებელი და შემოქმედი გონებ-
ის წყალობით სულ უფრო და უფრო
სწრაფად იქცევა მის მბრძანებლად.
ადამიანი ჩებავს ტყეებს, კალაპოტს
უცვლის მდინარეებს, მიწის გულიდან
ამოაქვს წიაღისეული, აშენებს ფაბ-
რიკა-ქარხნებს, ქმნის ახალ-ახალი
ტიპის ზემძლავრ თვითმფრინავებსა
და კოსმოსურ ხომალდებს და ამით,
სურს ეს თუ არა სურს, სახეს უცვ-
ლის გარემომცველ ბუნებას, ერევა
მის „მინაურ საქმეებში“, არღვევს
მილიონწლობით დადგენილ ბუნებ-
რივ პროცესთა მიმდინარეობას, აჭუ-
კიანებს ნიადაგის წყლებს, ოკეანე-
ებსა და ატმოსფეროს, რომლის გარე-
შეც შეუშლბეღელია კაცობრიობის არ-
სებობა.

ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ, „მედიცინ-
ის მამამ“, თქვა: „ყველაზე უკეთ ჰკუ-
რნავს ის, ვინც შესძლებს განკურნე-
ოს, როგორ იმოქმედებს პაციენტის
ორგანიზმზე ეს მკურნალობა“.

ახლა მეცნიერთა დიდ უმრავლესო-
ბას „დაავადებული ბუნების“ ერთ-
ერთ მთავარ სამკურნალო საშუალე-
ბად არსებული ტყეების შენარჩუნება
და ახალი მასივების გაშენება მიაჩნია.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო იც-
ავს ტყეს და ტყის ბინადართ, კანონი
მკაცრად სჯის იმას, ვინც ხელყოფს
და ზიანს მიაყენებს ჩვენი მთა-ბარის


სწორედ იმის დასახუტებლად.
კონკრეტულად რას აკეთებენ, როგ-
ორ პატრონობენ დედა-ბუნებას მისი
ნორჩი ქომაგები, ამას წინათ ჩვენი ეუ-
რნალის „მრგვალი მაგიდის“ გარშე-
მო შეიკრიბნენ საქართველოს სატყეო
მეურნეობის სამინისტროს სამთო-სა-
ტყეო ინსტიტუტის დირექტორი, სო-
ფლის მეურნეობის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი გიორგი გიგა-
ური, სატყეო სამინისტროს ტყის გა-
მენებისა და კეთილმოწყობის სამ-
მართველოს უფროსი ოთარ გამცე-
მლიძე, ჟურნალ „საქართველოს ბუ-
ნების“ რედაქტორი ევგენი ბართა-
ია, მცხეთის სატყეო მეურნეობის დი-
რექტორი ოქრო ოქროპირიძე, მცხე-
თის საშუალო სკოლის ბიოლოგიის
მასწავლებელი, პადაგოგიურ მეცნიე-
რებათა კანდიდატი შოთა ამირანაშ-
ვილი და ამავე სკოლის რამდენიმე
მოსწავლე.

აი, როგორი საუბარი გაიმართა ამ
„მრგვალ მაგიდასთან“:

ბ.გიგაური: ბუნების დაცვის პრო-
ბლემა ფრიად სერიოზულია და მისი
წამოჭრის დაგვიანება, ვფიქრობ, სა-
ვალალო შედეგებამდე მიგვიყვანდა.
ახლა კაცობრიობა ამკარად ხედავს,
თუ რა დიდი საფრთხე მოსდგომია
კარს. კიდევ კარგი, რომ ამჟამად მას
შესწევს იმის ძალა და უნარი, რომ
შეაჩეროს ადამიანსა და ბუნებას შო-
რის გაჩენილი ნაპრალის გაფართოე-
ბის პროცესი, ვიდრე ეს ნაპრალი გა-
დაუღაზავ უფსკრულად გადაიქცეო-
დეს.

ვშემა როდი იცის ტყეში ქცევის წეს-
ები. ბევრს ჰგონია, რომ მინაწვლული
კოცონი არავითარ საფრთხეს არ შეი-
ცავს. მაგრამ საქმარისია დაუდევრად
მიტოვებულ ნაკოცონარს ქარმა წა-
მოუქროლოს, რომ ფერფლწაყრილი
ნაკვერცხალი გაღვივდეს და სულ
მცირე ხანში გამანადგურებელ ხან-
ძრად გადაიქცეს (ასეთი ხანძარი გაჩ-
ნდა შარშანს საგურამოს ნაკრძალში,
უფრო ადრე — ბაგების ტყეში, ნად-
იკვარში, წყნეთში, მცხეთის ჭრის
მიდამოებში). ტყეში ქცევის წესები
ბავშვს უნდა შეასწავლონ ბოტანიკი-
სა და ზოოლოგიის მასწავლებლებმა
ამა თუ იმ თემის დამუშავებისას. მა-
ლე კი, ალბათ, შესაბამისი ორგანო-
ები სასკოლო პროგრამებსა და სახე-
ლმძღვანელოებში შეიტანენ ბუნების
დაცვის კონკრეტულ საკითხებს. ყვე-
ლა მოზარდმა უნდა შეიგნოს, რომ
დანაშაულია არა მარტო ნარგავის
მოსპობა, არამედ ერთი ტოტის მო-
ტეხაც კი, ერთი ბუდის მოშლა, ერთი
სოროს დანგრევა, ერთი თევზის და-
ქერა ტოფობის დროს...

შ. ამირანაშვილი: ერთხელ ასეთ
ამბავს შევესწარი: წითელყელსახვე-
ვიან ბიჭუნას ტანმალარი ფიჭვის შო-
რიახლო ჩაემუხლებინა და ფრთხი-
ლად ათავისუფლებდა პაწია ამონა-
ყარს, რომელსაც ქარიშხლის მიერ
მომტერეული მსხვილი ტოტი გადა-
ფარებოდა და ზრდას უშლიდა. ბიჭუ-
ნამ მზრუნველობით შეუსწორა ნორ-
ჩი წიწვები ამონაყარს და ძირში მი-
წაც მოუჩიჩქნა.



ბ. გიგაშვილი: აი, ასეთი ბავშვისგან დარწმუნებული ვარ, ჭეშმარიტი ბუნების ქომაგი დადგება.

მ. ბართაია: ბატონმა გიორგიმ სწორად ბრძანა — პატივისცემის გრძობა უნდა გავუღვივოთ ბავშვს. მან უნდა იცოდეს, რომ იგი ბუნების ნაწილია, თანაც ორგანული, განუყოფელი ნაწილი. ბუნება თავისი არსით კეთილია, ერთ აღერს ასმაგად გადავიხდის, მაგრამ მას განრისხებაც სჩვევია, თუ უსამართლოდ მოექცევი. ეს ბრწყინვალედ იცოდა ვაჟა ფშაველამ და ამიტომაც ამბობდა მისთვის ჩვეული ხატოვანებით:

სკოლო სატყეოა, მათში 49 000 მოსწავლეა გაერთიანებული. ეს უზარმაზარი არმიია, რომელმაც მარტო გასულ წელს 1616 ჰექტარზე ჩაატარა ტყის მოვლის სამუშაოები. შეაგროვა 13 ტონამდე ასკილის ნაყოფი, გააშენა 78 ჰექტარი ახალი ტყე, მოუარა 10 ჰექტარამდე სანერგეს, ამას გარდა, ვადებულება იკისრა, მავნებლების ხანძრისა და ბრაკონიერებისაგან დაცვას 30 000 ჰექტარი ტყე.

მ. ბართაია: ეს არც ისე ცოტაა. თუმცა, არა მგონია, ზღვარი იყოს.

ბ. გიგაშვილი: სასკოლო სატყეოს მუშაობას სატყეო მეურნეობა(ან უბ-

ინი უელიან 645 ჰექტარ ტყეს, რომს, 4 ჰექტარ სანერგეს, 365 ჰექტარ ტყის კულტურებს. შარშან თავი გამოიჩინეს ორბეთის, ირაგის, ასურეთის, დაღეთის, კლდეისის სასკოლო სატყეოებმა. ბუნების ნორჩმა ქომაგებმა შექმნეს მწვანე პროექტორები, რეგულარულად აწყობენ რეიდებს, კონტროლს უწევენ ტყის წესების დაცვას.

მცხეთელებმაც ისახელეს თავი, თუმცა ამაზე უფრო დაწერილებით სატყეო მეურნეობის დირექტორი გვიამბობს.

მ. მაროშვილი: დიახ, ვფიქრობ, არც ჩვენს ნორჩებს უმუშავნიათ ცუდად. მარტო გასულ წელს ოცდაერთი სასკოლო სატყეო (280 მოსწავლე) უვლიდა 0,7 ჰექტარ სანერგეს, რწყავდა და თავს ევლებოდა 271 ჰექტარ ტყეს. შეაგროვა 122 კილოგრამი ასკილის ნაყოფი და საერთო ჯამში შესრულა 7757 მანეთის სამუშაო. თუ ამას დაეუმატებთ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, აგრეთვე ტყის მავნებლებთან და ბრაკონიერებთან ბრძოლას, ცხადი გახდება, თუ რა სარგებლობა მოუტანიათ ბავშვებს სახელმწიფოსათვის.

მ. გამაცხელიძე: მცხეთის სატყეო მეურნეობა 16 421 ჰექტარ ტყეს მოიცავს. აქ ხარობს რცხილა, წიფელი, მუხა, შინდი, პანტა, მაქალო, სალსალოაჯი, იელი... ასეთი მრავალფეროვანი მცენარეულობით დაფარული დიდ ფართობის მოვლა ხუმრობა როდია. აქ ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიათ პიონერებს.

მ. მაროშვილი: აყეთებენ კიდევ, მაგრამ, მე მგონია, რომ სასკოლო სატყეოები ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუვლინებელი და გამოუყენებელი რეზერვებია. სატყეო მეურნეობა, კერძოდ — სატყეოები, მუშახელის ნაკლებობას განიცდის. სწორედ აქ გამოგვადგება მოსწავლე ახალგაზრდობის მახვილი თვალი და დაუზარელი მარჯვენა. რაც უფრო მეტი პიონერი და კომკავშირელი ამოგვიდგება მხარში, მით უფრო იშვიათი იქნება ხანძარი, მით უფრო შევიწროვდება ბრაკონიერთა მოქმედების დიაპაზონი. მაისიდან ოქტომბრამდე, ყველაზე ხანძარსაწინააღმდეგო, მოსწავლეებმა უფრო ოპერატიული საფუძვლები უნდა მოაწყონ ჯვრის მონასტრის, კოდმანის, სავანეთის სანახებში — აქ ზაფხულის ცხელ დღეებში ბევრი დამსვენებელი მოდის ხოლმე, მაგისტრალური გზატკეცილიც აქვეა და ერთ ჩაუქვრალ ნაშქვს ათასობით მანეთი ზარალის გამოწვევა შეუძლია. სატყეო მეურნეობის დირექციის ეზო-



ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქმნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიშვს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...

მ. გამაცხელიძე: 1972 წლის ივნისში საძირკველი ჩაეყარა დიდებულ საქმეს: შეიქმნა სასკოლო სატყეოები. ამჟამად საქართველოში 660-მდე სა-

ანი) მურვეებს. მეტყვევები ხალისით მუშაობენ ბავშვებთან: ასწავლიან ამა თუ იმ მავნებლებთან ბრძოლას, ნორჩი ნარგავების მოვლას, მცნობას, ნერგის გამოყვანას, თესლის შეგროვებას, ტყეში ქცევის წესებს. შედეგიც თვალდასანახია.

მ. გამაცხელიძე: კარგად მუშაობენ ბოლნისის, თეთრი წყაროს, მცხეთის, კასპის, ქუთაისის სასკოლო სატყეოები, თეთრი წყაროში, მაგალითად, 23 სასკოლო სატყეოა, რომლებიც 460-მდე მოსწავლეს აერთიანებენ. ის-

ში მუდამ გამზადებული დგას საბრძოლო სახანძრო მანქანა, რომელსაც პირველი დაძახებისთანავე შეუძლია მიაშუროს ხანძრის ადგილს. ოღონდ კი დროზე გავიგოთ ცეცხლის კერის გაჩენა...

შ. ამირანაშვილი: მცხეთის სამუშალო სკოლას ბუნების ქომაგობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. აქაურმა პიონერებმა ჯერ კიდევ 1956 წელს მიიღეს აქტიური მონაწილეობა არაგვის მარჯვენა სანაპიროზე ტყე-ჭალის გაშენებაში. ამას მოჰყვა შრომითი ბრიგადების (VIII-IX კლ.) და რგოლების (IV-VII კლ.) ჩამოყალიბება, რომლებიც ამ ბოლო ხანს სასკოლო სატყეოებად გაერთიანდნენ.

ჩვენმა ბავშვებმა იციან, რომ მარტო ნერგების მორწყვა-შებარვა და ზამთრობით ნადირ-ფრინველთათვის საკვებთუბების მოწყობა საკმარისი არ არის. ბუნებას ჰყავს მტერი, და საჭიროა ამ მტერთან ბრძოლა. აკი იბრძვიან კიდევ. შემიძლია დავასახელო დები მოლოდინები, შალვა ხამხამე, ეკა ომარაშვილი, ნელი ირემაშვილი, ზეზვა ჭინჭარაული, ლია ნაღიბაიძე და სხვები. ეს ბავშვები მარტო შეკრებებით ან პათეტიკური სიტყვებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ პრაქტიკული საქმიანობით გვიდგანან მხარში... აი. ზოგი მათგანი აქ არის და სჯობს თავად გვიამბონ.

მზია მოლოდინი: ეს ამბავი წელს, გაზაფხულზე მოხდა. მეშვიდეკლასელებმა რეიდი მოვაწყეთ. თითქმის მთელი კლასი იყავით. წინ მე, ელზა სალბიშვილი, ტარიელ და ავთანდილ არეშოვები, ხათუნა ხოხობაშვილი მივდიოდით. უცებ არაგვის ქა-

ლაში ლურჯი „ზაპოროეცი“ შევნიშნეთ. მის სიახლოვეს სამი მამაკაცი იდგა. მივუახლოვდით და დავინახეთ. როგორ მოიქნია ერთმა წელი და წვრილთვალემა ბადე მსუილით დაეფინა წყლის ზედაპირს. ელზამ მიამხა, აქ თევზაობა არ შეიძლება და ბადე დატოვეთო. ანუნშიაც არ ჩაუგდიათ. მაშინ ჩვენ მანქანის ნომერი ჩავიწერეთ. ეს რომ დაინახეს, გამოგვეკიდნენ, მაგრამ გავექცეთ. შევატყობინეთ, სადაც საჭირო იყო, და ბრაკონიერები საკადრისად დაისაჯნენ.

მანანა მოლოდინი (ახლა — მე-9 კლასის მოსწავლე): იმ დღესაც მეშვიდეკლასელები — რაზმის ხელმძღვანელი ზაზა ქურდაძე, ელზა სალბიშვილი, აგრეთვე მეათეკლასელი ნუგზარ თუხარელი და მისი ამხანაგები მონაწილეობდნენ რეიდიში. თუ არ ვცდები, პირველმა ნუგზარმა შენიშნა გაწყობილი ხაფანგი — დიდი ხაფანგი იყო, მელას და შველს კი არა, ირემსაც დაიჭერდა. ხაფანგი ავშალეთ და წამოვიღეთ. ახლაც სკოლაში ინახება.

ელზა სალბიშვილი: ერთხელ ჩვენმა ბავშვებმა ნადირის ბილიკზე შვლისთვის და ირმისთვის გათხრილი ღრმა ორმო იპოვეს. ორმო ოსტატურად იყო შენიღბული, ჯაკითა და ბალახით გადაეფარათ. მაშინ, მანსოვს, იქ იყვნენ ნუგზარ თუხარელი, დათო ფირუშაშვილი, დათო საგინაშვილი, გელა მრეველიშვილი, ნუკრი მამულაშვილი. ბიჭებმა ორმო ტოტებით, ქვებითა და მიწით ამოავსეს.

მზია მოლოდინი: ესეც ამ გაზაფხულზე მოხდა. ერთი რეიდის დროს

მეშვიდეკლასელების, ხათუნა ხოხობაშვილისა და მეგი თათარაშვილის ყურადღება საეჭვო „ვოლგაში“ მიქცეული იქვე ორი მამაკაცი ფუსფუსებდა. ის იყო, თოფები დაეკეცათ და საბარგულში ინახავდნენ. მანქანის სავარძელზე ვიოლინოს ბუდეები ეწყო, იმ ბუდეებიდან ფრინველის ფეხები და ფრთის ბოლოები მოჩანდა. ბავშვებმა მაშინვე იცნეს — ბრაკონიერებს შავი ყანჩები დაეხოცათ. „რას ერჩოდით, ბიძია, მაგათ ხომ ბარტყები დარჩათ“? — თუხრა თვალეში ცრემლჩამდგარმა ხათუნამ. „წადი, შეილოსან, ხიფათს არაფერს შეეყაროთო!“ — დაემუქრა ბრაკონიერი. გოგონებმა მანქანის ნომერი დაიმახსოვრეს და ეს ამბავი უფროსებს შეატყობინეს.

ო.ოპროპრიძე: მე ისიც ვიცი, ერთხელ მთელი არაგვის პირი რომ ჩაიარეთ მტკვრის შესართავამდე და ყველა ბადე ამოათრიეთ წყლიდან.

ასე უნდა განაგრძოთ, ბავშვებო, და რაც შეიძლება მეტი ამხანავი უნდა დააინტერესოთ, უნდა ჩააბათ თქვენს წრეებში.

მზია მოლოდინი: ვცდილობთ. ამასწინანდელ შეკრებაზე შეეთანხმდით, რომ უფრო გაეაზმირებთ რეიდებს და ჩვენს მუშაობაში ჩავაბამთ ოქტომბრულეებსაც. აქედანვე რომ მიეჩვევიან ბუნების სიყვარულს, მერე სისხლსა და ხორცში გაუჭდებათ.

შ. ამირანაშვილი: აბა, თქვენ იცით. ჩვენ, უფროსებიც, მხარში გვიგულეთ. თქვენ ერთი იმართავანი ხართ, ვინც უნდა აღადგინოს ადამიანისა და ბუნების გაზარდული ურთიერთობა, თითქმის დარღვეული პარმონია. ამას გულიანი ზრუნვა, ოფლიანი შუბლი და კოყრიანი მარჯვენა უნდა. სამაგიეროდ, შემდეგ თქვენც შეგეძლებათ თამამად გაიმეოროთ დიდი ვაჟას ნათქვამი:

ხევი მთას მონებს, მთა — ხეესა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცენარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გაღამდინარედ!

„მონა“ ამ შემთხვევაში „ბატონ-პატრონის“ ტოლფარდია. თქვენ ამ საოცარი, ხელთუქმნელი ბუნების მსახურნიც ხართ და ბატონ-პატრონნიც. ჰოდა, მიხედეთ, პატივი ეცით და მოუარეთ დედა-ბუნებას, იცოდეთ, რომ იგი ასწილ სიკეთეს მოგიზღავთ ამის სამაგიეროდ.


„მრგვალ მაგიდასთან“ საუბარი მიჰყავდა ნუგზარ აფხაზაძეს



ჭყაჩუღის ტაძარი

მზია ჩხავიანი

ჩიტის გუნდი აიშალა
 რა ჟივ-ჟივით,
 რა ჭიკ-ჭიკით,
 საით მიდის
 სოფლის შარა —
 ტანწერწეტა ალვის რიგი?
 — ბაკი-ბუკი,
 ბაკი-ბუკი,
 გაიღვბა გზაი გრძელი,
 მზის კუნწულა —
 ბალი ტყუპი
 გზას აწყდება ცვარით სველი.
 მწიფე,
 მწიფე,
 ოხ, რა მწიფე!
 წვნიანი და გემრიელი...
 — ჩიტბატონა, დამიკრიფე. —
 გაუნოდა გოგომ ხელი,
 — ვაი! — შეკრთა ჩიტბატონა,
 ბლის კუნწულა მიატოვა,
 — ეს ჩემს ბარტყებს დავუკრიფე,
 მივუტან და ისევ მოვალ!
 ბაკი-ბუკი,
 ბაკი-ბუკი, —
 საით მიდის სოფლის შარა?!
 — შეხე, ცუცუ! —
 ფისოს უკვირს, —
 — ეს რა ბალი გაიშალა!
 შუა ბალში წყარო მღერის
 ცისარტყელით სავსე ჭავლი,
 არ იქნება,
 ცივი ჩქერით
 არ მოუხმოს
 მგზავრებს ჩავლილს!
 გარს ნაძვები —
 შხვერთი-შხვერთი
 და ფიჭვები წყება-წყება,
 მარმარილოს თეთრი სვეტი
 მზისკენ მიდის,
 ცას აწყდება!
 მწყობრად,
 ჩუმაღ,
 მოწინებით
 მოდის რაზმი პიონერთა.
 — რაზმო, სწორდი! —
 მენწინავე
 რაზმს აჩერებს მაღალ სვეტთან.
 — ერთი-ორი! — დასძახიან
 დაფდაფებს და ვერცხლის ბუკებს,
 წითელ დროშის ჩახჩახია,
 ყელსახვევიც მოგვაშუქებს!
 მერე —
 ჰყვება თეთრი პაპა
 და ბავშვები დუმან უკვე,
 ჰყვება პაპა ლამაზ ამბავს
 ომში წასულ გმირ ჭაბუკზე.
 დგანან ფისო და ცუცუნა,
 ნამწამს ცრემლი ჩუმაღ სწყდება:



— ომში წასულ პაპა ზურაბს
 ბებო ახლაც ელოდება!
 — ეს მზის შუქი,
 ეს ცრემლები
 სწორედ იმის თავდება,
 — ამბობს პაპა, —
 — ახლა ვხვდები,
 რომ გმირები არ კვდებიან!

 ჰო, გმირები არ კვდებიან,
 იცოცხლებენ მარად ჩვენთვის!
 გარს გიზგიზა ვარდებია
 და ნაძვები შხვერთი-შხვერთი.

მღერის რაზმი,
 მღერის გზნებით
 შინმოუსვლელ ჯარისკაცზე,
 დგას ორი და,
 დგას და უსმენს,
 გუგუნებენ შორი გზები.
 ცას ედება ქულა-ქულა
 ღრუბელი და ჩრდილი წვება.
 გზაზე ბებო გამოსულა —
 პაპას ხომ არ ელოდება?



მთხეთის საბუღალეს

ანა იმელიძე

მხატვარი ჯამალ ლოლუა

ამთხრობა

ისევ მანანა ალაპარაკდა.

— რა უნდა მეთქვა!.. ჰო, ჩემი ქსელი მალე თავს გამოყოფს. ამ დროს თურმე ვინმემ უნდა მითვალთვალოს ჩუმად და ბეჭი მომტაცოს. მე ვალდებული ვიქნები, ბეჭის დაბრუნებაში კარგი საქმელი გავუმზადო. რას არ მოიგონებენ!.. ძალიან მინდა, ნამცხვარი გამოვაცხო, რეცეპტები თან მაქვს წამოღებული. მაგრამ რაღაც დღესასწაული ხომ უნდა იყოს. ჰოდა, თქვენი იმედი მაქვს, იქნებ ბეჭი მომტაცოთ...

— გიგის დაავალე, — ურჩია ირაკლიმ.

— გიგის?.. ეგ რა კარგი რამ მითხარი! გიგის სხვა რამეს დავავალებ!.. ჩაო! — თქვა და ზურგი შეაქცია ბიჭებს, წავიდა.

ბიჭები გაოცდნენ: უცხო სიტყვის ხმარებას ძალიან ერიდებოდა საუბარში მანანა, თუმცა ბევრჯერ გასჭირვებია აზრის ბოლომდე გამოთქმა.

— ამ „ჩაოს“ წამოძახება საეჭვოდ მეჩვენება, ხომ არაფერს მოჰკრა ყური? — თქვა კახამ.

— მაინც ვერ მიხვდებოდა, თუნდაც მოესმინა ჩვენი საუბარი, — ანუღეშა ირაკლიმ.

XIII. გიგაზი უცხენოდ გაიპარნენ, კინაღამ კვა-ლორღის მფუარზი მოჰყვანენ. კახას ზურგჩანთა და ცალი კელი აგორკაულმა კვაზამა გაიყოლიეს უფსკრულისაჲნ. მანანა და გიგი ცხენებით წამოაფინენ გიგაზს.

ირაკლიმ ფანჯარა შეაღო, ხელი შეყო და კახას საბანი დაითრია. ცოტა ხნის შემდეგ კახა შეიშმუშნა, ეტყობა, დილის სუსხმა შეაწუხა, ხელი მოაფათურა, მაგრამ საბანს რომ ვეღარ მისწვდა, თვალი გაახილა.

— დროა, — მოესმა ირაკლის ჩუმი ხმა. — წავედი. საცხენე ცერზე დაგელოდები. შენი ზურგჩანთა მომე.

კახამ წინა საღამოსვე მოიზნა ტანსაცმელი და საგზალი ისე, რომ მარგალიტი ბერდელას არაფერი შეუღმინევი.

იცვამდა, თან გარეთ იხედებოდა, თუმცა იცოდა, ბერდელა ახლა საძროხეში ფუსფუსებდა, შემდეგ რძეს გადა-

წურავდა ორ-სამკეც დობანდში, ჩაასხამდა მცხედლი ვებად ხის მაღალ ვიწრო ჭურჭელში, რომელიც ჩხუტს ეძახიან, და ერთი-ორჯერ ჩაღვებავდა კიდეც, ასე რომ, კარგა ხანს არ ამოვიდოდა მეორე სართულზე. მანამდე კი ბიჭები შორს იქნებოდნენ.

კახა საცხენე ცერს უახლოვდებოდა. შესახვედრად დათქმულ ხის ძირში მიმჭდარი ირაკლი ეტყობა თვლემდა, მაგრამ, როგორც კი კახას ფეხქვეშ ტოტი გატკაცუნდა, მაშინვე თვალი გაახილა. მოშორებით ჯაბოხანე ჩაცუცქულიყო.

— ამას აქ რა უნდა? — იყვირა ირაკლიმ. — გამოვეპარე და მაინც მიზოვა? თუმცა... რაკი ცხენი აღარ გყავს, იქნებ ჯობდეს კიდეც ჯაბოს წყევანა...

— ცხენი რა უყავი?! — გაოცდა კახა.

— წუხელ მე თვითონ ვუცვალე ადგილი. მაგრამ ახლა იქ აღარ დამხვდა. მოძებნას კი დრო სჭირდება. ხომ არ გადავდოთ?!

ეს სარც ერთს არ უნდოდა. ვინ იცის, კიდეც როდის მოახერხებდნენ ასე. გულდადებით მოიძინებნას.

ირაკლიმ ზურგჩანთა მოიკიდა. და ფერდობზე დაუყენენ.

ჭალაში ხმაური შემოესმათ ბიჭებს. გზიდან ვალდებუნი და ბუჩქებს ამოეფარნენ. როგორც კი ცხენოსნებმა ჩაიარეს, ისევ განაგრძეს გზა. ზურგჩანთა ახლა კახას ეკიდა.

ხეობებიდან დილის ნისლი გაიკრიფა, მზე ამოიწვერა და ბალახებზე ცვარი შეშრა.

აღმართი ისე აათავეს, არავინ შეხვედრიათ.

ომალოს საფრენ მინდორზე შეუულმფრენის მისაღებად ემზადებოდნენ. გორა-გორად აწყობდნენ გულებით თუშურ ყველს და ბარდანებით მატყლს ბარში გადასატანად.

ბიჭებმა ზემოთ, სოფლისაკენ მიმავალ ბილიყზე გადაუხვიეს. ახლა უკვე თამამად დაადგნენ გზას, რადგან აქ უკვე არავის გააკვირვებდა მარტოდ მიმავალი, ბარგაკიდებული ბავშვების დანახვა, ყველა იფიქრებდა, შვეულმფრენს მოჰყვებენ და სოფელში მიდიანო.

ომალოს რომ მიუახლოვდნენ, ირაკლიმ ყანებისკენ აიღო გეზი და სოფელს შეუმჩნევლად აუარეს გვერდი. ერთი ეგ იყო, ვადაღმა ფერდობიდან მეძროხე დიდომ დაკვირვებით გადახედა დართლოსაკენ მიმავალ ბავშვებს და რატომღაც ძროხებს გაუჩარდა. აქ, წყაროსთან ფიჭრობდნენ შესვენებასა და დანაყრებას, მაგრამ ისევ განაგრძეს გზა, მეძროხის დაყინებული მზერა არ მოსდიოდათ თვალში. მხოლოდ მათარა აავსეს წყლით — ირაკლიმ თქვა, როგორც გაგონილი მაქვს, ამის შემდეგ წყალი კარგა ხანს აღარ შეგვხვდებო. მათარა კახამ ჩამოიკიდა ქამარზე.

კარგა მანძილი გაიარეს, ვიდრე მეძროხე და ძროხები თვალს მიეფარებოდნენ.

„ზბო, ბოჩოლა, დეკეული, ძროხა, ფური...“ — ჩაინიშნა კახამ გონებაში.

მზე მალა წამოვიდა. ორივე თავისთვის ფიქრობდა, რომ ახლა შენაქოში მათ ძებნაში იქნებოდნენ, ხმამაღლა კი სულ სხვა რამეს ამბობდნენ.

— მანანა რატომ ასე უცნაური კილოთი ლაპარაკობს? — იკითხა ირაკლიმ.

— დედა უკრაინელი ჰყავს, თანაც მაგათ ოჯახს სულ საზღვარგარეთ უხდებოდა ცხოვრება... მოდი აქ დავისვენოთ. ვალმა გაიხედე, რა ლამაზი ადგილებია.

აქაფებული ჩაჩქერი თეთრ ზოლად ჩასდევდა მწვანე მთას. იქით, ხევში ჩაჩხილი ზეავი მოჩანდა. კახამ ღურბინდი გაუწოდა ძმობილს.

ჩამოსხდნენ ქვებზე და ზურგჩანთა გახსნეს. კახას მარცხენა ფეხი აწუხებდა, ეტყობა, კენჭი ჩაეარდნოდა. კედი გაიძრო და გადმოაბრუნა.

ამ დროს ქვების ჩხრიალი მოისმა, ჯაბომ დაიყეფა და შარვალი გამოქაჩა ირაკლის. ირაკლიმ გაფაციცებით მიუგდო ყური, მერე კახას მკლავში წასწვდა და თან გაიყოლა. ის იყო, გადმოშვერილი კლდის ქვეშ დადგა სამივე, რომ კლდეზე ქვა-ლორდის ნაშალმა გადაიარა. როცა მტვერი ჩადგა, კახამ იქით გაიხედა, სადაც წუთის წინ ისხდნენ, და ადგილი ვეღარ იცნო. ზურგჩანთა აღარსად ჩანდა. ირაკლის გაშლილ სუფრას კი უზარმაზარი ლოდი გადაჰფარებოდა.

— მომეცი ეგ მათარა... — ხმა ამოიღო ირაკლიმ.

კახამ მათარა ქამრიდან შეიხსნა და მიაწოდა. ირაკლიმ თესახური მოხსნა და მოიყუდა.

— ახლა შენ!

— არ მინდა.

— დალიე, საჭიროა! — დააძალა ირაკლიმ.

კახამ წყალი მოსვა და ცოტა შვებით ამოისუნთქა.

— ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია, ხომ იცი, — თქვა ირაკლიმ და ჩარდახიდან გამოვიდა. — შენ ფეხზე ჩაიცივი, მე ცოტას გავიხედ-გამოვიხედავ, რა მოხდა. ეეჰ! რა დანა მოიყოლა ქვეშ ამ ლოდმა! — სინანულით აღმოხდა მერე. — ჩვენს საუზმეზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია... ზურგჩანთა მაინც არ გადაეძახა ამ აგორებულ ქვა-ლორდს უფსკრულში. გამოიწი აქეთ, შენც შენს ბარგი-ბარხანას უკან არ გამოუდგე ამ ქარაფზე.

კახას ახლავა გაახსენდა, რომ ცალ ფეხზე გახდილი ჰქონდა. კედი აღარ ჩანდა, ალბათ გაქცევის დროს ხელიდან გაუვარდა. მაინც რა ფეთიანივით უბიძგა და გაიყოლა ირაკლიმ. ძალიან კი გადარჩნენ. კედი აქ სადმე ეგდებო, გაიფიქრა და ძებნას შეუდგა. ამოდ. დურბინდი ისევ იმ კუნძულზე იყო, ირაკლიმ რომ ადგილი მიუჩინა სუფრის გაშლის წინ.

ირაკლი მობრუნდა, კახას გვერდით ჩამოჯდა.

— რას გაიგებ, რა მოხდა იქ, ზევით. გაივლიდა რაიმე სულეერი, შეფრთხებოდა, დაძრავდა ქვას. ქვა ქვას გაიყოლებდა, ქვები — ლოდს, ლოდი კი ყველაფერს, რაც გზაზე გადაელობებოდა. ეს რა არის? — ფეხზე მიუთითა.

— კედი აღარსად ჩანს.

ირაკლიმ მხოლოდ ხელები გაასახსავა. შემდეგ დაიხარა და კალოში წაიძრო.

— ჩაიცივი.

— რას ამბობ? მაგას არ ვიზამ არაფრის გულისათვის! — ჩაიცივი, მე უფრო მიჩვეული ვარ...

ამ ლაპარაკში იყენენ, რომ გზაზე სწრაფად ჩაიქროლა მხედარმა.

— მანანა: — აღმოხდა გაკვირებულ კახას.

მეორე მხედარმა მოასწრო ცხენის შეჩერება.

— ყორანა! — ახლა ირაკლიმ წამოიძახა და ცხენს კისერზე ჩამოეკიდა.

გიგის სახეც თმებივით გასწოლდებოდა.

— აჰა, ძმაო, ჩაიბარე შენი ქურანი! — გიგი ცხენიდან ჩამოხტა და სადავე გაუწოდა პატრონს. — მანანას მარტო ხომ ვერ გამოვუშვებდი... ჩემს ცხენზე შევესვი, ის უფრო თვინიერია.

მოსახვევში მანანა გამოჩნდა, ცხენი სადავით მოჰყავდა. პატარა მათარას ჯინსის შარვალზე იტყაუხებდა.

— თქვე კაი ხალხო, ეთნოგრაფიის წრეში არ ვმოდ-ვაწეობთ, — კახას გადახედა, — მაგრამ ზოგიერთი რამ



ჩვენც გვიანტერესებს, მაგალითად, წეს-ჩვეულებანი და სხვა და სხვა... განსაკუთრებით ჩონჩხების ნახვა...

კახამ და ირაკლიმ ერთმანეთს გადახედეს, საიდან გაიგო ჩვენი ექსკურსიის მიზანი.

— როდემდე ვიდგეთ? — იკითხა მანანამ. — მე უკან წამსვლელი არა ვარ, თქვენი არ ვიცი!

გიგიმ ირგვლივ მიმოიხედა. ლოდის ქვეშიდან მტვერ-სა და მიწაში ამოგახგლული ხაჭაპური მოჩანდა.

— ეს თქვენს აქ ყოფნაში მოხდა?... გადარჩენილხართ! მანანამ უნაგირზე მიმაგრებულ ზურგჩანზე მიუთითა გიგის.

— წავისაუზმოთ, ჩვენც ხომ მშვიდები ვართ. — ზურ-ჯინის თვლიდან ყველისა და კარაქის მუტურბროდები ამოალავა. — ჯერჯერობით ეს უკეპაროთ. წინ გზაა, თურ-მე არც ისე მოკლე.

ბიჭებმა ცხენებს აღვირები აჰყარეს და ბალახზე მი-უშვეს.

ყველაფერი წამში გააქრეს. ჯაბომ სიამოვნებით მიირთვა ორივე ბუტერბროდი. მანანამ ახლა ნამცხვარი ამოაძვრინა ხურჭინიდან.

— ვიფიქრე, ნამცხვარი მზად მქონდეს, იქნებ ბეჭი მომტაცონ-თქო... ამით უყურე! როგორ ხმას არ იღებენ! არაფერს და არავის კითხულობენ! — თანდათან გაცხარდა მანანა. — ეს მე მიგიხვდით ეშმაკობას. გიგი გავიყოლე და ცხენი გადავმალეთ. დილას რომ არ დამძინებოდა, საცხენე ცერზე დაგვდებოდით. მაგრამ ამან თურმე ჩემი გაღვიძება ვერ ვაბედა დროზე. ისე კი კარგად გითვალთვალათ! ეგ არაფერ შუაშია, მე დავავალე... შენს ბერდელას ვაჟაკურად ეჭირა თავი, — მიუბრუნდა კახას. მე წერილი დავტოვე და წამოვედი. ისე კი ჩვენები სასალამოდ არ მომიკითხავენ, ტყეში ვგონივარ წასული ხეფაის საკრეფად.

შორიდან ცხენების ფრუტუნის ხმა მოიტანა ნიაემა. დაფაცურდნენ ბიჭები, ცხენები მოიყვანეს, მოსართავები შეამოწმეს. მანანა და კახა ამხედრდნენ, გიგი და ირაკლი ფეხით გაუდგნენ გზას. კახა უარობდა, მაგრამ ირაკლიმ გააჩუმა.

— როგრიგობით შევსხდებით, უკიდურეს შემთხვევაში ორ-ორიც შეიძლება. სადმე გზასაყარი შეგვხვდება, გადავიდეთ ბილიჯზე, მგზავრებს ავერიდოთ. ჯაბო. ჩუმაღ!

XIV. ვიღრე მტკვარს ნახავდა, გიგის ეგონა, ყველა მდინარეს ალაზანი ეჩვენა. ხმაურიან ღატლოში, გიგის ნათესავთან. მკურნალი მანანა. გემრიელი ვახუშაძე.

სალამოდებოდა. ხიდზე სოფლის საქონელი გადადიოდა. მანანა კარგა ხანს უყურებდა გაღმიდან ფერდობზე შეფენილ დართლოს. ციცაბო კლდეებზე აშენებული კოშკები მდინარეს გადასცქეროდნენ. ამ სოფელს ორი წბრიდან ჩამოუდიოდა აღრიალებული და აქაფებულო მდინარე.

— ასეთ ხმაურში როგორ იძინებენ? — გაუკვირდა მანანას.

— აღამიანი ყველაფერს ეჩვენა, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ.

— თუშეთში ყველა მდინარეს ალაზანი ჰქვია. ეს პირიქითის ალაზანია, არის კიდევ გომეწრის, ჭანჭახოვნის და ჩვენი — ჩაღმისა. ყველა ესენი ჩვენს შენაქოსთან იყრიან თავს და დაღესტნისაკენ მიემართებიან. იქ უკვე ანდის-სიოსულ ნათლავენ. ეს გვიან გავიგე. ბარში ჩავალთ და იქაც თუშეთის სოფლებს — ზემო ალვანსა და ქვემო ალვანს ალაზანი ჩამოუდის. როცა მამაჩემმა თბილისში წამიყვანა, გავცებულმა წამოვიძახე, ეს რამხელა და რა მღორე ალაზანი მოედინება-მეთქი. გაიცინეს, ეს ალაზანი კი არა, მტკვარიაო. მანამდე მეგონა, ქვეყნად ყველა მდინარეს ალაზანი ერქვა, — გაიღიმა გიგიმ.

საქონელი სოფლის ვიწრო შუკებში მიიძალა. ხეობიდან მონაბერმა სუსხმა ვამოაფხიზლა ბავშვები. მანანამ ქურთუკის ლილები ბოლომდე შეიბნია, თავზე კაპიშონი წამოიფარა და თქვა:

— ახლა ეგ თემურლენგი შესვით ცხენზე, ასე აკოტლებული ხომ არ შემოვა დართლოში... არჩევანის დრო აღარა გვაქვს. ახლა შეშის მოგროვება ძნელია, უკვე ბნელდება. თქვენი ჯემპრები გადაჩეხილ ხურგჩანთაშია. კოცონთან ღამის გათევა უფრო ზემოთ მაინც მოგვიწევს. ახლა კი გიგის აქ ნათესავები ჰყავს, იმათთან უნდა გავჩერდეთ. როცა ამის შესაძლებლობაა, წინააღმდეგობა უსაფუძვლოა. — ჩააჩუმა კახა და ირაკლი, რომლებიც შელაპარაკებას შეეცადნენ. — გიგი, გავვიძებ!



გიგი სოფლის გზას დაადგა.

ირაკლიმ კახას ანიშნა ცხენზე, შეჩექქო, თვითონ უკან შემოუჭდა და ასე მიჰყვენენ წინ წასულ გიგის და მანანას.

სოფლის სიახლოვე ჯაბოს ყველაზე მეტად ესიამოვნა, წინ გავარდა, მალ-მალე იყურებოდა უკან, მომდევნ თუ არაო.

კოშკთან გიგი თავის ნათესავს, ახალგაზრდა ქალს მიესალმა. ქალს ხელში ძუძუთა ჩვილი ეჭირა. ბავშვებს მიეგება და შინ შეიბატიყა — სახლში, რომელიც კოშკს რიკულებიანი აივნით უერთდებოდა.

მანანა და ქალი დაბლა სართულის სამყოფო ოთახში შევიდნენ, სადაც ბუხარი გიზგოზებდა. ქალმა ბავშვი ტახტზე მიაწვინა, შიგა კარით საჩეხში გავიდა.

მანანა ბუხარს მიეფიცხა. ქურთუკი გაიხადა, კუნძისაგან გამოჩორკნილ სკამ-სავარძელში მოიკალათა. ბიჭები ალბათ ცხენებს აბანავებენო, ერთი კი გაიფიქრა და თვლელა მოერია. მაგრამ როგორც კი კახა შემოვიდა, თვალი გაახილა.

— სიკვდილსამც დაავიწყდები! — რატომღაც ბერდელის საყვარელი გამოთქმა გაახსენდა.

დაფაცურდა, საჩეხში გავიდა, იქიდან ტაშტი და ტილო შემოიტანა. ზედადგარზე შედგმული ქვებიდან ტაშტში ცხელი წყალი გადმოასხა, თუნგიდან ცივი დაუშატა.

— გემსახურები, როგორც მოწყალეების და. — ტან-
ტის ქვეშიდან საშინაო ჩუსტები გამოიღო და ისინიც კა-
ნას წინ დაუწყო.

ვიდრე კახა ფეხებს იბანდა, მანანა თავის ხურჯინში
აფათურებდა ხელებს და რაღაც კოლოფებს ხსნიდა.

კახამ ფეხები შეიმშრალა, ჩუსტები ჩაიცვა და ტამტი
გარეთ გაიტანა.

მანანამ დამსკდარ ქუსლზე მალამო დაადო და ბინტი
შეუხვია.

ბავშვმა წამოიტირა. მანანა მივარდა, ხელში აიყვანა
და დილინი წამოიწყო.

კახას ქუსლი დაუამდა, ბუხარს მიაჩერდა. „რა მწარეა,
როცა რაიმე გტკივა... დედას კი რა ხშირად აწუხებს
გული...“

დიასახლისმა სამფეხა მაგიდა ჩადგა სკამ-სავარძელსა
და ტახტს შუა.

გარედან ბიჭების ხმა მოისმა. ეტყობა, ერთმანეთს ხე-
ლებს აბანინებდნენ, ხმაურობდა ტამტში ჩაღვრილი წყა-
ლი.

ქალმა ცხელ-ცხელი მაჭკატები და ტაფით ხავიწი შე-
მოიტანა. საშაქრეც მოაყოლა. ფინჯნებით ადუღებული
რძე ჩამოდგა. ჯაბოს საჭმელი გარეთ გაუტანა. ბიჭებს შე-
მოუძღვა ოთახში და ყველა სუფრასთან მიიწვია. მერე
მანანას ბავშვი გამოართვა, აკვანში ჩავაწვეწო.

— აქა მშვიდობა! — თქვა ირაკლიმ შემოსვლისას.

ბავშვები მაღიანად შეექცნენ გემრიელ საჭმელს. ირა-
კლი და გიგი მაჭკატებს ხავიწთან ერთად ჭამდნენ, კახა
და მანანა კი შაქრის ფხვნილს აყრიდნენ.

**XV. სივრცეში ფარგატულადაა ალისფერი მანდილი.
ზვავი ახლოდან. მიტოვებული სოფლების სვავა. თუ-
შეთს საბაჟანო გზა აალიან, აალიან სპირადააო, —
დაასავენს მემოგრაჟაა.**

დილით ირაკლის ბავშვის ტირილზე გამოეღვიძა. კე-
დელზე მიმავრებული უზარმაზარი რქების დანახვაზე გა-
მოფხიზლდა.

კედლის შთელ სიგრძეზე გაჭიმულ ტახტზე მისი მე-
გობრების ლოგინები იყო ჩარიგებული.



ირაკლიმ ჩაიცვა, გიგის თავზე წაფარებული საბან-
გადაუწია და ხმადაბლა დაუძახა. გიგი თვალბრ-
ფმუნეტით წამოჯდა ლოგინში, ირგვლივ მიმოიხედა. ირაკ-
ლიმ ხელით დანარჩენებზე მიუთითა და გავიდა.

მალე ყველამ თავი მოიყარა დაბლა ოთახს. სადაც
დიასახლისს ქაფქირით ხინკალი ამოჰქონდა მოთუხთუხე
ქვაბიდან და ხონჩაზე აწყობდა.

— წუხელ გვიან ჩემი ქმარი ჩამოვიდა ბინიდან, ახალი
ხორცი მომიტანა. უკვე წავიდა... ვუთხარი, რომ თქვენ
იქით მიემგზავრებით აკლამების სანახავად...

ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს, გიგომ თავი ჩალუ-
ნა, წინდის თასმას დაუწყო სწორება.

— ნაბადი დაავიწყდა... ხომ ვერ გაიყოლებთ? შეიძ-
ლება მობრუნდეს და გზაში შეგხვდეთ...

— მაგაზე როგორ დაგზარდებით! — მიუგო მანანამ.
ბავშვებმა ისაუბრეს, ცხენები მოიყვანეს და შეკაზ-
მეს. დახვეული ნაბადი სართად დააკრეს მანანას ცხენს.
ქალმა კახას ქალამნები და ჭრელი წინდები გამოუტანა.
ისე გულთბილად გაუღიმა, რომ უარს ზრდილობის გუ-
ლისთვისაც ვეღარ შეჰკადრებდი.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო! რა წინდები და ფენ-
საკმელი გაირტყი! — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და კახას
ბკლავი გადახვია. — ამჯერად მე ჩაგაცმევ ქალამნებს.
ჩვენი პაპები სულ ასე დადიოდნენ, ახლაც ასე დადიან
მონადირეები.

მანანა ბავშვს მიეფერა, მერე დიასახლისს დაემშვი-
დობა და საოცრად გაბერილ თავის ხურჯინს ხელი მოჰ-
კიდა. ემძიმა.

გიგიმ ყველას დაასწრო, ხურჯინი უნაგირზე გადაკი-
და; მანანას უზანგი დაუჭირა და ხელი შეაშველა. ცხენ-
ზე ამხედრებული ირაკლი და კახა უკვე გზას დასდგომო-
დნენ. გიგი მანანას მიჰყვა.

ვიდრე თვალს მიეფარებოდნენ, ხელს უქნევდნენ ბავ-
შვიან ქალს ალისფერი მანდილი თანდათან ფერმკრთალ-
დებოდა სივრცეში.

გაუარეს დართლოს წისკვილებს და ისე უცებ მიადგ-
ნენ ჩაჩხვილ ზვავს, რომ მანანა ადგილზე გაქვავდა ცხე-
ნიანად, რა არისო. ცხენიდან ჩამოხტა. ბიჭები რომ მოახ-
ლოვდნენ, ხმა ამოიღო:

— წუხელ ჩვენი დიასახლისი მიყვებოდა, სამიოდ
წლის წინ თურმე ზვავმა სოფელში რამდენიმე სახლი და-
ანგრია. მადლობა ღმერთს, სახლებში არავინ ყოფილა,
ზამთარში ხომ სულ რამდენიმე ოჯახი რჩება მთაში... ნა-
ხეთ, რა სისქისაა ეს დაწნეხილი თოვლი.

კახაც არანაკლები ინტერესით ათვალიერებდა მდინა-
რეზე გადაწოლილ ზვავს.

ირაკლი სადღაც გაქრა. გიგი ცხენებთან ტრიალებდა.

მანანამ ზვავის სურათები გადაიღო. ამასობაში ირაკ-
ლიც გამოჩნდა ხელში ბალახით.


— ეს ქუჩია, — უთხრა კახას. — ქალამნებში უნდა
ჩაგიფინო, თბილადაც გექნება ფეხები და რბილადაც.
აბა, გაიძრე!

კახამ ჩაიმუხლა და ქალამნის თასმები შეიხსნა.

ირაკლიმ აჩვენა, როგორ უნდა ჩაეფინა ქუჩი. მეორე
ქალამანი კახამ თვითონ გაიმზადა. შემდეგ ჩაიცვა. ირაკ-
ლი თვალყურს ადევნებდა.

— ყოჩაღ! აქ ასე უნდა ამოსდო. მარჯვედ კი ჩაიცვა,
თითქოს ქალამნებში დაიბადაო. — გადახედა მეგობრებს.

ისევ აღმართ-დაღმართებს შეეკიდნენ ზან ფეხით, ზან
ცხენებით. ამ გზაზე მეცხვარეების გარდა იშვიათად თუ
ვინმე გაივლიდა, რადგან აქეთ აღარსად იყო დასახლებუ-
ლი სოფლები, მიტოვებული კი — რამდენიმე.



საოცარი გრძნობა დაეფლათ ბავშვებს, როცა მიტოვებულ სოფლებს — ფარსმასა და გირვეს ათვალიერებდნენ. ნახევრად დანგრეულ სოფლებში მათი ხმების ექოს ყველა შუკა ერთმანეთს გადასცემდა, მერე ხეებში იმეორებდნენ და სადღაც შორს მთებში იკარგებოდა.

— ეს კი არ მომწონს, რატომ აიყარა ხალხი? — აყვირდა მანანა. — ახლა აღარც მეზობელი ტომები აწიოვებენ, აღარც ჭირი მუხრავს ხალხს, მაშ რა აკლიათ? მიპასუხე, გიგი, შენ ზამთარსაც მთაში ატარებ.

— ჯერჯერობით სამანქანო გზა აკლიათ, — მიუგო გიგი. — გაიხედეთ, რამდენი საძოვრებია! გზა თუ იქნება, სოფლები არ დაცარიელდება. გზა კი აქაც მალე აძოვავ.

ბავშვებმა წამოკრიფეს ბარგი-ბარხანა და გზას დაადგინენ.

XVI. აკლდამები — სამომ სამარხები. დევხირების ძვლები. წარწერა სივ ძვალზე. უცნაური ფარული მზის სადილაგაღად. საოცნებო დეიის ყვავილანი. გიგის ლამისი შემთხვა. ძილი საერთო ნაგდის ძვალზე.

გარედან აკლდამებს თითქოს ისეთი უჩვეულო არაფერი ჰქონდათ, როგორც აქამდე წარმოედგინათ ახსასა და მანანას. მავრამ შიგნით...

ჯერ გიგიმ და ირაკლიმ შერგეს თავი ერთ-ერთ აკლდამაში.

მანანამ ხურჩინიდან ბოთლიკა და რაღაცა ჩერები ამოიღო. ჩერები ჯონზე დაახვია, ბოთლიკა ხელში დაიჭირა და ისე შეძვრა აკლდამაში. კახაც მიჰყვა.

ჯაბოსაც უნდოდა შესვლა, მაგრამ ირაკლიმ დაუტანა:

— ჯაბოხანე, გარეთ გვიყარაულე!
ჯაბო ვაბრუნდა.

— წუთხელ გამახსენდა, რომ თქვენი ფარანი ზურგჩანთამ გაიყოლა და აი, რა მოვიმარავე. გიგი, ასანთს გაყარე, აქ ვერაფერს ვხედავ. — მანანამ ბოთლიკას საცობი მოხსნა. ჩერებს ნავთი დაასხა, გიგის ასანთს მიუშვირა და ჩირაღდანიც აბღღვრიალდა.

ჩირაღდანი კედელში გაამაგრეს, ირგვლივ განათდა და ბავშვებმა პირი დააღეს. ხომ მოელოდნენ რაღაცა ამის მაგვარს, მაგრამ ჰანც შესაზარი იყო აქაურობა. ყველგან ადამიანის ძვლები ეყარა.

ტახტის მსგავს შემადლებულ ადგილზე მიიკუნჭნენ და იქიდან ათვალიერებდნენ აკლდამას. ერთ-ერთ კუთხეში ორმო მოჩანდა. ისიც ძვლებით სავსე.

როცა ცოტა მიეჩვივნენ გარემოს, გიგიმ ხელში აიღო ერთი გრძელი ძვალი, რომელსაც კარგა ხანს უთვალთვალებდა შორიდან. კახა დაკრეჭილებიდან ყბას მისწვდა.

— ძალიან გთხოვთ, ნუ მაძულებთ ხელით შევეხო ამ... ამ... — ხმა ჩაუწყდა მანანას.

— ნახეთ, წვივის ძვალია! ამისი პატრონი გოლიათი უნდა ყოფილიყო, მე რომ ბარძაყამდე მომწვდა!.. — წამოძახა გიგი.

— ახლა ამ ყბას შეხედეთ! — გაეპასუხა კახა, რომელსაც კბილებიანი ჩანა საფეთქლებამდე შემოსწვდა.

— ცოდვა არაა, ამისთანა დევხირები რაღაცა შავ ჭირს გაეწყვიტა, როცა გარშემო იმდენი მტერი ეხვიათ, — თქვა მანანამ. — ვინც იგრძნობდა რომ ავად ვახდა, თურმე თავისი ფეხით მოდიოდა აქ, რომ ახლობლებს არ გადასდებოდათ ავადყოფობა. რამოდენა კაცთმოყვარეობაა! ამის მსგავსი არსად არაფერი გამიგონია!

გიგი ასანთით ხელში სიბ ქვეებს ათვალიერებდა. ერთი ქვა ჩირაღდანთან ახლოს მიიტანა. კარგა ხანს დასცქეროდა.

— მისძინეთ, რა წერია:

„ერთ ესაც მინდა ვიკითხო, — ჩემ სიკვდილს ვინ იტირებს? — ვინ ჩამოაფრქვევს ცრემლებსა, საქმეს ვინ გაიჭირებსა?“

დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა...“
— შენი ჭირიმე, გიგი, ამ გარემოში ეს უკვე მეტისმეტია!.. — შეაწყვეტინა მანანამ. — წერტილი სიკვდილს! ესვამ სიცოცხლის სადღეგრძელოს! გიგი, ალავერდი შენთან!

გიგიმ ხელი ისე აიქნია, თითქოს თასს შეაგებო, მერე მალა ასწია:

— „და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე“... — აიტაცა შემოთავაზებული სადღეგრძელო. გასულ ზაფხულს ნაცნობმა გეოლოგმა, რაკი შეატყო ლექსებით დაინტერესება გიგის, სხვადასხვა პოეტის რამდენიმე პატარა კრებული დაუტოვა. გიგიმ ბევრი ლექსი დაიხიპირა, ავტორებს კი ერთმანეთში ურევდა.

— ვაჰ! — აყვირდნენ ბავშვები.
ჯაბომ დრუნჩი შემოყო, რა მოხდაო.

თითქოს ამან გაახსენათ გარე სამყარო, ერთდროულად გაიწიეს გასასვლელისაკენ. ირაკლი გაძვრა და შემოტრიალდა, რომ მანანას მიხმარებოდა. მათ კახა მიჰყვა. გიგი იგვიანებდა.

— გიგი, ასე ნაადრევად ნუ დაგვტოვებ!.. — შესძახა მანანამ.

— გაიწიეთ! — დაძახა გიგიმ და აბოლებული ჩირაღდანი გამოისროლა.

— კაი ბიჭი ხარ, შენ რომ მანც არ დაგავიწყდა. — შეეგება მანანა. — ახლა მზეს ცეკვა ვუძღვნათ!..

რაღაც უცნაურ ფერხულს უვლიდნენ, ყველა თავისთვის ცეკვავდა, მოეროდა, ყვიროდა. სიცოცხლე ჩქეფდა ამ ყვავილებით მოფენილ მწვანე შინდორზე გამართულ თაბბრუდამხვევ ტრიალში. აქვილებული ბავშვების ხმები უსასხრულო გამოძახილად გადადიოდა მთებსა და ხე-ვეებზე. ჯაბოც ბავშვებთან ერთად ტრიალებდა და წყავ-წყავებდა. მანანას როცა მანც საოცარი იყო, ინდიელების, ზანგებისა და ევროპელების ცეკვათა შეჯვარების კლასიკურ ნიმუშად გამოედგებოდა. ბოლოს კი ცხვირისახოცი ააფრიალა და კინტოური ჩამოუარა. როცა დაიღალნენ, ბალახზე წამოკოტრიალდნენ. მანანას ყვავილების გვირგვინი დაუწნეს.

ახლა შიმშილიც იგრძნეს. კახა და ირაკლი ფიჩხის მოსაგროვებლად წავიდნენ. ცხენებიც გაიყოლიეს.

— რაც მეტს მოვიტანთ, მით უკეთესი! მთელი ღამე გვენთოს ცეცხლი. იქნებ საღმე მომცრო კუნძებსაც წავაწყდეთ. — განაცხადა წასვლისას ირაკლი.

— ეს ღრუბლები არ მომწონს! — ცას მისჩერებოდა წამოწოლილი გიგი.

გალმა მთაზე ცხვარი შეფენილიყო, თეთრი კენჭებით მოჩანდნენ. სიოს ხანდახან სალამურის ხმა მოჰქონდა მეცხვარე კი არსად ჩანდა, ალბათ საღმე შეფარებულში უკრავდა.

— მაშ ამ ბილიკებით ქისტეთში გადავალთ? — სხვათა შორის იკითხა მანანამ.

— ქისტეთში.

ღრუბლები უფრო ჩამუქდა. დაბრუნებულმა ბიჭებმა გიგის რჩევით მოშორებით მდგარ მწყემსის ქონში შეზიდეს თავიანთი ავლადილება. ფიჩხი და შეშა გორად ეწყო. კერაზე ცეცხლი დაანთეს. იქვე ახლოს წყაროც მოჩუხჩუხებდა.

წუხანდელ დიასახლისს ბევრი საჭმელი ჩაეწყო ხურჩინში. ცელოფანის პარკში დამარილებული ხორციც აღ-



კლებიც შამფურებზე წამოაცვა, ნელ ცეცხლს მიუფიცა. ვიდრე მწვადი შეიწვებოდა, ირაკლიმ და გიგიმ კარგა ბლომად მოიტანეს დეკა და შემოსასვლელში დაყარეს. გაბრუნდნენ, რომ ცხენებისათვის ადგილი შეეცვალათ და პალოები საიმედოდ ჩაერჭოთ მიწაში.

გიგიმ გზიდან მიიძახა მანანას, დეკას მიხედევო.

„ნეტა რა მანიშნაო“, გაიფიქრა მანანამ და დეკის ლეროებს თვალი გადაავლო. აქა-იქ ყვავილებს ამოეყო თავი. უცბად წამოხტა.

— ამას რას ვხედავ! — ყვავილები მოატეხა, დიდხანს ათვალიერა, შემდეგ ქონის კედლებში ჩაარჭო. — როგორ დახატა ეს შავი ფიქალი ამ თეთრმა ყვავილებმა! — წამოიძახა გახარებულმა. — დეკა ადრე ყვავისო, მითხრა ბერდელამ, ეს დაგვიწებულ ყვავილობაა. მარტო ამ ყვავილების სანახავად ღირდა აქ წამოსვლა, კახა.

სადილ-ვანშამმა მხიარულად ჩაიარა. პირველი შამფურით მწვადი ერთგულ მეგობარს ჯაბოხანეს მიართვეს.

მალე სულ ჩამობნელდა. ქარმა წამოუბერა და წვიმაც წამოვიდა. წვიმა თავსხმამ შეცვალა. საიდანღაც თოფის ხმა შემოიჭრა ქონში.

მანანამ ხურჯინიდან წვრილად დაჩეხილი კვარი ამოაწყო. ირაკლიმ ცეცხლი მოუკიდა და კედელში ჩაარჭო. ქონი უფრო იკანათდა.

გარეთ ელვა-ჭექამ იმატა. როგორც კი ელვა გაიკლაკნებოდა ცაზე და მანანა ქუხილის მოახლოებას იგრძნობდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

— ქუხილისა ქალაქშიც მეშინოდა. მაგრამ მთაში მაინც რა ყოფილა! თითქოს ცას ხელით მისწვდებო, ისე ახლოს გგონია...

ბიჭები ცდილობდნენ მანანას, ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანათ.

— მანანა — გაჭირვების ტალკვესი... გამოვიდა ვერაფერი ნაკვესი... ნამდვილად ღექსის ღირსი ხარ, მაგრამ პოეტი რომ არ ვარ! გიგი, შენ თუ იკვიხსნი. — კახამ კუთხეში მიყუდებულ სიპი ქვა შეარჩია და იგივეს დაუდო მუხლებზე. — ეს რვეული, ესეც კალამი! — ჯიბიდან დანა ამოიღო, გადახსნა და გაუწოდა.

— ხმა არ ამოიღოთ, მეც სამუშაო მაქვს, — განაცხადა მანანამ და ჯიბეები მოიჭექა, ბლოკნოტი და კალამი მოიმარჯვა.

კახა და ირაკლი ლოგინის სამზადისს შეუდგნენ. კუთხეში დეკა გაშალეს. ნაბადს თასები შემოსხნეს, შიგნით საძილე ტომარა აღმოჩნდა. ეს გიგის ოინებია, რა კარგად მოუფიქრებიაო, ჩაილაპარაკეს. ირაკლიმ ჯაბოსაც მიუჩინა დასაწოლი ადგილი.

გიგიმ ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ნძივე ტვირთი მოიხსნაო, და წამოდგა. თმაზე ხელი გადაისვა, ქამარი გაისწორა, თვალები ერთ-ერთ ყვავილს მიაპყრო და ღექსი წაიკითხა. მხოლოდ ერთხელ ჩახედა ქვის ფურცელს.

სწავლა-განათლებას — ევროპულს, აზიურს ერთი გასჩენია საგუბარი...

შეუნდეთ, მთებო, მანანა აზიკურს რუსულ-ინგლისური საუბარი.

ხმას არავინ იღებდა.


— პირველი ნაწილი რაღაც... — წამოიწყო კახამ.

— აჰ, არ თქვა!... — გააწყვეტინა მანანამ. — დიდი მადლობა, გიგი! — ხელი გაუწოდა.

მას ბიჭებმაც მიბაძეს ხმაამოუღებლად. დუმილი მანანამ დაარღვია:

მოჩნდა. ირაკლი და კახა შამფურების გათლას შეუდგნენ. გიგიმ ხორცი სამწვადედ გაამზადა. მანანა სუფრას შლიდა, საჭმელს ალაგებდა ღოღოსა და ბუერას ფოთლებზე. გიგიმ ნალვერდალზე ყველასთვის საათათაო შამფური ჩამოამწკრივა.

— ცივ ხინკალს რა ვემო აქვს! — წამოიძახა და ხინ-



— აუჰ, ისევ გრუხუნებს ცა! ახლა კი, მეგობრებო, შეძინება.

ბიჭები დაფაკურდნენ, საძილე ტომარა შესთავაზეს. მანანამ თვალები დააჭყიტა, მაგრამ აღარაფერი თქვა. ქურთუკი გაიხადა, რეიტუსსა და ჯემბრში გამოწყობილი ჩაძვრა ტომარაში.

გივიმ ჯევიმიანი ჩული ააძრო თავის უნაგირს და ისიც ზედ მიაფარა. ბიჭები გაუხდელად დაწვენენ დეკაზე და ნაბადი გადაიფარეს.

სახურავზე მოელი ღამე წვიმა ცეკვავდა.

XVII. დაუპატიჟებელი სხუამარი. მანანა იოვანის მარჯიშავს ასრულავს. კათილზოგილი ლითონის მამიშავლავი. მთის ბროლი საჩუქრად. კახას თავილიალი მამოვალი. მიაპატიჟავს ცხვირის ბინაში.

ჯაბო იღრინებოდა, მაგრამ გივის დაეხარა თავის წამოწევა. ხმელ უნაგირზე მიდებულ კისერი დაბუქებოდა. ხელით მოისრისა.

— ოჯახიშვილებო! — დაიძახა ვილაცამ.

გივიმ ნაბლის კიდე გადასწია, გაიხედა. მოშორებით თოფიანი კაცი იდგა და ქოხისაკენ იყურებოდა. ეტყობა, ჯაბო არ უშვებდა ახლოს.

ირაკლიმაც წამოიწია.

— ჯაბო, გაჩუმდი! — დაუყვირა გაავებულ ძალს.

— კაცო, ეს რა აფთარი გყოლიათ! ვიფიქრე, ბავშვებს ცეცხლი არ ჩაუქრეთ, მივხედავ-მეთქი, მაგრამ ვინ მოგიშვა ახლოს.

ირაკლი სიცივემ აიტანა, აკანკალდა.

— შეწეკი ისევ ნაბადში, ახლავე გავადვივებ ცეცხლს.

— უცნობმა ნაცარი გამოქექა, ნაღვერდლებს ერთად მოუყარა თავი, ხმელი ფიჩხი მიაყარა და რამდენჯერმე შეუღებრა.

— აი, ბუკვანი დაუმატეთ! — მანანამ კვარის ღერები მიაწოდა.

— ავაშენა ღმერთმა! დილა მშვიდობისა! — მიესალმა უცნობი მანანას.

— თქვენ დართლოდან ხომ არ ბრძანდებით? — დაინტერესდა მანანა.

— არა. მაგრამ სწორედ ერთი დართლოელის თხოვნით ვარ აქ მოსული. ბინიდან იღურბინდით გზვერავედით. ასე ითქმის ამ სიტყვებს ცუდად ნუ გამიგებთ. მთას თავისი კანონები აქვს. ამ ვადაკარგულ ადგილას ყველა ერთმანეთს ვუთვალთვალვებთ, რომ ვაჭირვებამი მივეზმაროთ. ნადირიც საკმარისი დაეხეტება.

ცეცხლი საამოდ აგიზგიზდა.

საძილე ტომრიდან გამომძვრალი მანანა სახსრების იოგურ ვარჯიშებს ასრულებდა. მერე ჯინსის შარვალი ჩაიცვა, ქურთუკს ხელი დაავლო და ცეცხლთან გაჩნდა. ბიჭებმა ზრდილობიანად დაიხიეს უკან.

წყაროს გვერდით ამომავალ ბილიკზე ზურგჩანთამოკიდებული სამი მგზავრი გამოჩნდა.

— გეოლოგები არიან, — თქვა უცნობმა. — სპეცრეისს ელოდებიან ამ დილას, შენაქოში აპირებენ გადასვლას.

შენაქოს ხსენებაზე ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ჩვენ ცხენებით ვართ!.. — მტკიცედ თქვა მანანამ.

— თუკი სურვილი არა გაქვთ, თქვენი ნებაა. თქვენს ამხელა ვაჟკაცობას ჩვენ ვერ გავაუფასურებთ.

— ერთად მოვედით, ერთადვე დავბრუნდებით!

ამასობაში მზეც ამოვიდა. ბალახებზე დაღვრილი ცვარი ცისარტყელას ფერებით გაბრწყინდა.

გეოლოგები ახლოვდებოდნენ. როგორც კი გივიმ შეამჩნია, რომ ერთი მათგანი ქალი იყო, მაშინვე ადგილს

მოსწყდა და შეეგება. ქალს ზურგჩანთა ჩამოვარდნა მოიკიდა.

ბავშვები მალე გაუშინაურდნენ მოსულებს.

მანანამ გეოლოგ ქალს თავისი ადგილი დაუთმო ცეცხლთან. შემდეგ რაღაც გაახსენდა, ახლოს მიუჩოჩდა.

— მთის ბროლის ნიმუში თუ გაქვთ?

ქალმა ზურგჩანთა გახსნა, ბროლი გაუწოდა.

მანანამ ყველა მხრიდან გულდასმით დაათვალიერა.

— მე უფრო წახნაგოვანი მეგონა, — თქვა სინანულით.

ქერა გეოლოგმა მანანას ნათქვამს ყური მოჰკრა. ჯიბიდან მინის მსგავსი მოზრდილი ნატეხი ამოიღო.

— აილე, მიჩუქნია.

მანანამ მძღობა გადაუხადა. იფიქრებდით, ხელოსანს საგანგებოდ დაუწახნავებიაო. ბროლმა ხელიდან ხელში გადაინაცვლა.

ამ დროს საიდანაც შვეულმფრენის გუგუნი შემოიჭრა. მალე მოძრავი წერტილიც შეამჩნიეს.

უცნობმა გეოლოგი ქალი გვერდზე გაიყვანა და რაღაცას ესაუბრებოდა, თან ორივე ბავშვებისაკენ იყურებოდა.

— მე თვითონ მივალ ყველას ოჯახში, — უთხრა ბოლოს ქალმა.

შვეულმფრენი თანდათან ახლოვდებოდა. ვიდრე იგი დაბლა დაეშვებოდა, ბავშვები ერთ ადგილზე ვერ ისვენებდნენ, როგორც კი პროპელერი გაჩერდა, ახლოს მიცვივდნენ.

ქარში მსუქანი კაცი გამოჩნდა.

— ზურა ბიძია! — იყვირა კახამ და გოცებულ მფრინავს კისერზე ჩამოეკიდა. — დედა... დედაჩემი როგორ არის?

— დამენახე, ბიძიკო, რომელი ხარ? — ხმა ამოიღო მფრინავმა. — კახა ხარ, ბიჭო? ეს რანაირად გამოწყობილხარ?

— ზურა ბიძია, დედა როგორ არის? — არ ეშვებოდა კახა.

— დამაცა, აგერ დედაშენის წერილს გადმოგცემ. კი მაგრამ, შენაქოში არისო, მითხრეს... დედაშენი... — კახას შეშფოთება შეატყო. — კარგად არის, ახლა კარგად არის. ოპერაცია... ახ! შენ არ იცი? კაი, ახლა! აგერ, ხომ სცნობ დედაშენის ნაწერს?

კახამ წერილს ხელი დასტაცა და ქოხის უკან გაიქცა.

— გამარჯობათ, ხალხო! — მიესალმა მფრინავი გეოლოგებს. — მოდინართ თუ არა?

გეოლოგები შვეულმფრენისაკენ დაიძრნენ.

— თუ ძმა ხარ, ამ ბავშვებს აქ რა უნდათ? — მიუბრუნდა ზურაბი უცნობს. — თუ გინდათ, ომალოში ან შენაქოში გადავიყვანთ. კახა ჩემი მეზობელია თბილისში. დედამისს გულის ოპერაცია გაუკეთეს... ჰა, მატანთ თუ არა ბავშვებს?

— მე ფერმის გამგე ვარ, კოსტა ანთაიძე. ამ ბავშვებს რამდენიმე დღით აგერ ცხვირის ბინაში ვეპატიჟები. გაცივონ ცხვირ-მეცხვირის ცხოვრება, ჰქონდეთ წარმოდგენა პამა-პაპათა საქმანობაზე.

— ვაშა!.. — აყვირდნენ ბავშვები. — ფათერაკები და თავგადასავლები გრძელდება!..

ამ დროს კახაც გამოჩნდა. თვალები უელავდა. შედგა, მანანას ბლოკნოტი და კალამი გამოართვა. „დედიკო, გილოცავ... გოცნი უთვალავჯერ. კახა“. ფურცელი ამოხია და ზურაბს გაუწოდა.

ზურაბმა ხელი დაუქნია ბავშვებს და კარი მიხურა. შვეულმფრენი ნელ-ნელა ავიდა მაღლა და ხეობისკენ გაფრინდა.




— მტირალი ბავშვი თუ გინახავთ? ეტყობა, არ ელოდა ჩემგან ამგვარ შეკითხვას. გაუკვირდა. არ შეიმჩნია. რა თქმა უნდა, მიაშიტობა ასეთი ბავშვის დასმა დედებისა და ექიმებისათვის. მაგრამ ამ წუთში ისე მაინტერესებს, რას მიპასუხებს...

დიდხანს და გატაცებით მელაპარაკება, რაღაცას ყვება, ადამიანურ ინსტიქტებსა თუ ფსიქოლოგიაზე საკუთარი დაკვირვებით მოძიებულს. რბილად ილიმება, ალბათ, მსმენელის გულუბრყვილობაზე. სათვალის მიწებში ერთ წუთს ძალზე გაურკვევლად ილანდება მისი დაკვირვებული, ცნობისმოყვარე თვალები.

რას გრძნობს პატარა პაციენტთან მარტოდ დარჩენისას? — ალბათ ისეთს, რასაც ძალიან სათუთსა და ფაქიზთან შეხება იწვევს ხოლმე. ეს მოფრთხილების, არაფრისდაშავების გრძნობა ტევაღია, მრავლისმომცველი.

ალბათ ყველას გაქვთ წაიკითხული მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“. არის ამ ზღაპარში ასეთი ადგილი: ლურჯ ფრინველს დადევნებული დამამატილი და მტირალი ამქვეყნად ჯერ დაუბადებელთა მხარეში მოხვდებიან, მხარეში, სადაც ყველაფერს განგების

საქალაქი



მაგრამ არჩენის წინაშე არსებული როლისმე მაინც უნდა დამდგარიყოს და მან მუსიკას მედიცინა არჩია.

ამ დროს მან უკვე იცოდა: სიტყვა-სიტყვით არის ადამიანიც, ისე ვერ შეასრულებს თავის ფუნქციას, ვერ ივარგებს საქმის კაცად, მამულიშვილად, მოქალაქედ, თუ ვერ იპოვა ცხოვრებაში თავისი ადგილი.

ლექციები, სისტემატური პრაქტიკული მეცადინეობები, პირველი კონტაქტი საკუთარ პაციენტებთან, მეცადინეობისა და ფსიქოლოგიური დაძაბვის შემდეგ მოსული პირველი შედეგიანი კონტაქტი.

ინსტიტუტის დროინდელი პედაგოგები... ისინი თითქოს დამოუკიდებლად ცხოვრებას გასწავლიან, ხშირად საკუთარ ნიჭ-უნარს, შესაძლებლობას, გატაცებასაც კი გაცნობენ. მენს ზნე-ქცევას თითქოს პროკრუსტეს სარეცელზე ათავსებენ, რათა მხოლოდ ის დაიტოვო, რაც მენს პროფესიულ ზრდასა და გათავისთავადებას შეუწყობს ხელს, დანარჩენი კი დაგმო და თავიდან მოიშორა.

დიახ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მეცნიერების დამსახურებული

საქვეყანა უნდა...

ცივი, გონიერი ხელი მართავს, სადაც ადამიანურ სიცოცხლეს ჯერ უზიარებელი ბავშვები უკვე ფიქრობენ დიდ, საქვეყნო იდეებზე, რომლებსაც დაბადების შემდეგ უნდა მიუძღვნან თავიანთი სიცოცხლე.

ზოგჯერ, როცა პიროვნების ხასიათისა და პროფესიის ბედნიერ დამთხვევაზე ფიქრობ, ლამის დაიჭერო მეტერლინკის ეს მშვენიერი პიესა-ზღაპარი.

კაცის ბედ-იღბალი ზეცაში წყდებო, — ჩვენი წინაპრები ამბობდნენ. რა თქმა უნდა, ადამიანის ბედისმწერლები არ არსებობენ და არც ამ ბავშვურად გულუბრყვილო, ლამაზი ზღაპრის სიუჟეტი გვიკარგავს რეალობის გრძნობას, მაგრამ უცნაურად, სულსშემძვრელად ლოგიკურია ეს ახალოვია.

საკუთარი მოწოდება, ხასიათისეული ინტერესი არ უძებნიაო, მასზე

ვერ იტყვი. ჯერ კიდევ ბავშვს მამის, ცნობილი ქიათურელი პედიატრის, ყარამან ფაღავას სახელი და ავტორიტეტი იზიდავდა ანდამატივით. მუსიკით გატაცებასაც კარგა ხანს ამჩნევდნენ. ამიტომ თუ იყო, მის მომავალ პროფესიაზე დიდი მსჯელობა არც კი ჰქონიათ ოჯახში. თვითონ გადაწყვიტა, გულისა და გონების კარნახით.

შემდეგ — თბილისი. თითქმის ერთსა და იმავე დროს სწავლობდა ორივეგან — კონსერვატორიაშიც და სამედიცინო ინსტიტუტშიც. საკომპოზიტოროზეც და სამკურნალო ფაკულტეტზეც. ახლა აგონდება — თავისი და მეგობარი ახალგაზრდა კომპოზიტორების მუსიკის რადიოთი მოსმენა ახარებდა ყველაზე მეტად. დიდხანს ეძებდა სულისათვის მთავარსა და აუცილებელს თავისსა და მეგობრების მუსიკალურ ქმნილებებში.

მოღვაწე, დედაქალაქის №1 საავადმყოფოს ბავშვთა სნეულების კლინიკის გამგე პროფესორი ირაკლი ფაღავა საქართველოში ერთ-ერთი პირველი მეცნიერი ქალის აღზრდილია.

პროფესორი მარიამ უგრელიძე რესპუბლიკაში პირველი ბავშვთა სნეულების კათედრის ერთ-ერთი ყველაზე ამავედარი მოღვაწე იყო.

ბატონმა ირაკლიმ მისი მზრუნველობის ქვეშ მოიკლია სტუდენტობა, ასპირანტურა... კათედრის ასისტენტადაც მასთან იმუშავა და დოცენტადაც სადოქტორო დისერტაციაც მასთან ერთობლივი დამსახურის დროს დაიცვა.

საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ სწორედ თავის საყვარელ პროფესორთან, მარიამ უგრელიძესთან ერთად მოიარა ბატონმა ირაკლიმ. ვინ მოთვლის, რამდენი ქართული სოფლის ადათებსა და ხალხურ ჩვეულებებს ჯაყენენ. ექ-

თაფლომ ერთმანეთში ჩახორხლილი ნაცარქათამასა და ძირხვევის შარშანდელი ჩხირები მოიტანა და ეზოში, მწიფე ღვინა ლეღვით სავსე გობთან დააწყო.

თაფლო ყოველ წელიწადს გამოზრდიდა ზოლმე ღობის ძირას ნაცარქათამებსა და ძირხვევებს. შემოდგომაზე მოჭრიდა, ფოთლებს, ყვავილებს შეაკვლიდა, მარტო ტოტებს შეუნარჩუნებდა. იმ ტოტებსაც წვერებს წაათლიდა, გაფხეკავდა, გაასუფთავებდა, რომ ლეღვი ან ატამი აებნია ზედ და თონეში ჩაეკიდა შესაწვავად. ახლაც ლეღვის ასაბნევად მოიტანა. მტვრიანი იყო ჩხირები, ტილოთი დაწმინდა თაფლომ. მერე იქვე კუნძზე ჩაძოჯდა, წინსაფრის ჯიბიდან საკეცი დანა ამოიღო და ლეღვის ფცქვას შეუღდა.

გაფცქვანა ერთი, მეორე, მესამე და შეჩერდა. ხელები მომუტა. ისევ გაშალა, მომუტა, ისევ გაშალა. ამ ბოლო დროს თითები თითქოს ეკრუნჩხებოდა, სტკიოდა, მაგრამ არ ეპუებოდა, საქმეს მაინც აკეთებდა.

თაფლომ დანაოჭებული, კოჭრებდალ ქვეული ხელები რამდენჯერმე მომუტა, გაშალა და როგორც კი ოდნავი შვება იგრძნო, ისევ განაგრძო ლეღვის ფცქვანა.

ფცქვანის თაფლო ლეღვს, ფცქვანის და თან თავისთვის ჩუმად ამბობს:

„რანაირი საქმე ვიცოდი, ქა, თვალერთწამს ვაკეთებდი ყველაფერს: ლეღვს მე თვითონ დავკრეფდი, დავფცქვნიდი, ჩხირებზე ავაბნევდი, თონეშიც ჩავკიდებდი. სანამ ჩემი ბალსულ მოთავებული მქონდა, ესლა რალამ დამადუნა, შუადღე წამოვიდა და აბა, ჯერ რა გავაკეთე? თანაც მე ხო არ დამიკრეფია ლეღვი, ბიჭმა დამიკრიფა დილას და მაინც ვერა გავაშავშავე-რა, ცობი ისევ სავსეა ლეღვით. რად მომივიდა ეგრე, სად დაიკარგა ჩემი ზელის სიმარღე?.. გავონილა, ქა, როგორ იცვლება ადამიანი. ხანში რო შედის! სილამაზზე და სიკოხტავეზე არაფერს ვამბობ, ოღონდ ცოტა ჯანი შემრჩენოდა, ჩემს გემოზე მეკეთებინა საქმე, მეც გამეხარა და სხვისთვისაც მერგო რამე. აფსუს.

სპედიციებს ხშირად აწყობდნენ. იკვლევდნენ ბავშვთა ბიოლოგიურ, გონებრივ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. მათი სულიერი სამყაროსა და ინტერესების შესწავლის დროს უმთავრესად საბავშვო ფოლკლორულ ნაწარმოებთა — ლექსთა და სიმღერათა გაცნობა-ჩაწერით ხელმძღვანელობდნენ.

ამგვარი მუშაობა ბევრს იძლეოდა. და ეს არა მარტო მათ პიროვნულ, სულიერ გამდიდრებას უწყევდა ღირსეულ სამსახურს, არამედ მათ სამედიცინო პრაქტიკაზე, მათი, როგორც ექიმების ფსიქოლოგიაზეც, ხასიათზეც ახდენდა სასარგებლო გავლენას.

ამგვარი მოგზაურობები ხალხური მედიცინისა და წამალთმცოდნეობის შესწავლაშიც დიდად დაეხმარა შემდგომ წლებში ბატონ ირაკლის. ასეთი ექვედიციების დროს უამრავ სამკურნალო მცენარეულობას აგროვებდნენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ექსპედიციების განმავლობაში დაგროვილი პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება მან თავის სახელმძღვანელო ნაშრომშიც გამოსახტა, ნაშრომში, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის განკუთვნილ პირველ სახელმძღვანელოდ ითვლება ქართულ პედიატრიაში.

„ღია ჰაერით მკურნალობა (აეროთერაპია) ფილტვების ანთების დროს“—ეს მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო, საკითხის ამგვარად გადაწყვეტამ ფურორი მოახდინა პედიატრიაში. თავდაპირველად ყველამ როდი აუღო ალლო ახალგაზრდა ექიმის მუშაობის კლინიკურ-ექსპერიმენტულ ხასიათს. მის საქმიანობას სხვა მიზანიც ჰქონდა — არა მარტო ბავშვის ჯანმრთელობაზე, არამედ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც გავლენის მოხდენა.

პაციენტთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიზს არა ერთ და ორ შრომაში დაუბრუნდა ბატონი ირაკლი. მისი მეცნიერული ნაშრომები — „ბავშვთა განწყობის მნიშვნელობა შინაგანი დაავადებების მიმდინარეობაზე“, „დედისა და ბავშვის განწყობილებათა შეუთავსებლობის მნიშვნელობა“ და, დასასრულ, სადოქტორო დისერტაციაში გაშუქებული საკითხიც — „ნერვული სისტემის მდგომარეობა დისტროფულ ბავშვებში“ ამის ნათელი დასტურია.

ირაკლი ფალავას, როგორც ექიმ-პედიატრის მიზანი არასოდეს ყოფი-

ლა მარტო ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. იგი მუდამ ცდილობდა ფსიქოლოგიურად მოემზადებინა ბავშვი ავადმყოფობის დასაძლევად, მიეცა მისთვის რწმენა, შინაგანად დაეჭვრებინა იგი, რომ სრულიად ჯანმრთელია.

სწორედ ბატონი ირაკლი ხელმძღვანელობს ბავშვთა სნეულებების კათედრის ამ ტიპის, ფსიქო-სომატური ხასიათის კომპლექსურ კვლევადიებას.

„ღნიშნული თემის ერთ-ერთმა საკითხმა — „დედისა და ბავშვის სისხლის შეუთავსებლობის მნიშვნელობა ბავშვის სხვადასხვა დაავადების აღმოცენებასა და მიმდინარეობაში“ — განსაკუთრებით ფართო ინტერესი გამოიწვია კათედრაზე მისი ხელმძღვანელობით მომუშავე მეცნიერ-მუშაკთა შორის და შვიდი საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაციის თემად იქცა.

ახლა, როცა თითქმის სამი ათეული წელი აშორებს პროფესორ ირაკლი ფალავას თავისი საექიმო მოღვაწეობის განთიადს, მან იცის განვლილი წლებისა და ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის მნიშვნელობა და ფასი.

ამ ხნის განმავლობაში საგრძობლად გაიზარდა მის დამსახურებათა სიაც.

11 წლის მანძილზე იგი საზოგადოებრივ საწყისზე ერთგულად უძღვებოდა პედიატრიის ინსტიტუტს, გამოზარდა მედიცინის მეცნიერებათა 36 კანდიდატი, 4 დოქტორი და კიდევ უამრავი სტუდენტი.

დაიხ, ტყუილად როდი მოვიგონეთ ისინი. პროფესორ ირაკლი ფალავას ზურგს უკან სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებთან მუშაობის 36 წლის სტაჟია. ამას მიუმატეთ მეცნიერული გამოკვლევები, შრომები, — გამოქვეყნებული ჩვენს ქვეყანაში, მის საზღვრებს გარეთ, და თქვენს წინაშე წარმოდგება სახე ადამიანისა, რომელსაც არაფერი დაუშურებია, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა თავისი პროფესიით ადამიანებისათვის, საზოგადოებისათვის. სახე ადამიანისა, რომელიც პროფესიულ და პიროვნულ ინტერესებს თანაბარ დონეზე აყენებს. სახე კაცისა, ვისთვისაც ჭეშმარიტად სისხლხორცეულია საქმე, რომელსაც მან მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა.

აფუსს, რა საქმე ვიციოდი! — ამ ლაპარაკში იყო თავლო, ხმაური რომ მოესმა. ორლობებს ევიღ-ხვილით მოედვნენ სკოლიდან დაბრუნებული ბალები. თავლომ ჭიშკრის ჭრიალიც გაიგონა და მიიხედა. ეზოში თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა შემოვიდა.

— ბებო, მგონი ლელვი სულ დაფცქვენი, არა? — შორიდანვე ჰკითხა გოგონამ. — აკი გითხარი, სკოლიდან რომ მოვალ, გიშველი-მეთქი...

— ლელვის მეტი რა არის, შვილო. ჯერ პური ჰამე, დაისვენე და მერე რამდენიც გინდა, დაფცქვენი!

გოგონა სახლისკენ წავიდა. თავლომ თვალი გააყოლა.

„თავის ღლეში ეგრე არ მოუწადინებია, ჯა, — გაიფიქრა. — წინათ საქმეს თითქოს ვერც ხედავდა, სათამაშოდ გარბოდა. ეხლა გულით უნდა, რომ მომეხმაროს ასეა, ყველაფერი დრომ იცის, გაიზარდა გოგო, გაიზარდა.“

ცოტა ხნის შემდეგ ბებია და შვილიშვილი უკვე ერთად ფცქვნიდნენ ლელვს, ერთი იქიდან მისჯდომოდა გობს, მეორე — აქედან. გოგონა აჩქარებით ფცქვნიდა, თან ხეწნით ეუბნებოდა თავლოს:

— ლელვის ჩირს მე დაეაბრტყელე, რა, ბებო, ნართის ძაფზედაც მე ავაბნევი...

— დააბრტყელე, შვილო, ჯერ შეეწვათ და აქ არ იქნება?

თავლო ადგა, ხელები ერთ-ორჯერ კიდევ მომუშა და გაშალა. მერე წვრილად დაჭრილი ფიჩხი თონეში ჩაყარა და ცეცხლი წაუკიდა. ფიჩხი რომ ჩაიწვა, თავლო ბოსტნისკენ წავიდა; ღობესთან მიყრილი ქვა-ლორიდან კრამიტის ნატეხები გამოარჩია, ერთმანეთზე დააწყო, თონესთან მოიტანა და სათითაოდ თურთქლში ჩაყარა; თონის ძირს გარშემო შემოუწვრივა და საჩხრეკით გაასწორა, რომ ერთიმეორესთან ძალიან ახლოს არ ყოფილიყო. ამასობაში გოგონამ ლელვი სულ დაფცქვნა. ახლა უკვე ჩირზე აბნევდა.

თავლო თონესთან შედგა. შვილიშვილის თითებს მიაჩერდა. პირველად ხედავდა, რომ ასე ბეჭითად აკეთებდა გოგო საქმეს. წიგნის კითხვისა და წერის მეტი სხვა რამეც თუ შეეძლო, არ ეგონა.

გოგონას შევნოდა საქმის კეთება. მოხდენილად იღებდა დაფცქვნილ ლელვებს ტაბაკიდან, მოხდენილად აბნევდა აქეთ-იქით გაშვერილ ჩხირებზე ჯერ ერთს, მერე მეორეს, მესამეს და ასე მივივივით კინავდა ყველას. მართო ლამაზად კი რა, სწრაფადაც აკეთებდა საქმეს. თითები სიჩქარისაგან თითქოს ლიფსიტებივით სხმართალებდნენ.

„ვინ აძლებს, ჯა, ეგრე ფაცხაფუცხით რად აბნევს ლელვებს ჩხირებზე? მაგრამ ხასიათია, ძალიანაც რომ უნდოდეს, ალბათ ნელა ვერ გააკეთებს საქმეს“, — გაიფიქრა თავლომ, გოგონას ლელვით ამძიეული ჩხირგამოართვა, ძირი ნალევრდლებში ჩაგდებულ კრამიტის ნატეხზე დაუდო



დი ხნის წინ საღვაც უნახავს ეგეთი თეთრი, კობტა და მარდი თითები.

„ნეტავ სად მინახავს?“ — ჩურჩულებს თავლო.

„რა შორს მიდიხარ, ადამიანო? — ეპასუხება თავლოს შინაგანი ხმა.

ვერ უნდა იცნო? ეს შენი საკუთარი თითებია, მაშინდელი, ადრინდელი“. — მოხუცს ავიწყდება ხელების კრუნჩხვა და ატაცებული ჰკიდებს თონეში ლელვით დამძიმებულ ჩხირებს. გახარებულია თავლო, თითქოს რაღაც იპოვნაო, ძვირფასი და სანუკვარი, დიდი ხნის წინ დაკარგული და თვალს მიფარებული. „ტყუილად ვამბობდი, დაიკარგა-მეთქი, ტყუილად! არაფერიც არ იკარგება! თუკი რამ სიკეთე აბაღია ადამიანს, თურმე თავს იჩენს!“ — ამბობს თავლო.

თონეში კი ჩხირებზე ამძიეულ ლელვს ოხშივარი ასდის და ტკბილსურნელად ეფინება თავლოს ეზო-ყურეს.

და თონის კედელს ძიაცუდა სათუთად, რომ ლელვები შუგ არ ჩაცვენილიყო.

იქიდან რომ გამობრუნდა, გოგონას მეორე ჩხირიც აეგსო.

„რა ეჩქარება, უკან ვინ მოსდევს!“

კიდევ გაივლო გულში თავლომ. თქმით კი არაფერი თქვა, მხოლოდ ისევ თითებში მიაჩერდა გოგონას.

უყურებს, უყურებს და რაღაც ეცნობა, რაღაც ახსენდება, თითქოს დი-



* მუხრანის კომპლექსი
 ზღვრული ბრიგადის ხელმძღვანელი
 გოგო მარიაშვილი სპეციალისტი
 წილას მოხალისე გავრცელებს.

თავიანთი ასაკისათვის შესაფერ სამუშაოს—ხან თივას ამზადებენ, ხან საქონელს უვლიან, ან სოიას თოხნიან, ან ვაშლს, მსხალს, ყურძენს, ტყეშას კრეფენ...

ერთი შეხედვით, მათი დასაქმება თითქოს ნაკლებად ორგანიზებულია. მაგრამ იქნებ მეტი ორგანიზება არც არის საჭირო. ჩვენ ხომ მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა პირად ინიციატივასთან, სოფლის მეურნეობაში მათ ნებაყოფლობით შრომასთან გვაქვს საქმე.

შრომაში გამოცდილი მეგობრები, დამრიგებლები ბევრი ჰყავთ. განსაკუთრებით თავიანთი შეფები უყვართ—კომპაქტურიულ-ახალგაზრდული კოლექტივის (ხელმძღვანელი ტ. მაჩაბერიძე) წევრები. მათთან ერთად სად არ ნახავთ ამ გოგო-ბიჭებს: ნათეს ფართობებსა და ექსკურსიებზე. კლუბსა და სპორტულ მოედანზე.

საკუთარი დედების გვერდით მუყაითად შრომობენ ლილი მატახერი-

კოლექტივიზაციის პირველი წლების პირშემა ცხაკიას რაიონის ტეხურის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა.

ერთი მოსაწონი ტრადიცია არის დამკვიდრებული ამ კოლექტივში. წელი არ გავა, დღე არ დაღამდება, სკოლის მოსწავლეებმა, მოზარდებმა შრომაში ხელი რომ არ შეაშველონ მეურნეობის მუშაებს.

ეს ისე ბუნებრივად ხდება აქ, როგორც ოჯახში. ისე, შვილი რომ მოიზრდება და ცდილობს საოჯახო ზრუნვაში ჩაუზიარდეს მშობლებს, თავისი წილი სიკეთის მარცვალი ჩააგდოს საერთო-საოჯახო ხნულში.

ამ ბავშვებს აქ საკუთარი შვილებით უყურებენ. ცდილობენ, კარგი შრომის, კარგი კაცობის მაგალითი მისცენ თავდაც. ამ მოსწავლეთა მშობლებიც აქვე მუშაობენ — მეურნეობის ბაღებში, ფერმასა და პლანტაციებში. აქვე ცხოვრობენ. უთუოდ ამიტომაც იქცა მეურნეობის ყოველდღიურობა მოზარდებისათვის ბუნებრივ, ყველაზე მისაღებ გარემოდ.

მოსწავლეთა უკვე რამდენიმე თობამ ისარგებლა ამ მამაშვილური ტრადიციის სიკეთით. კარლო გოგიჩაიშვილი და ვიტალი ლომია, მიხეილ ლომარი და გოგი გოგავა, ტარიელ დალანძიძე... მათი მსგავსები აქ ბევრნი არიან — ისინი, ვისაც შემდეგ

ა. მ. ერია ფაის მოსახლეობა მიწაზე

ნინო ავალიანი

ში პროფესიად ექვით ბავშვობის-დროინდელი გატაცება მცენარეებით, მიწის სიყვარული.

წელსაც შრომობენ ადგილობრივი სკოლის მოსწავლეები. მეურნეობაში გაზრდილი ბავშვები ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ნათეს ფართობებზე ხილს კრეფენ, ბოსტნულის კვლებს თოხნიან, პირუტყვს უვლიან. ახლა ზაფხულია და სოფელში საქმე თავზე საყრელია: სამუშაოდ ყოველდღე გამოდიან, ზოგჯერ თითო-ოროლა, ზოგჯერაც — ჯგუფებად. ასეა წელიწადის ნებისმიერ დროს ზაფხულში. შემოდგომაზე, გაზაფხულზე, ზამთარში.

ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე

ია, ტანია სუბოტინა, ტანია მურულულია და სხვები. ისინი წლებადღელ სეზონზე 50 კგ ნაყოფს კრეფენ დღეში. ეს კი საკმაოდ აღმატება მათ არაოფიციალურ დღიურ ნორმას — 30-35 კგ-ს.

ბიჭები უფრო სავაჟაკო საქმეებს ეტანებიან. სამუშაო რომ დაგროვდება და მუშებისათვის დახმარება გახდება საჭირო, მაშინ გამოჩნდება ხოლმე, რამდენის შემძლეა თითოეული.

მეურნეობის ხელმძღვანელობა (დირექტორი რ. შეხველია) ბევრს აკეთებს მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების სასწავლო, შრომითი, საყოფაცხოვრებო, კულტურული პირობების გასაუმჯობესე-

ბლად, სოფლის მეურნეობით მათ დასაინტერესებლად. ყოველწლიურად გზავნის თავისი ლიმიტებით მეურნეობის ნიჭიერ, სწავლისმოყვარე ახალგაზრდებს რესპუბლიკის შესაბამის პროფტექნიკურ, ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

მოწაფეობის დროს მეურნეობაში შრომის სკოლა გაიარეს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის და სოხუმის სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულებმა თამარ ხოფერიამ და თემურ ჭანტურია. ისინი ამ ფაკულტეტებზე მეურნეობის ლიმიტით ჩაირიცხნენ და როგორც ახალგაზრდა სპეციალისტები, უკვე დაუბრუნდნენ მშობლიურ მეურნეობას.

მეურნეობის ზემოქმედების ამგვარი, ორგანიზებული ყურადღება მისი ახალგაზრდობის საუკეთესო მომავლის, მეურნეობის შემდგომი წინსვლის გარანტიაა: ამ ბავშვებისათვის

შველა დიდი ხალიჩით მოწაფილ. ოგა საორტული მოედნის მოწაფი. ბაზი.



ამგვარ სურათს ხშირად ნახავთ მეურნეობაში: ყოველ დღით, დილაბთან ერთად საშუაოზე მიიჩნებიან ბავშვებიც.

ქი მეურნეობა ის ადგილია, სადაც უნდა გამკლავდეს მშობლებისაგან მათზე შემკვიდრებით გადმოსული მეურნე კაცის ნიჭიერება და მიწის სიყვარული.

დიახ, ყველაფერმა ამან აქ უნდა გაიზაროს, აქ უნდა დაიყვავილოს, აქ, ამ ერთი ფეხის მონაცვლება მიწაზე, მათი საკუთარი სახლი, მშობლიური მეურნეობა რომ ჰქვია სახელად.

დიდი ხანი როდია, რაც სოფლის სამხეს დაუფლანენ, ახლა კი ამ მოსწავლეებს ბოლს ვერავე უღდას თივის დაწყოებაში.



ქ. შავაშვილი სახ. ხატ. ...



ძია

რამაზანი

ეს იყო ძველად, ასი თუ უფრო მეტი წლის წინათ, როდესაც ლეკებს, დიდობებსა და თუშებს შორის მტრობა იყო. მებრძოლები ხშირად ესხმოდნენ თავს მწყემსებს, ხოცავდნენ მათ და ცხვარ-ძროხას იტაცებდნენ. ამ საშიშროების გამო მწყემსები შეამხანაგდებოდნენ და უფროსად (სარქლად) გამოცდილ მწყემსს ირჩევდნენ ხოლმე.

იმ გაზაფხულზეც თუშები ცხვარს მთის იალაღებზე აძოვებდნენ. ერთ დღეს, როცა მწყემსებმა ცხვარი მოწველეს და ყველის გაკეთება დაიწყეს, ტყიდან ერთი დიღო გამოვარდა, რომელიც სარქლის ძმობილი იყო. მიიჩინა ბაკთან, სადაც მოწვეული ცხვარი ტრიალებდა, გამოუშვა და მწყემსებს ანიშნა, რომ კახეთისაკენ გაერეკათ. რძიან კასრს ფეხი გაჰკრა, დააქცია და მწყემსებს მთის წვერზე მიუთითა, თან დამახინჯებული ქართულით მიამახა — „დიღო მოვიდაო“, და ტყეს შეაფარა თავი.

თავდაპირველად მწყემსები ვერ მიხვდნენ, რის თქმა უნდოდა სარქლის ძმობილს. შემდეგ ერთმა მწყემსმა მთის წვერზე ცხენოსნები შენიშნა. ისინი დიდობები აღმოჩნდნენ. მაშინ კი მიხვდნენ, რისი თქმაც უნდოდა დიღოს. მაშინვე მიანებეს ბარგს თავი და შემოაბრუნეს ცხვარ-ძროხა კახეთისაკენ.

მერე გაირკვა: დიდობის რაზმი წინა ღამით თურმე მწყემსების ბინის ახლოს დაბანაკებულიყო, რომ დილით მწყემსები დაეხოცათ და ცხვარ-ძროხა გაერეკათ; გათენებისას დიდობებს ბელადმა მზევრები გაგზავნა გასაგებად, გზები ჩაკეტილი ხომ არ არისო. ამ ჯგუფში სარქლის მეგობარიც მოხვდა, რომელმაც მწყემსები გადაარჩინა.

ეს ამბავი, როგორც ვთქვით, დიდი ხნის წინათ მოხდა. ოქტომბრის რევოლუციამ მოსპო ხალხთა შორის მტრობა და შუღლი. ახლა აღარ ეშინიათ ერთმანეთისა ლეკებს, დიდობებსა და თუშებს, მეგობრობენ და სტუმრადაც მიდი-მოდიან ერთმანეთთან. ჩვენს ოჯახსაც ჰყავს ერთი ასეთი მეგობარი — ძია რამაზანი. იგი ომის დროს ჩამოსულა ბარად პურის საშოვნელად და ჩვენს ოჯახს შეხიზვნა. ჩვენთან უცხოვრია რამდენიმე წელს. მერე ისევ თავის სოფელს დაბრუნებია და ახლა კოლმეურნეობაში

ბრიგადას ხელმძღვანელობს. მაგრამ ჩვენთან მეგობრობა არ შეუწყვეტია, ყოველ წელიწადს მოგვინახულებს ხოლმე. ჩვენ ყველას გვიყვარს ძია რამაზანი, ის ძალიან კეთილი ადამიანია.

მარინა ცისკარიშვილი,
ახმეტის რაიონის ზემო ალვანის
საშუალო სკოლა, VI კლასი.

მეგობრები

პრეპარატი

შეხვედნა

საგაზაფხულო არდადეგების წინ ნიგვზიანელმა პიონერებმა მეგობრული წერილი მიიღეს საჩხერის რაიონის საირხის საშუალო სკოლის პიონერებისაკენ. ისინი მეგობრობას გვთავაზობდნენ. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ მათი წინადადება და მოუთმენლად მოველოდით იმ დღეს, როცა მეგობრები ერთმანეთს შეხვდებოდნენ. და აი, გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას ნიგვზიანის საშუალო სკოლის ეზო-გარემო მხიარულმა ურიაძულმა აავსო: გვეწვივნენ საირხელი პიონერები და პედაგოგები. გაიმართა მეგობრული საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ბავშვები გაეცვივნენ ერთმანეთის პიონერულ ცხოვრებას. ნიგვზიანელებმა წარმატებით განვლეს პიონერთა საკავშირო მარშის „მზად ვარ“ რვავე მარშრუტი; მათ რესპუბლიკის 26 სკოლასთან და ლატვიის სსრ მალტის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებთან აქვე მეგობრული ურთიერთობა. მათ რიცხვს საირხის საშუალო სკოლის სახით კიდევ ერთი მეგობარი შეემატა.

საირხელ და ნიგვზიანელ პიონერებს შორის მეგობრობა უბრალო საფუძველზე როდია აგებული. იგი დაიწყო მას შემდეგ, რაც გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 11 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ნანა ჩიგოვიძის წერილი — „მის მერხს ფრიადოსნები უსხედან“. წერილში მოთხრობილი იყო რაზმეულის საუკეთესო პიონერის, წარჩინებული მოსწავლის მაია ისილოს ასული ტულუშის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების შესახებ. სწორედ მაიას პიონერული ცხოვრების გაცნობის სურვილმა და მეგობრობის ძალამ მოიყვანა საირხელები ჩვენთან.

სტუმრებმა და მასპინძლებმა ჩვენი სკოლის ეზოში გავაშენეთ მეგობრობის ხეივანი. გადავიღეთ სამახსოვრო

სურათები. სტუმრებს დავაველიეთ რებიანეთ ეგნატი ნინოშვილის სახლ-მუზეუმი.

ბოლოს მომავალი შეხვედრები დავთქვით და საირხელ მეგობრებს გზა დავულოკეთ.

ლიანა ძახრაძე,
ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის
საშუალო სკოლის უფროსი პიონერ-
ხელმძღვანელი.

წილი

გვარჯიხელები

სამამულო ომში წასული ვაჟაკებ-იდან 403 ალარ დაუბრუნდა ჩვენს სოფელს.


სოფლის საშუალო სკოლის წითელი კვლამაძიებლები კარგა ხანია, რაც მათი საფლავების პოვნით დავინტერესდით.

პირველად საბჭოთა კავშირის გმირის, უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ ბეროშვილის საფლავი ვიპოვეთ უკრაინაში. კიევის ოლქის სოფელ ოპაჩიში. ამ გარემოებამ ძალიან გავგახარა, რადგან ჩვენი რაზმეული სწორედ ამ გმირის სახელს ატარებს.

ახლახან კიდევ ერთი ჩვენი თანასოფლელი მეომრის — უფროს ლეიტენანტ ოთარ შაკიაშვილის საფლავი ვიპოვეთ. იგი კრასნოდარის მხარის სოფელ სელესნიკოვოში ყოფილა თურმე დასაფლავებული.

კარდანახელმა წითელ კვლამაძიებლებმა მეგობრული ურთიერთობა დავამყარეთ ოპაჩიხელ და სელესნიკოველ პიონერებთან, რომლებიც ზრუნავენ ჩვენი გმირი თანასოფლელების საფლავებზე.

ზენიკ შაკიაშვილი,
გურჯაანის რაიონის კარდანახის
საშუალო სკოლა, VI კლასი.





სიმაღარა

სისურსლავა

მაისის დღეა. მზე თავისი ოქროს ეტლით გამოსულა ცაზე. მდუმარედ ვზივარ, ჩემს საფიქრალს ვფიქრობ. მზიარული სიცილი მესმის. მიხედვასაც ვერ ვასწრებ, ვილაცის ფაფუკი ხელები ამეკრა თვალებზე.

— გამოიცანი, ვინა ვარ! — კისკისებს ფაფუკი ხელების პატრონი. — ვინა და — მზის ანცი გოგონა! — ვამბობ ალაღბედზე.

— სწორია, გამოიცანი! — და ისევ ნათდება ქვეყანა.

თვალეებს ვახამხამებ, ჭერ მოჩვენება მგონია, მაგრამ არა, მოჩვენება არ ყოფილა: ჩემს წინ დგას კიციხებიანი, ჭორფლიანი გოგონა და სიცილისაგან პირი ყურებამდე გახევია.

— ყოჩალი ყოფილხარ, როგორ გამოიცანი?

— რა ვიცი, — მხრებს ვიჩეჩავ. ის თითის წვერებზე იწევა და მკონის.

მე მეცინება. მოილუშა — განა ასეთი სასაცილო ვარო?! მაგრამ ვამშვიდებ, ვეფერები — პაწია ცხვირზე თითი გავკარი ხუმრობით. მიხედვისაკენ მივრბივარ. მომდევს.

ბალახებში ჩავეჭეკი. ისიც გვერდით მომისკუბდა.

— უსმინე, რა საამოდ მღერის ბალახი! — მეუბნება. გყუჩდები. ტანში ყრუანტელი მივლის. მერე სმენას ვძაბავ და... ჩემი გულის სიმღერაც მესმის. უცებ სურვილი მიჩნდება — ცისა და მიწის გასაგონად ვიმღერო სი-

ცოცხლის, მზისა და სიყვარულის სადღეებელი.

მზის ანცი გოგონა და მე ბილივზე მივდივართ, ახლა უკვე ხმამაღლა ვმღერით სიცოცხლის ჰიმნს.

ნინო ჩხიკავიშვილი.

თბილისის 31-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

სამაკაშხარი

მიინურა დრო გართობის, ხეტიალის, სახლში ჯდომის, შემობრძანდა სექტემბერი, პირველი თვე შემოდგომის.

ისევ მიხმობს ჩვენი ზარი და მეც მისკენ მივიჩქარი, სიხარულით. სიყვარულით კვლავ შევალე სკოლის კარი.

ყვავილების თაიგულით შევეგებე მასწავლებელს... ჩემი სწავლით, ჩემი შრომით საქართველოს ვასახელებ.

ნადიკო კობახიძე,

თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, III კლასი.

მეგობრის

პორტრეტი

ჩემი. მოკრძალებული გოგონაა. შეენის ზღვასავით ღრმა. ლურჯი თვალები. გრძელი წაბლისფერი ნაწნავი. იგი ლიტველია.

როდესაც თავის სამშობლოზე საუბრობს, თვალებში გასაკუთრებული სიტბო, სიკეთე უდგება...

მას უყვარს გულწრფელი, ვაჟკაცური ბუნების ადამიანები. თვითონაც ასეთია! მწუხარებასაც და სიხარულ-



ნორა კორასკონდენტო ჟურნალი №9

საც ერთნაირად, მთელი არსებით განიცდის.

მე იგი არტეკში გავიცანი. ახლაც ხშირად ვიღებ მისგან წერილებს. წერილებს, რომლებსაც ბალტიისპირეთის სუნთქვასთან ერთად ჩემი მეგობრის ჩუმი, გულწრფელი სალაძი მოაქვს ჩემთან; იმ ზღვისფერთვალა. წაბლისფერნაწნავიანი გოგონასი. ვისთან მეგობრობაც უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

ზაია აბაუნაშვილი.

თბილისის 106-ე საშუალო სკოლა, IX კლასი.

რამ

სიძვან

მოკა


თუ წვიმა მოკა, არ გავში ქოლგას-თუ თოვლი მოკა, თავს დავითიფქავ, არ არის ციკი, არ არის მკაცრი, რაც ციდან მოკა, რაც არის წმინდა.


იან ხანია,

ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი.



ზიორგი ბარბაქაძე, 8 წლის, თბილისის 23-ე საშუალო სკოლა.





პოტსდამში თავისი სამუშაო ოთახი — ქარვის ოთახი გაეკეთებინა. 1709 წელს ეს საოცარი ქმნილება მზად იყო. ფრიდრიხ I-ს თავი მოჰქონდა მისი დავალებით შექმნილი ამ საუცხოო ნაწარმოებით. კედლის ფილების მრავალსახოვან კომპოზიციას 55 კვადრატული მეტრი ეკავა. გლუვ-მოზაიკიან კედლებზე რელიეფურად გამოკვეთილი ორნამენტებით გამოსახული იყო ლანდშაფტები, გერბები, მონოგრამები, ნიჟარები და ყვავილთა გვირგვინები. ქარვის პატარა ფილები ოსტატურად იყო დამუშავებული. მინიატურული პატარა სურათები, რომლებიც მეთევზეთა ცხოვრებას ასახავდნენ, დეტალურად მხოლოდ გამაღივებელი შუშით შეიძლეოდა დაგენახათ. სინათლის ეფექტის გასაძლიერებლად შლიუტერმა გამკვირვალე ფილებს ვერცხლის საფე-

ან ფაიფურის სარდაფებში უკრა თავი აქ ეწყო იგი თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში. ვიღაც ბილინსკის არ აღმოაჩინა აღმავლობის გზაზე მდგარმა ბიურგერობამ.

არც მოგვიანებით აღდგენილი ქარვის კაბინეტი დარჩენილა დიდხანს პოტსდამის სასახლეში, თუმცა მას სულ სხვა მიზეზები გამოუჩნდა ლიკვიდაციისათვის, ვიდრე დრეზდენულ ფაიფურის სასახლეს. ქარვის კაბინეტი ბოლომდე შეინარჩუნა მხატვრული ღირებულება და იშვიათობა. ფუფუნების მოყვარული, პატივმოყვარე პრუსიის მეფის, ფრიდრიხ I-ის შთამომავალი ფრიდრიხ ვილჰელმ I პირველ რიგში დაინტერესებული იყო არმიით, რის გამოც პრუსიის ისტორიაში ჯარისკაცთა მეფის სახელით შევიდა. თავისი იმპერიის გასაძლიერებლად ფრიდრიხ ვილჰელმ I-მა

ქარვის ოთახის სადგურები

რთი და მას ზილენიხაი

პიტლერელებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ხელოვნების მრავალი საგანძური მიიტაცეს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირიდან, ცარსკოე სელოს (დღევანდელი პუშკინოს), ყოფილი მეფის სასახლიდან გატანილი ქარვის ოთახი.

ქარვის ოთახს გრძელი და საინტერესო ისტორია აქვს. 1701 წელს ბრანდენბურგის იმპროინდელი მფლობელი, კურფიურსტი ფრიდრიხ III კენიგსბერგში პრუსიის მეფედ ეკურთხებოდა. უკვე ფრიდრიხ I-ად წოდებულმა, მან დაავალა გერმანელ ხუროთმოძღვრებს ანდრეა შლიუტერსა და გოტფრიდ ტიუსოს, პოტსდამის სამეფო სასახლეში მოეწყოთ ქარვის კაბინეტი. ფრიდრიხ I ეკიბრებოდა საქსონიის მბრძანებელს, აუგუსტ ძლიერს ფუფუნებისა და ბრწყინვალეების დემონსტრირებაში; აუგუსტ ძლიერმა დრეზდენში იაპონური სასახლე ააგო აზიური და მაისენური ფაიფურისაგან (ეს მასალა მაშინ ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა) და მას ფაიფურის სასახლე უწოდა. ამ ზვიად სასახლეს ბადალი არ მოეპოვებოდა გერმანიისა და ევროპის მბრძანებელთა კარზე. აი ამ აუგუსტის მსგავსად, პრუსიის მეფემაც ისურვა განსაკუთრებული ფუფუნებით მოეწყო


ნები დაუდო ქვეშ.

მეფე და მისი კარი აღფრთოვანებული იყვნენ. კაბინეტი საზეიმოდ გაიხსნა, მაგრამ მალე ცუდად დამაგრებული ქარვის ფილები კედლებიდან ჩამოცვივდა. ტიუსო დაიჭირეს, შლიუტერი გააძევეს. ქარვის კაბინეტი დაშალეს და ყუთებში ჩააწყეს.

ასე და ამრიგად, პრუსიის მეფე ფრიდრიხ I-ის შეკვეთილი დიდებული ქმნილება ნაკლებ იღბლიანი აღმოჩნდა აუგუსტ ძლიერის ფაიფურის სასახლესთან შედარებით — ეს სასახლე არ დანგრეულა, მან მთელი თავისი მშენებებით უფრო დიდხანს იცოცხლა, ვიდრე საქსონიის კურფიურსტებმა, და არანაკლებ დაფასებული იყო მათ შთამომავალთაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მასაც ტრაგიკული დასასრული ჰქონდა. ევროპიდან ინდოეთისაკენ მიმავალი პირდაპირი გზის აღმოჩენის შემდეგ ევროპაში სულ უფრო და უფრო მეტი აზიური ფაიფური შემოდიოდა და, როცა მე-18 საუკუნის დასაწყისისათვის მაისენში და ევროპის სხვა ქალაქებშიც დაიწყეს ფაიფურის წარმოება, დრეზდენის ფაიფურის სასახლის უნიკალურობა გამკრთალდა. იგი აღარ წარმოადგენდა მთავართა ფუფუნების დემონსტრირების საშუალებას, თუმცა ადრე ოქროზე მეტი ფასი ჰქონდა. კურფიურსტმა იაპონური სასახლი-

გაყიდა მამის დატოვებული ხელოვნების უამრავი ნიმუში. საქსონიის კურფიურსტს აუგუსტ ძლიერს მან მიჰყიდა ფაიფურის დიდი ვაზები და სხვა აზიური ფაიფური, რის საფასურადაც ჯარისკაცები მიიღო. ასე შეიძინა მან 600 საქსონელი დრაგუნი ცხენებითა და აღჭურვილობითურთ. ამ გზით შექმნილ ფაიფურის ჩინურ ვაზებს ჯერ ხალხში, შემდეგ კი სამეცნიერო სფეროშიც დრაგუნულ ვაზებს უწოდებდნენ. სწორედ ეს ვაზები შედის დრეზდენის ცვინგერის მუზეუმის ფაიფურის კოლექციის ძვირფას საგანძურში.

ფრიდრიხ ვილჰელმ I გრძნობდა, რომ მას საფრთხე ემუქრებოდა შვედებისაგან, რომლებიც მე-18 საუკუნის დამდეგს ევროპაში უძლიერეს საზღვრო ძალად ითვლებოდნენ. შვედების მეფე კარლ XII ფლობდა ჩრდილოეთ ევროპის დიდ ნაწილს გერმანიისა და ბალტიისპირეთის ჩრდილო პროვინციების ჩათვლით. პრუსიის მეფეს ეშინოდა იგივე არ დამართნოდა, რაც აუგუსტ ძლიერს გადახდა თავს პოლონეთში: კარლ XII-მ იგი პოლონეთიდან გამოაძევა, პოლონეთის მეფე ტახტიდან ჩამოაგდო, დაიპყრო საქსონია და ერთი წლის მანძილზე ძარცვავდა მას. საქსონიაზე გამარჯვების შემდეგ კარლ XII თავისი ძლიერი ჯარით რუსეთისაკენ გაე-



მართა, მაგრამ 1709 წელს პოლტავასთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა. ამან საგრძნობლად შეასუსტა შვედების სამხედრო ძლიერება. პეტრე I-მა პოლონეთის ტახტზე კვლავ აუღუსტ ძლიერი დასვა. პრუსიის მეფემ შვედებით ამოისუნთქა და აქედან მოყოლებული უფრო მეტი მონღოლებით შეუდგა რუსეთთან კავშირისათვის მზადებას.

1716 წელს პეტრე I მრავალრიცხოვანი ამალით პრუსიის მეფეს პოსტლამის სასახლეში ეწვია. მეფის რეზიდენციის დათვალიერებისას პეტრეს ყურადღება მიექცია რესტავირებულმა ქარვის კაბინეტმა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფრიდრიხ ვილჰელმ I-ს, რომელიც საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი ამ დიდებული ნაწარმოებისადმი, საჩუქრად მიერთმია იგი მეფისათვის. ეს გარემოება პეტრე დიდს ლმობიერად განაწყობდა და ხელს შეუწყობდა პრუსიის მეფისათვის სასურველი კავშირის დამყარებას.

1717 წელს ძღვენი პეტერბურგში ჩამოიტანეს. პეტრე I ძალიან ამაყობდა ამ შენაძენით და ბრძანა, ზამთრის პატარა სასახლეში შეეტანათ იგი. რუსეთის მემკვიდრე გვამცნობენ, რომ მოგვიანებით დედოფალ ელისაბედის დავალებით ქარვის ოთახი პეტერბურგიდან ცარსკოე სელოში ჩამოიტანეს. 76 ყველაზე ღონიერსა და ამტან გვარდიელს ექვსი დღის განმავლობაში გადაჰქონდა ქარვის კაბინეტის ელემენტებით სავსე ყუთები.

ეკატერინეს სასახლეში ქარვის კაბინეტისათვის გამოყოფილი ოთახი სიმაღლით, სიდიდითა და კარ-ფანჯრების რაოდენობით განსხვავდებოდა პოტსდამის სასახლეში არსებული ოთახისაგან. არქიტექტორმა რასტრელიმ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქარვის კაბინეტის მოთავსება ეკატერინეს სასახლეში, ის ადგილები, სადაც ქარვა ამოვარდნილი იყო, სარკეებით შეცვალა. ეს სარკეები თეთრ, ოქროთი მოვარაყებულ სარკის სადგომზე დააყენა და მოოქროვილი კედლის ნათურებით მორთო. სარკეები დაამზადეს რუსმა ხელოსნებმა ივანე კობლოვმა, ვასილ კრიკოვმა და ივანე ბოგაჩოვმა.

„დახვეწილი სტილი, შლიუტერის მხატვრული იდეა დარღვეულ იქნა, — წერდა ხელოვნებათმცოდნე ვილჰელმსკი, — მაგრამ „ბარბაროსი“, რომელმაც დაარღვია მხატვრის ჩანაფიქრი, არანაკლები ხელოვანი აღმოჩნდა და ქარვის კაბინეტს, ამჟამად ქარვის ოთახად ქცეულს, არ დაუყოვნებამდე თავისი მხატვრული ღირებულება. ქარვის ოთახი ორგანულად შეე-

რწყა სასახლის საზეიმო ოთახებს; ამ ნამუშევარში თავი იჩინა რასტრელის დიდებული ტალანტის ფართო გაქანებამ“.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ცარსკოე სელოს პუშკინო დაერქვა. მილიონობით საბჭოთა მოქალაქე წლების მანძილზე ნახულობდა პუშკინოში, ყოფილ ეკატერინეს სასახლეში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაცულსა და მზრუნველობით მოვლილ ხელოვნების უმდიდრეს სავანძურს.

ლენინგრადაზე შეტევის დროს გერმანელი ფაშისტები ბარბაროსულად ექცეოდნენ ხელოვნებისა და კულტურის ძეგლებს პეტერჰოფში თუ ახლომახლო არსებულ სხვა სასახლეებში. პუშკინოში, ეკატერინეს სასახლეში მოთავსებული ქარვის ოთახიც მათ მდიდრულ ნადავლად ჩათვალეს და გადაწყვიტეს სწრაფად და დაუზიანებლად გადაეტანათ იგი გერმანიაში.

1949 წლის დეკემბერში საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა კომისია ვატაცებული ქარვის ოთახის საძებნელად. ამ კომისიის წევრის ბენიამინ კროლოვსკის მოხსენებიდან ჩანს, რომ ქარვის ოთახი გენერალ-ფელდმარშალმა კიუხლერმა აღმოსავლეთ პრუსიის ნაცისტი ჯაღათის, ერისკობის მითითებით კენიგსბერგში გადაგზავნა. კაპიტან დოქტორ პიონსგენისა და როტმისტრ დოქტორ ფონ ზიმელს-ლაუბახის ხელმძღვანელობით სპეციალური რაზმის ერთმა უეტეროფიცერმა და ექვსმა ჯარისკაცმა დაშალეს ქარვის ოთახი, ცალ-ცალკე შეფუთეს ყუთებში (პილოსტერის სარკეებისა და ზემოთა ფრიზების გარეშე) და აქედან მატარებლით კენიგსბერგისაკენ გაუყენეს გზას. აქ აღმოსავლეთ პრუსიის ნაცისტმა ჯაღათმა ყუთებში მოთავსებულ სავანძურზე პასუხისმგებლობა დაავალა ქარვის სპეციალისტს, პრუსიის სამხატვრო ხელოვნების მუზეუმის დირექტორს, დოქტორ ალფრედ როდესს. როდესს ხელმძღვანელობითა და მეთვალყურეობით ქარვის ოთახი კვლავ ააწყეს მეფის სასახლის მეორე სართულზე. ტრანსპორტირების დროს დამავებული რამდენიმე ნაწილი აღადგინეს ფოტოების მიხედვით.

თავდაპირველად კობმა აუკრძალა მოსახლეობას ქარვის ოთახის ნახვა. მხოლოდ 1943 წლის ზაფხულს „კენიგსბერგის გაზეთში“ გამოჩნდა განცხადება, რომელიც იტყობინებოდა, რომ მოქალაქეთათვის ღია იყო ქარვის ოთახის კარები. დოქტორმა როდემ გერმანულ ჟურნალ „პანთეონში“ გამოაქვეყნა დაწვრილებითი

ცნობები ქარვის ოთახის შესახებ.

საბჭოთა არმიის ძღვევამოსილი ტყვეები ყველა ფრონტზე, ბრიტანეთის გახშირებული თავდასხმები კენიგსბერგზე გახდა იმის მიზეზი, რომ 1944 წლის ოქტომბრის ბოლოს ქარვის ოთახი კვლავ დაშლეს. ყუთები ღია ცის ქვეშ ეწყო სასახლის ეზოში. როდეს ფიქრობდა, რომ ძლიერი დაბომბვისას ისინი აქ უფრო კარგად იქნებოდნენ დაცული, ვიდრე სასახლეში, სადაც შეიძლებოდა ნანგრევებში მოყოლილიყვნენ.

ბრიტანეთის ავიაცია განაგრძობდა დაბომბვას ათასობით საცხოვრებელი სახლი, ბანკი და მაღაზია მიწასთან გასწორდა. უნივერსიტეტისა და ოპერის შენობები ნაცარტუტად იქცა. ძალზე დამავდა ქალაქის ხუროთმოძღვრების უძველესი ძეგლი, მე-14 საუკუნის დასაწყისში აგებული ტაძარი. საგრძნობლად დაზიანდა სასახლეც. ზოგიერთი ოთახი განადგურდა. სასახლის ეზო და ყუთები კი უვნებლად დარჩა. მაგრამ მათი აქ დიდხანს გაჩერება არ შეიძლებოდა, ამიტომ დოქტორმა როდემ ახალი ადგილი აირჩია მათს შესანახად. ეს იყო სასახლის ჩრდილოეთ ფლიგელში განლაგებული სარდაფები, სადაც ძველად რესტორანი „ბლუტგერისტი“ იყო. მაგრამ ეს სათავსიც არ მიიჩნია როდემ მთლად საიმედოდ და გამალებით ეძებდა სხვა ადგილს.

1945 წლის იანვრის შუა რიცხვებში საბჭოთა არმიის დარტყმებმა გააარღვია ჩრდილოეთი ხაზი, რომელიც კენიგსბერგს დასავლეთთან და სამხრეთთან აკავშირებდა. ფაშისტური არმიები ჩაიკეტნენ აღმოსავლეთ პრუსიაში. სამხედრო ტყვეების ჩვენებიდან ირკვევა, რომ 1945 წლის 5 აპრილამდე ყუთები ჯერ კიდევ ეწყო სასახლის რესტორნის ოთახებში, რომლებიც კაპიტულაციამდე რამდენიმე დღით ადრე დაეკავებინათ სახალხო რაზმებს.

ისმის კითხვა, შესაძლოა თუ არა, კენიგსბერგიდან გაეტანათ ქარვის ოთახი სავსე უამრავი ყუთი, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ არეულობას? საერთოდ, შესწევდა კი ძალა პროვინციის კულტურის დაწესებულებას, რომ იმ პანიკით სავსე დროს მოეხერხებინა ქარვის ოთახის გადატანა და გადაამლვა? ყოველ შემთხვევაში, ამ დროს ისეთი ვითარება იყო, რომ საეჭვოა, ვინმეს შესძლებოდა ქარვის ოთახის კენიგსბერგიდან გატანა.

კითხვაზე, თუ სად დარჩა ქარვის ოთახი, შეეძლო ეპასუხნა დოქტორ როდესს. 1945 წლის 20 აპრილს, ე. ი. ომის დამთავრებამდე რამდენიმე

ბიოგრაფიული

მამა
ზუზუნებს
კინოფუნს

თუ მოგვთხროთ,
თქვენც მოითხრებოთ. —
ზვავი გვეყავს ფესვით დაბმული.
ფესვის ბრჭყალებით გვიკვირავს
ბერძენებს თქვენი მამული.




სიმღერო
სამშობლოზე

ჩემი კარგი სამშობლოა
ეს დედული და მამული,
ერთმანეთზე ორლობით და
ბილიკებით გადაბმული,
მუხის ფესვით შეკერილი,
ვაზის ფესვით ჩალამბული,
მამის სისხლით მორწყული და
დედის ცრემლით დანამული,
დღე სიმღერით ავსებული,
ღამე მშვიდად განაბული.
დილის სალამს ეუბნება
მამულს ჩემი სალამური,
დედულიდან სიოს მოაქვს
ბულბულის ზმა საამური.

შეშვებოდა

ვაზს წინსაბიჯი ვერ უძლებს,
რა მოსავალი მოსულა,
ნადი სწვევია ბავშვების —
მესიმინდეს და მეყურძნეს.
ზოგი ტაროს ტებს,
ჩალას კრის,
ზოგმა ლობიო აბარდა,
ტარო ჩაბარდა ნაღიას,
ლობიო ბელელს ჩაბარდა.
დაძმობულთან ხეები
მსხლებით,
კომშებით,
ვაშლებით,
ძირს დაუხრიათ რტოები,
რომ კარგად მისწვდნენ ბავშვები.




მხატვარი ბ. ფოცხიშვილი

დლით აღრუ, საბჭოთა ფრონტის აქეთ
არსებულ კენიგსბერგში მოსკოვი-
დან კულტურისა და სახვითი ხელო-
ვნების კომიტეტის თანამშრომლები
ჩავიდნენ, რათა ფაშისტების მიერ
საბჭოთა კავშირიდან გატაცებული და
კენიგსბერგში ჩატანილი ხელოვნების
ნიმუშები მოეძებნათ. მათ იცოდნენ,
რომ აქ იყო კიევიდან და ხარკოვიდან
გატაცებული სურათები, მაგრამ ქარ-
ვის ოთახიც რომ აქვე იყო, ამის შეს-
ახებ ვერ არაფერი სმენოდათ. საბჭო-
თა მეცნიერებმა მუშაობაში ჩააბეს
კენიგსბერგში დარჩენილი როდე. ეს
მუშაობა თანდათან ურთიერთნდობით
გაიმსჭვალა. პრაქტიკულმა თანამშ-
რომლობამ მალე დაარწმუნა დოქ-
ტორი როდე, რომ რუსები არ იყვნენ
ისეთები, როგორც მათ ყბადღებუ-
ლი ნაციისტური აგიტაცია ხატავდა.
მალე როდემ თავისით წამოაყენა რა-
მდენიმე სასარგებლო წინადადება.
ქარვის ოთახზე კი არავინ არაფერს
ეკითხებოდა. არც თვითონ იცოდა,
როგორ ჩამოეგდო ამაზე სიტყვა.
როგორც ჩანს, ვერ გაუბედნა.
საბჭოთა მეცნიერებს დოქტორ
როდესთან კავშირი არ გაუწყვეტიათ
1945 წლის დასასრულამდე. კიევიდან

და ხარკოვიდან გატაცებული ზოგი-
ერთი სურათი, საბედნიეროდ, აღმო-
ჩნდა, რაშიც დოქტორ როდესაც მი-
უძღვოდა წელიწადი. მაგრამ როდე შიშს
ჰყავდა შეპყრობილი და ყოველთვის
ფრთხილობდა, გულჩახვეული იყო
თავის თანამემამულეებთან, მათი თა-
ნდასწრებით დუმდა და კითხვებზე
ბუნდოვან პასუხებს იძლეოდა. განსა-
კუთრებით მოუსვენრად გრძნობდა
თავს სასახლეში გამართული შეხვე-
დრებისას. შესაძლოა, საბჭოთა მეც-
ნიერებთან ხანგრძლივი თანამშრომ-
ლობის შედეგად მას დაეძლია ეს უკ-
ანასკნელი დაბრკოლება და ეთქვა,
თუ სად ინახებოდა ქარვის ოთახი, მა-
გრამ ეს არ დასცალდა.
1945 წლის 14 დეკემბერს როდე
საესეებით ჯანმრთელად გრძნობდა
თავს და მუშაობდა. 15 დეკემბერს
იგი სამუშაოდ არ გამოსულა. 16 დე-
კემბერს კი მოვიდა ამბავი, რომ დო-
ქტორი როდე და მისი ცოლი საკუთარ
ბინაში მკვდარი ნახეს. ექიმმა პაულ
ერდმანმა სიკვდილის მიზეზად დიზე-
ნტერია დაასახელა. ცოტა ხნის შემ-
დეგ ექიმი უგზო-უყვლოდ გაქრა. ას-
ევე გაქრა ცოლ-ქმარ როდეების
გვაემბიც. ასე რომ, სიკვდილის მიზ-

ების დადგენა არ მოხერხდა. ცხადია,
ეს იყო საგანგებოდ მომზადებული
მკვლელობა, რომელიც კენიგსბერგში
იატაკქვეშ მოქმედმა ფაშისტებმა მო-
აწყეს. მათ არ სურდათ, რომ დოქ-
ტორ როდეს საბჭოთა მეცნიერების-
ათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ქა-
რვის ოთახის სამალავის თაობაზე.
მამის საიდუმლოებით მოცული
სიკვდილიდან ათი წლის შემდეგ კელ-
ნში მცხოვრებმა დოქტორ როდეს ვა-
ქიშვილმა საბჭოთა კომისიას წერილი
გამოუგზავნა. ვოლფგანგ როდე წე-
რდა: მამასთან უკანასკნელი შეხვედ-
რისას მან მითხრა, რუსებისა არ მე-
შინია, რადგან სუფთა სინდისი მაქვს,
და ვაპირებ საჭირო მითითებების მი-
ცემას რუსეთიდან გერმანიაში გატა-
ცებული საგანძურის შესახებო... მა-
შინ მას მხედველობაში ჰქონდა მინს-
კიდან და კიევიდან გატაცებული სა-
განძური. ვოლფგანგ როდეს ვარაუდ-
ით, 1945 წლის იანვრის შემდეგ ქარ-
ვის ოთახს კენიგსბერგიდან ვერ გაი-
ტანდნენ. ვერ წარმომიდგენია, — გა-
ნაგრძობდა წერილში ვოლფგანგ რო-
დე, — მამაჩემს ეკისრა ასეთი ისტო-
რიული ღირებულების გადატანა სხვა
ადგილას. მამასადამე, ქარვის ოთახი



ისევ სასახლის საიდუმლო საკნებში უნდა იყოსო.

დოქტორ როდეს სიკვდილმა გაურკვეველი დროით გადასდო ქარვის ოთახის სამალავის დადგენა. არავინ იცის, ყუთები სადმე ყოფილ კენიგსბერგში, დღევანდელ კალინინგრადშია ჩამარხული, თუ უკანასკნელ მომენტში, საბჭოთა არმიის შტურმის წინ, ფაშისტებმა მოასწრეს მათი გატანა ქალაქიდან. ამ პრობლემებზე ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად მუშაობდა 1949 წლის დეკემბერში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოყოფილი საგანგებო კომისია. ამ კომისიაში, გარდა ხელოვნებათმცოდნეების, ინჟინრების, არქიტექტორების, არქეოლოგების და სხვა სპეციალისტებისა, შედიოდა რამდენიმე მაღალი რანგის ოფიცერიც.

ვათხრებს აწარმოებდნენ კალინინგრადში, პრავდინსკში, პოლესკა და სხვაგან, ძველი ციხესიმაგრეების ნანგრევებში და მთავართა რეზიდენციებში. მაგრამ ქარვის ოთახი მაინც არსად ჩანდა. იყო კიდევ ერთი გზა — ეკითხათ ამის შესახებ კოხისთვის, აღმოსავლეთ პრუსიაში ცნობილი ჯალათისათვის, რომელიც ოკუპირებულ აღმოსავლეთ ტერიტორიაზე რაიხსკომისარის როლს ასრულებდა. ეს ის კოხი იყო, რომელმაც ბრძანა ქარვის ოთახის ლენინგრადიდან კენიგსბერგში გადატანა და მითითებები მისცა დოქტორ როდესს, სად დაქმალათ იგი. ეს პირწავარდნილი ნაცისტი თავისი რეზიდენციიდან საბჭოთა შეტევის დაწყებისთანავე გაქრა — გადაინაცვლა კოპენჰაგენში, სადაც ჯერ კიდევ იყვნენ ჰიტლერელები. აქ იგი უცხო სახელით ცხოვრობდა, როგორც შეძლებული გერმანელი მესაკუთრე. კოპენჰაგენის განთავსულების შემდეგ კოხი ჩრდილოეთ გერმანიაში გადავიდა, ხოლო ცოტა ხნის ხეტიალის მერე ლიუბეკის ახლოს დასახლდა. სადაც თავს მიწის მუშად ასალებდა. მაინც მიაგნეს, შეიპყრეს და გადაგზავნეს პოლონეთში, სადაც მას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე უბოროტეს ომის დამნაშავეს, დიდი ხანია ემტდნენ: ომის დროს კოხი მხეცურად უსწორდებოდა პოლონელ მოსახლეობას.

საბჭოთა კომისიის წევრი ბენიამინ კროლევსკი თავის ბროშურაში „ქარვის ოთახის ისტორია“ წერდა, თუ როგორ ეჭირა თავი კოხს დაპატიმრების შემდეგ: „პოლონეთის სასამართლოს წინაშე წარსდგა მთავარი ჯალათი. ეს იყო საცოდავი არსება, რომელიც ყველაფერს უარყოფდა და საკამათოდ ხდიდა, რათა თავისი სიცოცხლე გადაერჩინა. მან უარყო

თავისი იდეოლოგია, განუდგა იმას, რასაც ადრე ასე ფანატიკურად ქადაგებდა. ლანძღავდა და ადანაშაულებდა ყველა ყოფილ მეგობარს, კეთილისმყოფელსა და ქვეშევრდომს. პროცესმა, ერთი მხრივ, გამოააშკარაა საზარელ ბოროტმოქმედებათა, მხეცურ მკვლევლობათა სურათები და მთელი ხალხების ამოწყვეტის გაუგონარი გეგმები, ხოლო მეორე მხრივ — სასამართლოს წინაშე მდგომი პიროვნების არარაობა. ძნელი დასაჯებელია, რომ ამ მორალურად გადაგვარებულ არსებას წლების მანძილზე მილიონობით ხალხის ბედი ეჭირა ხელში“.

დოქტორი გერჰარდ შტრაუსი, ჰუმბოლტის უნივერსიტეტის (ბერლინი) ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი 1945 წლიდან, წარმოშობით კენიგსბერგელი იყო და კარგად იცოდა იქაური ამბები. იგი მეგობრობდა დოქტორ როდესთან და ერთ-ერთი იმთავანაც გახლდათ, ვისაც როდემ აწყობილი ქარვის ოთახი აჩვენა. ოთახის გადამალვის მიზნით მისი ყუთებში შეფუთვისას დოქტორი შტრაუსი კენიგსბერგში აღარ იყო, ხოლო როცა ომის დამთავრების შემდეგ იგი ბერლინიდან ჩამოვიდა ქარვის ოთახის მოსაძებნად, დოქტორად აღარ იყო ცოცხალი. არადა, შტრაუსი დოქტორ როდესაგან, ეჭვი არ არის, ყველაფერს გაიგებდა. ერთხელ დოქტორმა შტრაუსმა როგორღაც გვიამბო, რომ მას პოლონეთის ხელისუფლებამ მისცა შესაძლებლობა, საპრობილეში შეხვედროდა კოხს, რათა როგორმე ეთქმევინებინა დაკარგული ქარვის ოთახის საიდუმლოება. თუმცა შტრაუსს თითქოს ყველა პირობა ჰქონდა დავალების წარმატებით დაგვირგვინებისათვის, რაკი კარგად იყო გარკვეული მაშინდელი კენიგსბერგის ამბებში, მაინც მისი ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. როცა კოხს პოლონეთის სასამართლომ ჰკითხა, სად გადამალა საბჭოთა კავშირიდან გატაცებული ქარვის ოთახი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მან წაილულულა: „არ ვიცი“. შეიძლება იმის იმედიც ჰქონდა, რომ აცოცხლებდნენ მანამდე, სანამ ქარვის ოთახის სამალავი არ აღმოჩნდებოდა. 1951 წელს პოლონეთის სასამართლომ კოხს, როგორც ომის ერთ-ერთ მთავარ დამნაშავეს, ომის დროს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მაგრამ 1971 წლის ბოლოს გამოიკვია, რომ განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ: პოლონეთის კონსტიტუცია კრძალავს ავიდმოყფის სიკვდილით დასჯას, კოხი კი ძძიმედ იყო

აუად. 1959 წელს ილუსტრირებულმა ყურნალმა „ფრაიე ველტმა“ გამოქვეყნა ცნობა ქარვის ოთახის შესახებ და წამოიწყო ამ ოთახის ორგანიზებული ძებნა ფართო საზოგადოებრიობის დახმარებით. ყურნალმა მრავალი წერილი მიიღო ორივე გერმანული სახელმწიფოდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი უშედეგოდ დამთავრდა, გამქრალი ქარვის ოთახის საიდუმლოებას დღემდე ვერ აეხადა ფარდა.

საქვეყნოდ ცნობილი ქარვის ოთახის გვერდით ხშირად მოიხსენიება ასევე ცნობილი უნიკალური ნივთი — ორი მეტრი სიმაღლისა და სიგანის ქარვის კარადა, რომელიც 1728 წლიდან დგას დრეზდენის მუზეუმში. ქარვის კარადა, ისევე, როგორც ქარვის ოთახი, პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ I-ს ეკუთვნოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ქარვის კარადა ადგილზე დატოვეს და მუზეუმის სხვა საგანძურთან ერთად არ გადაუნახავთ მისი სიდიდის გამო. იგი იდგა ყოფილ სარეზიდენციო სასახლეში. ინგლისისა და ამერიკის საპაერო თავდასხმების დროს კარადა ძალზე დაზიანდა. რაკი დრეზდენში არ ჰყავდათ შესაბამისი რესტავრატორი სპეციალისტები, ტორუნის უნივერსიტეტის დოცენტმა დოქტორმა დომასლოვსკიმ ხელოვნებრ ნიმუშთა დრეზდენელ კოლექციონერებსა და პოლონეთის ხელოვნების მუზეუმს შორის არსებული მეგობრული ხელშეკრულების საფუძველზე შეძლო რესტავრირების თანამედროვე მეთოდების მოშველიებით პირვანდელი სახე დაებრუნებინა ქარვის კარადისათვის. სამაგიეროდ, 1970 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში ქარვის კარადა გამოფენილი იყო მალბორიკის (ყოფილი მარინბურგის) სასახლის მუზეუმის ქარვის კოლექციაში. ვადის გასვლის შემდეგ, 1974 წელს, ქარვის კარადა დრეზდენის მუზეუმში დააბრუნეს.

1971 წლის აგვისტოში, საბჭოთა კავშირში ყოფნისას, საბჭოთა სპეციალისტებმა გვითხრეს, რომ აპირებენ (რაკი პოვნის ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა) ქარვის ოთახის რეკონსტრუქციას არსებული დოკუმენტების საფუძველზე, მის ხელახლა აგებას და პუშკინოში, ყოფილ ეკატერინეს სასახლეში მოთავსებას, სადაც, ისევე, როგორც პეტერჰოფში, დიდი ხანია დასრულებულია ყველა აღდგენითი სამუშაო.



ბიონიკა

რეპრეზენტაციული ბიონიკა

ადამიანის მისწრაფების ერთ-ერთი უძველესი მიმართულებაა ზოგიერთი ცხოველის შესანიშნავ თვისებათა მიბაძვა სამყაროს სრულყოფის მიზნით.

სრულიად შესაძლებელია, რომ ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს (კოსმოსის ათვისება, მსოფლიო ოკეანის დაპყრობა, სრულყოფილი გამომთვლელი მანქანის შექმნა და სხვ.) შემდგომი წარმატებები დაკავშირებული იქნას ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებთან — ვთქვათ, ღამურებთან, ბაყაყებთან, დელფინებთან, პეპლებთან. ამ ცხოველებს ხომ ნავიგაციის, ლოკაციის ან ინფორმაციის შენახვის ყველაზე სრულყოფილი „ხელსაწყოები“ აქვთ კაცობრიობისათვის აქამდე ცნობილ ყველა ხელსაწყოებთან შედარებით. ადამიანის ხელს ჯერ არ შეუქმნია ისეთი ეფექტით მოქმედი და კომპაქტური მოწყობილობები, რომლებითაც ალკურვილია ცხოველთა ფრთები, ფეხები თუ ფარფლები. მეცნიერები და ინჟინრები გულდასმით სწავლობენ ცხოველთა ამ სისტემებს და იმედოვნებენ, რომ მათი მეშვეობით დააპროექტებენ და ააგებენ დღემდე არსებულთან შედარებით გაცილებით უფრო სრულყოფილ ხელსაწყოებს და მექანიზმებს.

მეცნიერების ამ ახალ მიმართულებას ბიონიკას უწოდებენ. მის განვითარებაში მონაწილეობენ მეცნიერებისა და ტექნიკის სრულიად სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, დაწყებული საკუთრივ ბიოლოგებით და დამთავრებული მათემატიკოსებითა და ინჟინრებით, რომლებიც ცდილობენ, ადამიანისათვის აუცილებელ ხელსაწყოებსა და მოწყობილობებში დანერგონ მეცნიერთა კვლევის პრაქტიკული შედეგები.

სიტყვა „ბიონიკა“ ინგლისურია და „სასიცოცხლო ელემენტს“ ნიშნავს.

საბჭოთა ბიონიკოსების მამამთავარი, აკადემიკოსი ბერგი ასე განსაზღვრავს ამ მეცნიერების არსს: „ბიონიკა შეისწავლის ბიოლოგიურ კანონზომიერებათა ტექნიკაში გამოყენების შესაძლებლობებს, ტექნიკურ სისტემათა, მანქანებისა და ხელსაწყოების ხარისხის ამაღლების, მათ შესაძლებლობათა გაზრდის მიზნით“.

ბიონიკის, როგორც მეცნიერების, ისტორია იწყება 1951 წლიდან, თუმცა ტერმინი პირველად ოფიციალურად მიიღეს 1960 წელს გამართულ ბიონიკოსთა პირველ მსოფლიო კონგრესზე.

ბიონიკა უაღრესად პერსპექტიული ცდაა, შეავსოს მეცნიერ-მუშაკებისა და ინჟინერ-პრაქტიკოსების საქმიანობებს შორის მზარდი ვაკუუმი. აქ ბიოლოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ ფიზიკოსებთან, ფსიქოლოგებთან — ინჟინრებთან. სხვადასხვა დარგის



მეცნიერთა და პრაქტიკოსთა მსგავსი თანამშრომლობა განსაკუთრებით სასურველია ჩვენს საუკუნეში, როდესაც მეცნიერება 1150-ზე მეტ სხვადასხვა დარგად იყოფა.

რით შეიძლება აიხსნას ესოდენ დიდი ინტერესი ცხოველთა სხვადასხვა სისტემების აგებულებისა და ფუნქციების მიმართ? საქმე ის არის, რომ ადამიანის მიერ შექმნილი მექანიზმები და ხელსაწყოები სულ უფრო რთული და ძვირადღირებული ხდება. მეცნიერები და ინჟინრები ეძებენ ცხოველთა აგებულებაში იმ ახალ პრინციპებს, რომლებიც გაცილებით უფრო მარტივი და საიმედო ხელსაწყოების შექმნის გარანტიას მოგვცემდა.

ბუნებამ არაერთი ეფექტიანი სანავიგაციო სისტემა შექმნა. მაგალითისათვის სრულიად საკმარისია დავასახელოთ ფრინველთა მიგრაცია. ფრინველები ათასობით კილომეტრს გა-

დაიფრენენ ხმელეთსა და ზღვაზე და შემდეგაც შეუცდომლად არკვევენ საკმარის მიმართულებას; მანძილს აწვდიან ღამის პეპლები; საკმარისი მანძილზე ანთი მგრძობიარე „ყურებით“ დაიჭირონ ღამურების ლოკატორთა ულტრაბგერების ოდნავ გასაგონი სიგნალები, რომ წყალქვეშა ნავების მსგავსად „დაყვინთავენ“. თავს დაიძვრენ დაუძინებელი მტრისაგან. პაწაწკინტელა კიბოსნაირები — გვერდით-მცურავები მთვარის მიხედვით აგნებენ გზას. ორიენტირებაში მათ ეხმარებათ მიკროსკოპული ზომის სპეციალური გამომთვლელი მოწყობილობა.

ზოგიერთი ცხოველის გრძობათა ორგანოები გაცილებით სრულყოფილია, ვიდრე ადამიანისა. ადამიანი ვერ ამჩნევს ტემპერატურის ცვლილებებს ერთი გრადუსის მეათედის ფარგლებში, მაშინ, როცა ჩხრიალა გველი გარემოს ტემპერატურის ცვლილებას გრძობს გრადუსის მეათასედის ფარგლებში. უფრო მეტიც, ზოგიერთ ცხოველს გრძობის ისეთი ორგანოები აქვს, როგორც ადამიანს საერთოდ არ გააჩნია.

დღეისათვის მცხოვრებ ცხოველთა „მგრძობიარე“ მექანიზმები და სისტემები „სიცოცხლის ფაბრიკის“ კონვეიერებიდან ჩამოსული უკანასკნელი მოდელებია. თვით „ფაბრიკა“ უკვე 2,7 მილიარდი წელია არსებობს. მთელი ამ უზარმაზარი დროის მანძილზე მცენარეები და ცხოველები ვითარდებოდნენ, მრავალფეროვნდებოდნენ და ეგუებოდნენ გარემოს სრულიად სხვადასხვაგვარ ცვლილებებს. ამის შედეგად გადარჩნენ მხოლოდ ის სახეობები, რომლებმაც გამოიმუშავეს მთელი რიგი შემგუებლობითი თავისებურებები. სხვა სახეობები, რომლებიც ვერ „მოერგნენ“ გარემო ბუნებას, გადაუნდნენ. ამგვარად, ბუნებრივი შერჩევის პროცესში შექმნა ისეთი სრულყოფილი მექანიზმები, როგორც არის ღამურებისა და დელფინების ულტრაბგერითი ლოკა-



ჯანსუღ ნიჭაბაძე

დაჰკაპთ დაფლაფებს!

ვრი კარგი ლექსია დასტამბული ამ კრებულში. წიგნს გადაშლით თუ არა, ვეებერთელა წამყარო წარმოგვიდგებათ თვალწინ: აბეზარი ციყვებითა და ფაფისმოძულე ბიჭუნებით, „ჭიჭიჭია-ჭიანჭველებითა“ და „ხარბი“, სულელი დათუნებით დასახლებული ქვეყანა.

ამ ქვეყანაში მოხვედრისას მთავარია გუმანმა არ გიმტყუნოთ; მთავარია სწორად გაუგოთ ბავშვების შექმნილი, პატარა, კარაქის ტრამვაის მწუხარებასაც და მსუნავი ციციქნა გოგობიჭების მოუთმენლობასაც. ისიც უნდა შეგეძლოთ, რომ ერთი წუთით „იღბლიანი ბიჭის“ ადგილზე წარმოიდგინოთ საკუთარი თავი.

თქვენ როგორ ფიქრობთ, ტრაბახა იყო თუ არა ის ჭიანჭველა, ზურგზე წამოკიდებული ნამცეცა ბატიბუტი რომ ათი ფუთი ფიგონა?

წიგნში „დაჰკაპთ დაფლაფებს!“ ორი პატარა პიესაცაა: „უებარი წამალი“ და „ადამიანი და სპილო“. ბებერი, ბრძენი კოდალა, მოხერხებული მეგობრები — ბეკეკო და ყვანჩალა მოულოდნელად ლოგინად ჩავარდნილი, მამაცი, დეზებანი მამალი, გულბურჯვილო სპილო, ჭკვიანი სახედარი, მორჩილი ხარბი, ერთგული მურია — ამ პიესების მოქმედი გმირების სია ამით როდი მთავრდება.

ყველაზე მეტად ალბათ ცანგალა-ბიჭის — მხიარული, საზრიანი, მოხერხებული ყმაწვილის ამბავი მოგეწონებათ. პოემას, რომელიც ამ ამბავს მოგვითხრობს, ასეც ჰქვია — „ცანგალა“. წაიკითხავთ ამ ლამაზ ზღაპარს და, თუ მშობელი ხალხის შემოქმედებას კარგად იცნობთ, არ შეიძლება, სიმღერადაქცეული „ცანგალა და გო-

გონა“ არ მოგაგონდეთ. კიდევ ბევრი, ბევრი საინტერესო, პოეტური ზღაპარი იცის ამ წიგნის ავტორმა, ბავშვებო! აბა, მოხერხებულიად მოეწყეთ და გადაშალეთ ცისარტყელების ფერებდაკრული ეს პატარა კრებულის. ყური დაუგდეთ! სწორედ ახლა იწყება ყველაზე მშვენიერი და კეთილი ზღაპარი.



„სამშობლოს სიყვარული, სიბეჭითე, კეთილშობილება, აი, რა არის მისი ლექსების თემა“ — ვკითხულობთ პოეტ ჯანსუღ ნიჭაბაძის ახალი საბავშვო წიგნის მოკლე ანოტაციაში.

ამით ყველაფერი როდია თქმული. წიგნის გამოსვლა უთუოდ გაახარებს ყველა ბავშვს, ვისთვისაც ძვირფასია პოეზია და მხატვრული სიტყვა. „ეს ქალაქი ვისია“, „გაგიგონიათ?“, „მძლეონები“, „ახალი წელი“, „კვერცხი თუ ქათამი“, „ზღაპარ იყო“. დიახ, ბე-

ტორები, გომბეშოს თვალები, ანდა პეპლის მთელი თავდაცვითი სისტემა. ლაბორატორიის როლს ამ ცხოველებს ბუნება უწევდა, ხოლო არსებობისათვის შეუწყვეტელი ბრძოლა მათ „კვლევით მუშაობას“ წარმოადგენდა. დიახ, ცოცხალი ბუნების — უღრესი გამოგონებები, ინჟინრისა და მშენებლის შემოქმედებითი საქმიანობის მთავარი მეთოდი იყო ბუნებრივი შერჩევა. მილიონობით წლის მანძილზე „სიცოცხლის ფაბრიკაში“ იქმნებოდა განსაკვირვებლად მიზანშეწონილი და ჰარმონიული ცოცხალი „ხელსაწყოები“ და „მექანიზმები“, რომლებიც დღეს ინჟინრების საქმიანობაში პროტოტიპების როლს ასრულებენ. ადამიანმა — ერთადერთმა ცოცხალმა არსებამ, რომელსაც უნარი შესწევს აქტიურად შეცვალოს თავისი არსებობის პირობები, — მიმართა ამ ცხოველმყოფელ, ცოცხალ მოდელებს. ასეთი დაინტერესების მთავარი მიზანი იყო ზოგი ისეთი პრინციპის აღმოჩენა, რომლებიც ადამიანს საკუთარი პრობლემების გადაწყვეტისას გამოადგება.

ბიონიკის დარგში მომუშავე სპეციალისტები „სინთეზური“ ორგანიზმების დაპროექტებისას არ ცდილო-

ბენ, მონურად გადაიღონ ბუნება. მათ აინტერესებთ უმთავრესად ის პრინციპები, რომლებზედაც ესა თუ ის სისტემაა აგებული. ჯერ კიდევ ბერძნულ მითოლოგიაშია მითითებული ბუნების ბრძედ გადაღების საშიშროება: როდესაც იკაროსი ცვილისაგან გაკეთებული ფრთებით მზისკენ აფრინდა, მზის მწველმა სხივებმა, დაადნო ცვილი და იკაროსი ზღვაში ჩავარდა. ადამიანის ცდა, ეფრინა ფრინველის მსგავსად, ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა. ადამიანმა მხოლოდ მას შემდეგ შეძლო ფრენა, როცა ნაწილობრივ მაინც ჩაწვდა ფრენის დინამიკის საფუძვლებს.

ექვს გარეშეა, ჯერ კიდევ ბევრი დრო გავა, სახამ კვლევა-ძიებანი ბიონიკის დარგში სასურველ შედეგს მოგვეცემდნენ, მაგრამ ეს მეცნიერება ერთობ სწრაფად ვითარდება და დღეს მიღწეული შედეგებიც ფრიალ საგულისხმოა.

გომბეშოს თვალის შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია ელექტრონული თვალის მოდელი — მიზანზე, ობიექტზე დაკვირვების ბრწყინვალე სისტემა. ცნობილია, რომ მტაცებლებისათვის საკვების მოპოვების ერთ-ერთი არსებითი გამაღიზიანებე-

ლია მსხვერპლის მოძრაობა, სახელდობრ, ასე იქცევა გომბეშო. ჩვეულებრივ, ეს ამფიბია მოძრაად და ცოცხალ მსხვერპლს იჭერს. მკვდარი მწერი მას არ აინტერესებს. გომბეშოს თვალის კიბერნეტიკული აპარატი — იგი ცხოველს უგზავნის მხოლოდ აუცილებელ ინფორმაციას. გაიფრინა ბუნება ახლოს — გომბეშო მაშინვე აკეთებს რეაქციას; თუ მწერი ისეთ მანძილზე მიფრინავს, რომ ნადირობას აზრი არა აქვს, მონადირე თითქოს ვერც ამჩნევს მწერს. მხედველობითი აპარატი იცავს ამფიბიას ფუჭი ნერვიულობისაგან. ამ აპარატმა დიდად დააინტერესა ინჟინრები. გომბეშოს თვალის აგებულების მიხედვით მათ შექმნეს ელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ ავიაციაში, კერძოდ, ატმოსფეროს მაღალ ფენებში სახიფათო სიტუაციების თავიდან ასაცილებლად. ამ აპარატის შემოკლებული სახელწოდებაა მმს, ანუ მოძრავი მიზნის სელექცია.

არნ. გომბეშოს, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული შემდეგ ნომერში

სტუდენტური კუჩი

ლაზური ზღაპარი

იყო ერთი გონიერი და ზრდილი ახალგაზრდა კაცი. სოფელში ჭკვიანი და ალალი კაცის სახელი ჰქონდა. ადრე დაობლდა, მაგრამ ბაბუის მზრუნველობა არ მოჰკლებია. ბევრი მისი დარიგება ახსოვდა, განსაკუთრებით კი ეს სიტყვები ჩარჩენოდა მესხიერებაში: შენად არასოდეს მიიჩნო ის, რაც შენ არ გეკუთვნისო.

ერთ დღეს ეს ალალი კაცი შორი მოგზაურობიდან შინ ბრუნდებოდა. საგზალი შემოღლეოდა და შიმშილისაგან შეწუხებული ძლივს მოლასლასებდა. დღეს მიუახლოვდა. დაინახა, წყალს ვაშლი მოჰქონდა. დასწვდა, ამოიღო და ხარბად ჩაქებია, მაგრამ უცებ შეკრთა: „ეგ რა ვქენი! ვაშლი ჩემი არ არის, არ შემერგებაო!“, — გაიფიქრა და იქაურობას თვალი მოავლო. ახლომანლო ვაშლის ხე არსად იდგა. მაშინ ღელეს თავადმა აჰყვა, თან მოკბეჩილი ვაშლიც წაიღო. იარა, იარა და მიაღდა ერთ ვაშლის ბალს. მებალე ხეზე ასულიყო და ხილს კრეფდა. ახალგაზრდა მოშორებით შეჩერდა. მებალემ დაინახა, ხიდან ჩამოვიდა და უცხო კაცს მიესალმა. მო-

სულმა მებალეს მოკბეჩილი ვაშლი დაანახა და უთხრა:

— შორი გზიდან მოვდივარ, ქვემოთ, ღელეში ეს ვაშლი ვიპოვე, ამოვიღე და ერთხელ მოვკბიე... მერე-ლა ვიფიქრე, რომ მე არ მეკუთვნოდა. უთუოდ შენი იქნება. აჰა, მოვიტანე, ის ერთი ლუკმა კი ალალი მიყავიო.

მებალემ ახალგაზრდა შინ მიიწვია, აჭამა, ასვა და ბოლოს უთხრა:

— წესიერი და ჭკვიანი კაცი ჩანხარ, შვილო, მაგრამ თუ გინდა, რომ ის მოკბეჩილი ვაშლის ლუკმა შეგერგოს, ხუთი წელიწადი უსასყიდლოდ უნდა მემსახურო და ჩემი ვაშლის ბალს მოუარო. თუ ამ პირობაზე უარს იტყვი, მაშინ ჩემი ერთადერთი ქალიშვილი უნდა წაიყვანო ცოლად, მაგრამ იცოდე: ჩემს ქალიშვილს არც თვალი აქვს, არც ხელი, არც ენა და არც ყურიო.

ახალგაზრდა გაოგნდა, დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს გამოუტყდა, მიჩვენა შენი ქალიშვილი შევირთო ცოლად, ვიდრე ხუთ წელიწადს გემსახუროო.

მებალე წამოდგა, ოთახის კარი გააღო და სტუმარს უთხრა: აჰა, ამ ოთახშია შენი საცოლე, შეგჩემლია დღესევე წაიყვანოო.

ახალგაზრდამ ოთახში შეიხედა და გაკვირვებულმა უკან დაიხია.

— შედი, ნუ გერიდებოა, — წააქეზა მებალემ.

— ვერ შევალ. აქ მზეთუნახავი ქალი ზის, ჩემს საცოლეს კი ვერ ვხედავ. არ მინდა ხელმეორედ ცოლდა ჩავიღინო და ჩემად მივიჩნიო ის, რაც მე არ მეკუთვნისო, — მიუგო ახალგაზრდამ.

— სწორედ ეს არის ჩემი ქალიშვილი, მეტი არავინ მყავსო, — მიუგო მებალემ. — ჩემი ნათქვამი კი — უთვალო, უხელო, უენო და უყურთამეთქი — იმას ნიშნავს, რომ ჩემს ქალიშვილს სხვის ქონებაზე თვალი არ რჩება, სხვისას ხელს არ ახლებს, სხვებზე ცუდს არაფერს იტყვის და ბოროტთა ავციობას ყურს არ უგდებს. მეც შენისთანა სასიძოს ვეძებდი, რომ ჩემი ქალიშვილი მიმეთხოვებინაო.

ალალმა კაცმა წამოიყვანა მებალის მზეთუნახავი ქალი, ცოლად შეირთო და ბედნიერად ცხოვრობდა.

ჩაიწერა ზურაბ თანდილაძემ
სოფელ ხარფში 1974 წელს.

ქ ნ ღ ა ზ ე ტ ი

აღრე ამდგარსა მამაწვილსა ღმერთი უმჯადებს სადილსაო.

●
ოქში წამსვლელი ხეალს არ ნათხოვრობსო.

●
პატიოსნად მოგაგული ჰირანხული მალე არ გაამოიღებო.

●
როგორც ნათესია, ისეთი სამგალიაო.

●
სანამ საღმე შეხვიდოდა, გამოსვლაზე იფიქრაო.

●
სითამამაღალით ცინე დავდგი, სიჟოჟოჟით დავანგრიეო.

●
ქალბანეი ოქროში რომ ამოავლო, მაინც ქალბანეიო.

●
შენ საპერავი ნემსით იჩხვლიტე და სხვას საღვისით მერე უჩხვლიტეო.

●
წვეთ-წვეთისაგან ტვა დავგებო.

●
ჰაჰას უჰაჰო პატისაგანაც იწვავლიო.

●
ჯოგს რომ სამონელი მოშორდება, გგალი შეჰამსო.

●
არ ვიცი ერთია, ვიცი — ათასიო.

●
გაგვგს სწორი გზა ასწავლე და სიბერემდის გაჰვებო.

●
ინეთიშვილი — მინეთიშვილი, რაც მამა და — იგი შვილი.

●
ცხენი რომ იჟიღო, დედა ნახეო.

●
ღილის ამოხულ მჯან შერში შებეჭობა, დარია თუ ავდარიო.

●
ენა მველას აქვს, ჰაჰა კი — არაო.

●
ზარბაცი საღამოზე გაბაჯრითღებო.

●
კაცს სიტყვით დაბაბამენ, ხარს — ბაწრითო.

●
კუ გორაჰა ავიდა და თქვა: მამუნის კიღას ვხედავო.

●
ბასრი ხმალი ქარქაზს არ გასჭრისო.

●
მოცლილი კაცი კურღელს ურებით მისდევდო.

●
ნაბაღს მველა მოიხურავს, მაგრამ მწყემსივით არავის დაუშენდებაო.



კახლანი თხილიჯანთა
უნა წაკაოთხას
მალაქიკაჟი, რეა თუნაჟ
ერთი კაოთხიჯანთა



ლის „რადიოსიციცილის“ საშუალო ხანგრძლივობა 1000 წელი იქნება. 10 მილიონი კი საკმაოდ დიდი რიცხვია — იგი გულისხმობს ყოველი 15 000 ვარსკვლავიდან ერთზე სიციცილის მალაღანვითარებულ ფორმათა წარმოშობას, და, რა თქმა უნდა, საგრძნობლად ველარ გაიზრდება...

**უაქაჟაჟი კი ერთხანთთან
დაქაჟიკაჟი ერთღრეჟაჟ
არსაჟულ თხილიჯანთაჟ**

წარმოვიდგინოთ, რომ ორი „რადიოსიციცილი“ ერთღრეჟულად, ოღონდ გალაქტიკის ურთიერთსაწინააღმდეგო პერიფერიებზე წარმოიშვა, მათ შორის მანძილი 100 000-მდე სინათლის წელი იქნება. და თუ მათი სიციცილის ხანგრძლივობა 1000 წელია, ერთ-ერთი მათგანის რადიოგადაცემები მეორე ვარსკვლავზე მალეწევს იქ არსებულ ცივილიზაციის „სიკვილიდან“ 99 000 წლის შემდეგ. როგორც ვხედავთ, ამ ცივილიზაციათა თუნდაც ცალმხრივი კონტაქტისთვის მათი „რადიოსიციცილის“ ხანგრძლივობა უნდა უახლოვდებოდეს 100 000 წელს, ხოლო ინფორმაციის თუნდაც ერთჯერადი გაცვლისათვის (კითხვის გაგზავნა და პასუხის მიღება) 200 000 წელს.

ცხადია, ახლო განლაგებულ და ერთღრეჟულად წარმოშობილ ცივილიზაციებს უფრო გაუადვილებათ კონტაქტის დამყარება, მაგრამ როცა მთელ გალაქტიკაში თუნდაც ორი „რადიოსიციცილის“ ერთღრეჟულად არსებობის ალბათობა მცირეა („რადიოსიციცილის“ მცირე ხანგრძლივობის პირობებში), მათი ერთმანეთთან ახლოს განლაგების ალბათობა კიდევ უფრო მცირე იქნება. ზემოთ მოყვანილ პირობებში ერთღრეჟულად არსებულ ცივილიზაციებს შორის საშუალო მანძილი

ათეული ათასა სინათლის წლით გამოისახება.

არსებითად შეიცვლება საკითხი, თუ მივიჩნევთ, რომ ნებისმიერი „რადიოსიციცილი“ ძალიან დიდხანს ცოცხლობს, მაშინ არსებულ ცივილიზაციათა ასაკები მილიონობით და მილიარდობით წელი იქნება. მაგრამ საკითხავია, შეძლებენ კი ცივილიზაციები ერთმანეთს გაუგოს, თუ მათ ასაკში მილიონი წელი განსხვავებაა? რადგან ეს საეჭვოა, მივიღივართ იმ დასკვნამდე, რომ ცივილიზაციათა ერთღრეჟულად არსებობა ცოტაა, საჭიროა ისინი ასაკითაც მახლოვდებიან იყვნენ. ესეც ამცირებს ჩვენს მიერ კოსმოსურ ცივილიზაციათა მოძებნის ალბათობას. არ არის გამორიცხული, რომ წინ წასული ცივილიზაცია სარგებლობდეს კავშირის სხვა, ხელსაყრელი და ჩვენთვის ჯერ უცნობი საშუალებებით. ამ შემთხვევაში, როგორც ზოგი ასტრონომი ფიქრობს, იმედი უნდა გვქონდეს მალაღანვითარებულ ცივილიზაციების მხოლოდ იმ ნაწილისა, რომლებიც რაიმე მიზეზით დაინტერესდებიან არქაული ცივილიზაციებით (გაიხსენეთ ცივილიზებულ ერების ექსპედიციები ქვის ხანის ადამიანთა მხარეებში).

**უნაქაჟაჟი კი ერთხანთთან
დაქაჟიკაჟი სხვადასხვა
თხილიჯანთაჟ**

ეს არც ისე მარტივი კითხვაა და მასზე სხვადასხვა პასუხებს იძლევიან. ზოგი მეცნიერი არც ურჩევს კაცობრიობას სხვა ცივილიზაციათა მოძებნას. ისინი შიშობენ, რომ ცივილიზაცია, რომელიც ტექნოლოგიურად ძალიან მალაღანვითარებულა, შეიძლება ეთიკურად სულაც არ იყოს შესაბამისად ამაღლებული, ასე რომ, იგი არც დაპყრობებს მოერიდება. რა შეიძლება ამაზე ითქვას? ჯერ ერთი, თუ ცივილიზაცია იმდენად მალა-

ლგანვითარებული იქნება, რომ მოახერხებს ვარსკვლავეთის სიღრმეებიდან ჩვენამდე მოღწევას, იგი ისეთ დიდ საიდუმლოებას იქნება დაუფლებული, და ე. ი. ისე მდიდარი იქნება, რომ სასაცილოა მისთვის „დაპყრობის“ სურვილის მიწერა. განა რა უნდა დაიპყროს? ვითომ მატერია მისი ვარსკვლავის მიდამოებში ნაკლებია? ხოლო ნებისმიერი ნივთიერების სხვა ნებისმიერ ნივთიერებად (ოქროდ, ვერცხლად...) გარდაქმნა მას არ გაუძნელდება. ასე რომ, თუნდაც „ეკონომიკური დაუინტერესებლობის“ პრინციპი ააღბინებს მას ხელს დაპყრობაზე (რას წავართმევდით ჩვენ, მთვარეზე რომ შემთხვევით ქვის ხანის ცივიზაცია აღმოგვეჩინა?).

მაგრამ მე არ ვეთანხმები არც იმათ, ვისაც ეშინია სხვა ცივილიზაციათა დბალი ეთიკური დონისა. ბოროტი აღამიანი რომ კარგი იხეინერი შეიძლება გახდეს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცივილიზაციამ შეძლოს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა. საერთოდ, ვარსკვლავთშორისი გადაფრენები მხოლოდ ასტრონომიის კარგად მცოდნე საზოგადოებას ძალუძს. ასტრონომია კი აღამიანს აფიქრებს და ფსიქოლოგიურადაც ამაღლებს. სამყაროს უსასრულობა, მასშტაბთა გრანდიოზულობა, დროისა და სივრცის მიუწვდომელი კანონზომიერების ძიება თვალსაჩინოს ხდის ეგოისტურ, პრაგმატულ მიდრეკილებათა წარმავლობასა და უსუსურობას. ამიტომ ორმად მჯერა — განათლებული და მაღალგანვითარებული ცივილიზაცია მსოფლმხედველობრივადაც ამაღლებული იქნება და მხოლოდ სიკეთისა და ჰარმონიის დამკვიდრებას შეეცდება ყველგან.

ესეც არ იყოს, სანამ კოსმოსში ორმად შეჭრას შეძლებს, ამა თუ იმ ცივილიზაციამ მრავალი შინაგანი პრობლემა უნდა გადაჭრას, რაც მაღალი ეთიკურ-მორალური დონის გარეშე თავისთავად შეუძლებელი იქნება.

ამიტომ მე მჯერა, რომ ყოველ ცივილიზაციას ენდომება, შენიშნულ იქნას ვალაქტიკისა თუ მეტაგალაქტიკის მოაზროვნე ცივილიზაციათა ოჯახის მიერ. შეუმჩნეველი არსებობა რალა არსებობაა! ყოველ შემთხვევაში, დედამიწის ცივილიზაციის წარმომადგენლებს ნამდვილად სურთ კავშირი სხვებთან. თუმცა, შესაძლოა, ჯერ არც არიან ამ კავშირისათვის სათანადოდ მომწიფებულნი.



განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული მწვრთნელი
ზოთა ინჰპირავლი

სამტრედიის მრავალგზის ჩემპიონი მერაბ არჩვაძე ნიჭიერი და ერუდირებული მოჭადრაკეა, რომელმაც უკანასკნელ წლებში შემოქმედებითად და პრაქტიკული ძალით ოსტატობის რანგს მიაღწია.

ძირითადი სპორტული მიღწევები: 1971 წელი — პირველი ადგილი ფესტივალზე „საქართველო-50“; 1977 წელი — მეხამე ადგილი საქართველოს ვუთა ჩემპიონატში; 1978 წელი — სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქართველოს ჩემპიონი; 1978-80 წლები — საქართველოს ჩემპიონი პირველ მიმოწერით ტურნირში.

მ. არჩვაძე ინჟინერია. პარალელურად აშეცადინებს უმაღლესი დაოსტატების გზუფს. გავეცნოთ მ. არჩვაძისა და მისი

ერთ-ერთი მოწაფის თითო პარტიას, რომლებიც მათი შემოქმედებითი რწმუნებულებით ნაყოფა და საინტერესო და სასარგებლო უნდა იყოს ქადრაკის შემსწავლელთათვის.

პარტია გათამაშდა საქართველოს ვუთა პირველობის ნახევარფინალში.
პ ა რ ტ ი ა № 2
სიცილიური დაცვა
ქუთაისი, 1980 წ.

მ. არჩვაძე

(ოსტატობის კანდიდატი. სამტრედია)

მ. ბაღალიანი

(ოსტატობის კანდიდატი. მარნეული)

ამ პარტიაში სადებიუტო უპირატესობისათვის ბრძოლა გამოკვეთილი არ არის. საერთოდ, ასეთ შემთხვევებში სიმძიმის ცენტრი შუა თამაშშია გადატანილი (იხ. პარტია №8). ხშირად დაფაზე ორი დებიუტია — ორივე მხარე პოზიციას აგებს რომელიმე ცნობილ ქარგაზე, რომელშიც ჩაქსოვილია მომავალი ბრძოლის კონტურები. ამ პარტიაში კი სადებიუტო სვლებში არა მარტო მიტელშილის კონტურებია ჩაწნული, არამედ უფრო მეტიც. პირველი სვლებიდანვე დაიწყო კონკრეტული თამაში, აქტიური მოქმედება, რომლის გზაც შეწირვასე გადის. ასეთ ნაწარმოებებში თითქმის წაშლილია ზღვარი დებიუტსა და მიტელშილის შორის.

1. e4 c5 2. მც8 მც6 3. f4.
- გათამაშდა სიცილიური დაცვის დახურული სისტემის ნაირსახეობა.
3. ... გ6 4. მფ3 კვ7 5. კ4 d6 6. 0—0 e6 7. f5!

ამ პროგრამული სვლით თეთრებს პარტია გამბიტურ რელსებზე გადაჰყავთ.

სპორტული შესვენება



სახსრთვლა

ძნელი წარმოსადგენია სახტომელაზე უფრო მარტივი და ამასთან სრულყოფილი იარაღი ხტომითი მომზადებისათვის. მოკლე სახტომელა — ეს არის 2 მეტრი სიგრძის ბაწარი, რომელსაც ბოლოებში სახელურები აქვს, გრძელი სახტომელა კი 4-5 მეტრი სიგრძისაა.

სახტომელა მარტო პატარა ბავშვების თავშეაქცევი როდია. ეს არის

ნახევარფინალში ქალთა შორის გათამაშდა
შემდეგი პარტია:
პ ა რ ტ ი ა № 3
სიცილიური დაცვა
სამტრედია, 1980 წ.

8. გოგოშვილი
(პირველთანრიგოსანი, სამტრედია, მე-8
საშუალო სკოლა)
0. კურცხალიძე

(პირველთანრიგოსანი, ქუთაისი)
1. e4 c5 2. მც3 მც6 3. f4 გ6 4. მფ3 კგ7
5. კც4 e6 6. 0-0.

წინა პარტიისაგან განსხვავებით, გოგოშვი-
ლი მობილიზაციის დამთავრებამდე აქტიური
მოქმედებისაგან თავს იკავებს.

6. ... მგ-e7 7. ძ3 0-0 8. ლე1 d6 9. ლჩ4
ა6 10. f5! ef 11. კი6 fe 12. მგ5.

სანამ შავები პაიკებს „სანსლავენ“, თეთ-
რი ფიგურები მრისხანე პოზიციებს იკავე-
ბენ შავი მეფის მისადგომებთან. გაიხსნა „f“
ხაზიც.

12. ... კდ4 13. მფი1 მფ5 14. ე:ფ5! კ:ფ5 15.
კ:ფ8 მფ:ფ8 16. ლ:ჩ7 კგ7 17. კ:ფ7!

შეიძლებოდა აგრეთვე 17. მ:ფ7 და თუ
17. ... ლწ6, მაშინ 18. de! +

17. ... ლ:გ5 18. ლგ8 მგე7 19. მძ5 მგძ7
20. ლ:გ7 ეძ8 21. კე6! (ჩათრევის იდეა)

მფ:ე6 22. მც7X! წმინდა შამათი! — როცა
საშამათო რეგიონში შემავალი ყველა უჭრა
მიუწვდომელია მეფისათვის ერთადერთი მი-
ზეზით: უჭრები ან საკუთარი ფიგურებითაა

დაკავებული, ან მხოლოდ ერთხელ არიან
მოწინააღმდეგის ფიგურების დარტყმის ქვეშ.
მშვენიერი პოზიციაა — იდეის გამარჯვე-
ბა უხეშ მატერიაზე! ორივე პარტიაში თეთ-
რები მოქმედებდნენ პოზიციის სტილში.

სტრატეგიულად წაგებულია!
პარადოქსია: დაფაზე ცალმხრივი მიტელ-
შილია, თეთრების მიტელშილი!
12. ... ხ5.
შავები საშიშროებას ვერ გრძნობენ.
13. კ:ე6!

ახეთი ვებერთელა უპირატესობის დროს
ლოგიკურია ტაქტიკური დარტყმის არსებობა.
ეს არის კაპაბლანკასეული „პატარა კომ-
ბინაციის“ მკაფიო ნიმუში. ასევე უნდა აღი-
ნიშნოს, რომ ტერმინი „პატარა კომბინა-
ცია“ ხშირად უადგილოდ და უმართებუ-
ლოდ იხმარება.

ფიგურის დროებითი შეწირვით თეთრე-
ბი ზრდიან თავის უპირატესობას: უფრო
იხსნება თამაში, კიდევ უფრო სუსტდება
შავების პოზიცია. ყოველივე ეს კი ზრდის
კარგად მობილიზებული თეთრი ფიგურების
ძალას.

13. ... კ:ე6 14. ef 0-0.
ცხადია, არ ვარგოდა 14. ... კ:დ7 15. მძ5-
ის გამო.

15. fe f6.
მუხსვე აგებდა 15. ... fe 16. ლგ4

16. კი6 ლე8 17. ლწ3! კ:ე8.

მაიქციეთ უურადლება d4 კუს ბედს, რო-
მელიც გამოადგება საილუსტრაციოდ თემი-
სა: „ცენტრალიზებული ფიგურა თამაშგარე
მდგომარეობაში!“

18. bc ლც6 19. ლგ4 მგ6 20. კ:ფ8 ე:ფ8
21. e7 ეფ7 22. ეა-e1 ლე8 23. ლე6
ლე:ე7 24. ლძ5 ლძ7 25. ე:ფ6 მე5 26. ე:ძ6.

შეიძლებოდა 26. ე:ა5 პაიკთა ენდშილიში
გადასვლით.


26. ... ლწ6 27. ჩ3. ბადლიანი დანებდა.
იმავე საღამოს საქართველოს პირველობის

7. ... გფ 8. ძ8!
ცნობილია, რომ შეწირული პაიკის საფა-
სურად თეთრები აქტიურ თამაშს იღებენ.

8. ... მძ4 (?)
უფუსტობაა. საჭირო იყო განვითარება
8. მგ-e7, რასაც შეიძლება მოჰყვეს 9. ლე1
ან 9. მგ5.

9. მძ4 კ:ძ 4 10. მფი1 მე7 11. ლჩ5.
ლაზიერის მეფის ფრთაზე დაუბრკოლებე-
ლი გადმოსროლის შესაძლებლობა იყო აგრეთვე
შავების მერვე სვლის ერთ-ერთი ნაკლი.

11. ... აგ6 12. კგ5.



მიუხედავად იმისა, რომ თეთრებმა მხო-
ლოდ უკანასკნელი სვლით დამთავრეს გან-
ვითარება, დაფაზე კარგა ხანია მიტელშილი
მძვინვარებს. აქ არის კომპონენტი: 1.
ღია ხაზი ეტლისათვის; 2. დასუსტებული
ფლანგი; 3. ფლანგზე ძალთა კონცენტრა-
ცია. გარდა ყველაფრისა, შავები უიმედოდ
ჩამორჩნენ განვითარებაში. მათი პოზიცია

აუცილებელი სპორტუ-
ლი იარაღი, როგორც პა-
ტარებისათვის ასევე დი-
დებისთვისაც. აი, რა
რჩევას აძლევს მწვრთნე-
ლი ახალგაზრდა ატლეთ-
ებს: „უნდა იხტუნო ფე-
ხის წვერებზე, არც ისე
მალა, სახტომელას მო-
ძრაობის რიტმში (შესა-
ძლებლობისდამიხედვით
შეუჩერებლივ). დაეშვი
მსუბუქად. ფეხები მიუხ-
ლებში უნდა მოხარო.“

თავდაპირველად ხტომე-
ბი ნელ ტემპში აკეთე,
შემდეგ კი სიჩქარეს თა-
ნდათან უმატე. შეგიძლია
იხტუნო ორ ფეხზე, ფე-
ხების მონაცვლეობით.
შეგიძლია ხტომები ერთ-
მანეთს შეუნაცვლო: ორი
ხტომი ორივე ფეხით,
ორი — ცალი ფეხით და
ა. შ. შეგიძლია ადგილზე

სირბილის იმიტირებაც...
ეს ძალზე იოლი ვარჯი-
შებია, ამას რომ დაეუფ-
ლები, შემდეგ შენ თვით-
ონ შეგიძლია კომბინაც-
იების შედგენა“.

პნენა

თოკის ბოლოზე გა-
მოაბამენ ქვიშით ან ნახ-
ერხით სავსე ტომსიკას.
თოკის სიგრძე დამოკი-
დებულია თამაშის მონა-
წილეთა რაოდენობაზე.
ერთ-ერთი მოთამაშე
დგება ცენტრში და ატ-
რიალებს თოკს თავის გა-
რშემო მიწიდან 20-30
სმ სიმაღლეზე. წრეში
დგომი ყველა მოთამაშე
როცა მას „ანკესი“ მიუა-
ხლოვდება, უნდა შეხტეს
და ფეხებქვეშ გაატაროს
ტომსიკა. შეგიძლია იეშ-

მაკო და სიმაღლეზე კი
არ შეხტე, არამედ უკან
გადახტე, მაგრამ ამის
უფლება ერთსა და იმავე
„მეთევზესთან“ მხოლოდ
ერთხელ გაქვს. მეთევზე-
საც შეუძლია იეშმაკოს,
აუჩქაროს, ანდა შეანელ-
ოს თოკის ბრუნვა, თოკს
უცბად შეუცვალოს მი-
მართულება, რომ რომე-
ლიმე მოთამაშე ჩაჭრას.
ის, ვინც ანკესზე წამო-
ეგება, წრის ცენტრში
დგება და თამაში თავი-
დან იწყება.

**პპა მისვლი
სხვირსპოს**

თამაში იმაში მდგომა-
რეობს, რომ რაც შეიძ-
ლება მალა შეხტე, რა-
თა ხის ტოტზე დაკიდებ-

ულ ცხვირსახოცს შეწვ-
დე. მთავარია, ცხვირსა-
ხოცი ისეთნაირად დაკი-
დოთ, რომ მისი აწვე-და-
წვეა იყოს შესაძლებე-
ლი.

პირველი სიმაღლე ისე
უნდა გაიანგარიშოთ,
რომ ყველა მოთამაშეს.
რომელიც მიწას 10 სან-
ტიმეტრით მაინც მოწყ-
დება, შეეძლოს ცხვირსა-
ხოცს ხელი მიუწვდინ-
ოს. ყოველ შემდეგ ცდა-
ზე ცხვირსახოცი თანდა-
თან მალა უნდა ასწი-
ოთ. ყოველ ცდაზე გა-
მარჯვების მსურველთა
რიცხვი მცირდება და
სულ ბოლოს რჩება ერ-
თი გამარჯვებული.



სოციალიზმი



ავტომობილი

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მხს
სახ. ავტონისპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების
სახ. ინსპექტორი პ. პანდელაძე

ავტომობილი ნიშნები

ავტომობილის საერთო ნიშანი წრე, რომელსაც აქვს წითელი არშია თეთრი ან ყვითელი ფონით.

„გასასვლელი დაკეტილია“ — 3.10

ეს ნიშანი კრძალავს ქვეითად მოხიარულებულ მოძრაობას. მას ღამენ საგზაო-სარეზონტო სამუშაოების ადგილებში, სამშენებლო მოედნებთან, ერთი სიტყვით, იქ, სადაც შეიძლება ქვეითად მოხიარულებულ შემთხვევს რაიმე ხიფათი.

„ველოსიპედით მოძრაობა აკრძალულია“ — 3.9

ეს ნიშანი, როგორც წესი, იმ გზებზე და ქუჩებში იდგმება, სადაც ტრანსპორტის დიდი მოძრაობა და ველოსიპედით მოძრაობა საშიშია.

„მოდრობა აკრძალულია“ — 3.2

ზოგ ქუჩაზე ან გზის ზოგ მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა ორივე მიმართულებით აკრძალულია. ამის შესახებ ატყობინებს ავტომობილის მძღოლს ან ველოსიპედისტს ნიშანი „მოდრობა აკრძალულია“. იგი იდგმება ქუჩის ან გზის მონაკვეთის ორსვე მხარეს.

ამ ნიშნის მოქმედება არ ვრცელდება საერთო სარგებლობის ტრანსპორტზე (ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი), რომლის მძღოლებსაც ამ ადგილებში მოძრაობისას განსაკუთრებული ყურადღება მართებთ.

„შესვლა აკრძალულია“ — 3.1

ეს ნიშანი უკრძალავს მძღოლებს მოძრაობას. მისი მოქმედება არ ვრცელდება მხოლოდ საერთო სარგებლობის იმ ტრანსპორტზე, რომელთა დადგენილი მარშრუტი ამ ქუჩაზე გადის.

თუ ნიშნები „შესვლა აკრძალულია“, „მოდრობა აკრძალულია“ ან „ველოსიპედით

მოძრაობა აკრძალულია“ ველოსიპედისტს შეხვდა, იგი უნდა ჩამოვიდეს ველოსიპედიდან და ტროტუარზე წაიყვანოს ის.
„მარცხენი მოხვევა აკრძალულია“
„მარცხენი მოხვევა აკრძალულია“ — 3.18.1 — 3.18.2

ხანდახან გზაჯვარედინზე შეიძლება ნახოთ ნიშანი, რომელზედაც გამოსახულია წითელი ხაზით გადახაზული მარცხენი ან მარცხენი მოხრილი შავი ისრები. ასეთი ნიშნები ავტომობილის მძღოლსა და ველოსიპედისტს უკრძალავს იმ მხარეს მოძრაობას, საითაც ისარია მიმართული. მარცხენი მოხვევის ნიშანი არ უკრძალავს მძღოლებს, მობრუნონ ავტომობილი საწინააღმდეგო მიმართულებით.

„გაჩერება აკრძალულია“ — 3.27

ეს ნიშანი მიუთითებს გზებისა და ქუჩების ისეთ უბნებზე (ადგილებზე), სადაც ტრანსპორტის გაჩერება და დგომა აკრძალულია. ეს არის ვიწრო ქუჩები და ისეთი გზები, სადაც ავტომობილის გაჩერება ხელს უშლის ტრანსპორტის მოძრაობას.


როცა მძღოლს ასეთი ნიშანი შეხვდება, მან უნდა განაგრძოს მოძრაობა მანამდე, სანამ ამ ნიშნის მოქმედების ზონა არ დასრულდება.

„ტრამპორტის მოძრაობა აკრძალულია“ — 3.6

ნიშანი კრძალავს ტრაქტორების, თვითმავალი მანქანებისა და მექანიზმების მოძრაობას.

„საშუაპანო მოძრაობა აკრძალულია“ — 3.8

აკრძალულია საჭაპანო ოთხთვალას (მარხილის), უნაგირიანი და საპლნიანი ცხოველების მოძრაობა, აგრეთვე პარუტევის გადარეკვა.



გაკვეთილი მე-3 ლილილო ანუ საკინძი

ქსოვის დროს ღილისათვის ვაკეთებთ საკინძს. საკინძი შეიძლება იყოს მრგვალი, შორი-ზონტალური, ვერტიკალური და იმ ზომისა, რა ზომის ღილიც გაინდა დაეკეროთ. ნაპირიდან გამოვქსოვთ 3-4 ან მეტი თვალი, შემდეგ გადავხურთ 2-2 თვალი პატარა ღილებისათვის, 4-6 ან მეტი თვალი—ღილი ღილებისათვის, დანარჩენი თვლები კი ჩვეულებრივ მოვქსო-



ვით. შემდეგი რიგის ქსოვის დროს თვლების გადახურვის ადგილას მარჯვენა ჩხირზე აკერიფოთ იმდენი ჰაეროვანი თვალი, რამდენიც გადავხურეთ და ქსოვა გავაგრძელოთ. ამნაირად მოვქსოვთ შორიზონტალურ საკინძს (სურ. № 1).

ვერტიკალური საკინძის გაკეთებლად ნაპირიდან გამოვქსოვთ 3-4 ან მეტი თვალი. თვლების გამოქსოვას შევწყვეტთ და ამ 3-4 თვალს იმ სიმაღლეზე ავქსოვთ, რა ზომის საკინძიც გვინდა; შემდეგ იმ ადგილას, სადაც თვლების ქსოვა შევაჩერეთ, უკუღმა პირიდან მოვაბამოთ ძაფს და დანარჩენ თვლებს ვქსოვთ. როდესაც მათ პირველად მოქსოვილს გავუთანაბრებთ, შევა-

ერთებთ თვლებს და ქსოვას გაკარძელებთ (სურ. № 2).

პატარა მრგვალი ღილისათვის შეიძლება მრგვალი საკინძის გაკეთებაც. საკინძის ადგილას გავაკეთოთ ნამატი, ნამატის წინ უკუღმა პირიდან ორი თვალი ერთად, ხოლო ნამატი ჩვეულებრივ უკუღმით გამოვქსოვთ. წარმოიქმნება პატარა ნახვრეტი, რომელსაც ირგვლივ შეიძლება ნემსით და ძაფით ამოვუხვიოთ (სურ. № 3).

გავსოვდეს: ქალის ტანსაცმელს საკინძი მარჯვენა მხარეს



- 8.1. შესვლა აკრძალულია
- 8.2. მოძრაობა აკრძალულია
- 8.3. მძიმე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა აკრძალულია
- 8.4. სატვირთო ავტომობილების მოძრაობა აკრძალულია
- 8.5. მოტოციკლის მოძრაობა აკრძალულია
- 8.6. ტრაქტორების მოძრაობა აკრძალულია
- 8.7. მისაზღვრით მოძრაობა აკრძალულია
- 8.8. საპაპანო მოძრაობა აკრძალულია
- 8.9. ველოსიპედით მოძრაობა აკრძალულია
- 8.10. გასასვლელი დაკეტილია
- 8.11. ღონის შეზღუდვა
- 8.12. ღერძე დატვირთვის შეზღუდვა
- 8.13. სიმაღლის შეზღუდვა
- 8.14. სიბანის შეზღუდვა
- 8.15. სიგრძის შეზღუდვა
- 8.16. მიწისფერი დაბალი მანქანების შეზღუდვა
- 8.17. საბაჟო
- 8.18.1. მარჯვნივ მოხვევა აკრძალულია
- 8.18.2. მარცხნივ მოხვევა აკრძალულია




- 8.19. მოგზაობა აკრძალულია
- 8.20. გასვლა აკრძალულია
- 8.21. გასვლის აკრძალვის ზონის დასასრული
- 8.22. სატვირთო ავტომობილებით გასვლა აკრძალულია
- 8.23. სატვირთო ავტომობილებით გასვლის აკრძალვის ზონის დასასრული
- 8.24. მძიმე სატრანსპორტო საშუალების სიჩქარის შეზღუდვა
- 8.25. მძიმე სატრანსპორტო საშუალების ზონის დასასრული
- 8.26. ხმის გამომავალი სიგნალის მიცემა აკრძალულია
- 8.27. განჩინება აკრძალულია
- 8.28. დგომა აკრძალულია
- 8.29. განჩინება აკრძალულია კანტ რიცხვებით
- 8.30. განჩინება აკრძალულია ლუფ რიცხვებით
- 8.31. ყველა შეზღუდვით ზონის დასასრული

უკეთდება, მაშაქაცის ტანაც-მელს კი მარცხენა მხარეს.

შალისებური ნაქსოვი

ნიმუშის მოხაქსოვად ავიღოთ 20 თვალის. ორივე მხარეს, ე. ი. წაღმა და უკუღმა პირიდან ვქსოვით ზევიდან წაღმით. მოვქსოვით დაახლოებით 5-6 სმ სიგრძისა. ასეთ ნაყუს ჰქვია შალისებური ნაქსოვი (სურ. № 4).


ამ ნაყუსით იქსოვება ხელთათმანი, ქუდი, შალი, ჭმპარი და სხვ.



ქალის წინდისებური ნაქსოვი

ნიმუში: ავიღოთ 20 თვალის, წაღმა პირიდან ვქსოვით სულ წაღმით, უკუღმა პირიდან ვქსოვით უკუღმით. მოვქსოვით დაახლოებით 6-7 სმ სიგრძისა. ასეთ ნაქსოვს ჰქვია ქალის წინდისებური ნაქსოვი. ამ სახის ნაქსოვს შეიძლება სველი ტილო დავაფაროთ და გავაუთოოთ (სურ. № 5).

ასეთი ნაყუსით იქსოვება კაშნე, ქუდი, ხელთათმანი, წინდა, ჟაკეტი, კაბა და სხვ.



ქსოვის დროს ვეცადოთ, ყველა თვალის თანაბარი ზომისა გამოვიდეს. რიგის უკანასკნელი თვალის უკუღმით გამოვქსოვით, რომ მივიღოთ წაღმა ნაქსოვის მსგავსი სწორი, ლამაზი კიდე (სურ. № 6).

ნაქსოვი თვალთან ძალიან ახლოს არ მივიტანოთ, არც ძალიან დავაშოროთ. იგი თვალისა და დაახლოებით 30-35 სანტიმეტრით უნდა იყოს დაშორებული.

ლილი ზურაბიშვილი

მხიანჭული
გუქსვი

ინანგარი

დაღვრემილი გაგა ეკითხება დედას:
— მამამ იცის განა მერხის გაკეთება?
რად ეკითხულობ.
შვილო,
ისიც მითხარ ბარემ?
მერხი გავტეხე და მამა დაიბარეს.

მეჩხეხალი

მერცხალი რომ ნახა ნატომ,
შეეკითხა ბებიას:
— ამ ჩიტს ნეტავ გულიანპირი რატომ შეუღებია?


მ. ამირანაშვილი



ტურისტმა უნდა იცოდეს ჩაჭეჭილი მათარა როგორ გაასწოროს. ჭურჭელში ნახევრამდე ჩაასხი წყალი, თავი მაგრად დაახურე და ცეცხლზე შედგი. წყალი აღუდღება და მათარას ორთქლი გაასწორებს.






შარვლის გადანაკეცს შიგნიდან წაუსვი წებო („პვა“, „ორიონი“) და ქსოვილი აღარ დაიძენდება.



ფართო ფოტოფირის კოჭას ნუ გადაადგებ — იგი ქლიბის ტარად გამოგადგება.

ასეთ საშინაო დაზგაზე ბევრი საღურგლო საქმის გაკეთება შეიძლება.



ხელსაწყო-იარაღის შენახვის მრავალი წესი არსებობს, — აირჩიე, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნეს შენთვის.

ცივი და ცხელი წყლის ონკანები თუ ახლოს დგას, რეზინის შლანგით მათი შეერთება არ არის ძნელი. შლანგს შუაში ნახვრეტს გაუკეთებ და, როცა მოინდომებ, შენს გამწოვე შეწავებულ წყალს მიიღებ.

საპონწასმული ლურსმანი მკვრივ ხეშიც კი იოლად ჩაიჭედება.

თერმოსის გაცვეთილ საცობს ფოლგა შემოახვიე და თერმოსი კიდევ კარგა ხანს გამსახურება.

საკრებელი

შამფრიანი ს. — გილოცავთ! (ლექსი) გარეკ.	2	ახალი წიგნები	25
აფხაზავა ნ. — სიკეთე სიკეთის წილ! (ნარკვევი)	3	ალალი კაცი (ლაზური ზღაპარი)	25
ჩხეტინი ა. — წყაროსთან (ლექსი)	5	ანდაზები	25
იმედიძე ა. — ფერხული მზის სადიდებლად (მოთხრობა)	6	საბავშვო შ. — რამდენი ცივილიზაცია უნდა წარმოიშვას გალაქტიკაში, რომ თუნდაც ერთი აღმოვაჩინოთ? (წერილი)	27
ხარაზიშვილი ნ. — საქმემან შენმან... (წერილი)	12	მხედრიონი	28
ბეზარაშვილი ნ. — თაფლო (მოთხრობა)	14	სპორტული შესვენება	28
ავალიანი ნ. — აქ, ამ ერთი ფეხის მონაცვლება მიწაზე (ნარკვევი)	15	ფრთხილად, ავტომობილი!	30
აისი	19	ქსოვა	30
ზაიდვეციები რ. და მ. — ქარვის ოთახის საიდუმლოება (წერილი)	20	გამოგადგები	32
წერეთელი გ. — ლექსები	22	ცხრაკლიტული	გარეკ.
გეგეჭკორი არნ. — ბიონიკა (წერილი)	24	მოვდივართ, მოგვიხარია (მუსიკალური ნოტი)	გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა რეზაზ ცუცქერიძისა.



საქ კვ ცვ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია


სარედაქციო კოლეგია: ნუმზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ ბურბანიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ძლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლინან შენირული, ზურაბ ნვერიკაშაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

წიგნის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. მულფონები: რედაქტორის 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05 განყოფილებების 93-97-02 93-97-01

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14 «ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. დაბეჭდა ასაწყობად 23/VII-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IX-80 წ. ქალაქის ფორმატი 10x90/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საბარცხო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 2127. ტირ. 151.750. უკ 08582.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.



ა ბ ა ს ც ა დ ე !

ამ ვარსკვლავზე ციფრები გადაადგილეთ ისე, რომ ყოველი ქიმის წახნაგებზე განლაგებულ რგოლებში ჩაწერილი ციფრების ჯამი უდრიდეს 25.

**ა ჯ ა რ უ ლ ი
გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი**

დილას დადის ოთხფეხით, შუაღლეზე — ორფეხით, საღამოზე — სამფეხით.


ძალზე უყვარს

ტანსაცმელი, ახალი თუ ძველი მოდის, გაწვიმდება, იწყებს შიშინს, მეტე ჩუმად მიდი-მოდის.

უცნაური ჭურჭელია, შიგ ოქრო და ვერცხლი ცურავს, ვინც რომ იმას სარქველს ახდის, ვერასოდეს ვერ დახურავს.

წყალში დაიბადა, წყლისა ეშინია.


დ ა თ - ვ ა ლ ე თ



დათვალეთ, სულ რამდენი კვადრატია არის გამოსახული ამ ნახაზში.


1. სახელმწიფოში არსებული კანონების შეცვლა; 2. საბრძოლო საჭურველი; 3. მძიმე, დიდი ანუ... 4. ცეკვა; 5. დასასვენებელი ადგილი; 6. ბოსტნეული; 7. ბრძნული თამაში.

თუ აქ მოცემულ კითხვებს სწორად უპასუხებთ და უჭრედებში ჩასვამთ, მაშინ დიაგნოზებზე წაიკითხავთ ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული ქალაქების სახელებს.



დ ა წ ყ ვ ე ბ ი ლ ი ქ ი წ კ ვ ი


გადახაზეთ ეს ნახაზი სქელ ქაღალდზე და დაჭერით მართკუთხედებად. ნაჭრები ისე დაალაგეთ, რომ ძეწკვი შეიკრას.



ა ს ა ნ თ ი ს ღ ე რ ე ბ ი თ

ასანთის ათი ღერით შეადგინეთ ასეთი ფორმის ფიგურა და 3 ღერის

გადაადგილებით მიიღეთ ამ ფიგურის შებრუნებული სახე.



რ ა მ დ ე ნ ი გ ა დ ა ი ს ა ლ ა ?

ზაზა შინ დაბრუნდა და ვაშლები მოიტანა.

— რამდენი გადაიხადე? — ჰკითხა ბებიამ.



— ოთხჯერ მეტი ვაშლი ვიყიდე, ვიდრე შენ იყიდე გუშინ, და თითოეულ ვაშლში ორჯერ ნაკლები გადავიხადე, — ამყად უპასუხა თავისი ნავაჭრით კმაყოფილმა ზაზამ.

რამდენს გადაიხდიდა ვაშლებში ზაზა, თუ ბებიას ნავაჭრი ერთ მანეთსა და 25 კაპიკს შეადგენდა?

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

გარეთ თუნდ იყოს პაპანაქება, — შიგ ზამთარია, თოშაეს და ყინავს... სწორედ სიცხეში, პაპანებაში სჭირდება იგი თვითეულ ბინას.

ფრინველია, ვერკი ფრინავს, მაგრამ გარბის სწრაფად, რომელია ეს ფრთოსანი, თუ მიხვდები აბა?


ა ლ ე ხ ი ნ ა მ ო რ ა მ მ

**ა ე ს უ ხ ი
№ 8-ში მოთავსებულ
„მხრაკლიგულზე“**

აზარული
გამოცანები

ჩ რ დ ი ლ ი,
ნ ა მ ყ ე ნ ი,
კ ი ტ რ ი,
ს ა ზ ა მ ო რ ო,
ბ რ ო წ ე ლ ი,
ღ ო კ ო კ ი ნ ა.

მელოდია, მელოდია



ზომიარაღ

Handwritten musical score for the song "Melody, Melody". The score is written on ten systems of staves. Each system consists of a vocal line (treble clef) and a piano accompaniment (grand staff). The music is in a major key with one sharp (F#) and a 3/4 time signature. The lyrics are written in Georgian script below the vocal line. The score includes various musical notations such as notes, rests, and dynamic markings.

ვშორდებით მთა-გორებს,
ფერდობებს ნამიანს,
მოვდივართ, მოვდივართ
და მოგვიხარია!

მისამღერი:

ეს სკოლის ზარია,
ასე რომ ხმიანობს.
მშვიდობით, ტყეებო,
მინდვრებო მზიანო!

ვილხინეთ, გავკაჟდით
მშობლიურ მთა-ბარში,
გვიხმობენ წიგნები,
გვეყოფა თამაში.

მისამღერი:

ეს სკოლის ზარია,
ასე რომ ხმიანობს,
მშვიდობით, ტყეებო,
მინდვრებო მზიანო!

მოვდივართ, ეს ჩვენი
ნაბიჯის ხმა ისმის,
თვალებით მზე მოგვაქვს
და გულით ხალისი!

მისამღერი:

ვშორდებით მთა-გორებს,
ფერდობებს ნამიანს,
მოვდივართ, მოვდივართ
და მოგვიხარია!

